

საქართველო

№2 (31) 2015 წ.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო
 სსიპ „აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრი“

იალქანი - შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალი ყმაწვილთათვის
აფქიო - კონა-კრებული ყველაზე პატარებისთვის



რედაქტორი - ნანა ჯანბურია

მხატვრული რედაქტორი - ნუნუ ჯანელიძე

პასუხისმგებელი მდივანი - ვახტანგ ზაქარაია

მხატვარი - დალი მუხაძე

„საგამომცემლო ცენტრის“ დირექტორი

ირმა ირაბაძე

იალქანი - დაარსებულია 1996 წელს

აფქიო - დაარსებულია 2010 წელს

გამოცემა განახლდა 2014 წელს

საგამომცემლო ჯგუფი:

გენო ჯალანდია, სალომე ჯაჯანაძე, ბელა ჯოჯალაძე, ნატო ჯორჯაძე, ნინო ვახანი, ნუზურ მგალობლიშვილი, ოთარ ჟორდანი, ბელა ჩქანაძე, სოსო ჯაბურია, დიმა ჯანია.

ყდის მხატვარი: ნუზურ მგალობლიშვილი






სიმონ აშვაცავა*

ზიზილი ავხაზი რნათქცნიუბი და აბქოლოგი

დაიბადა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში. გენეტიკურად ის ლაკერბაიების, ინალ-იფების, შარვაშიძეების შთამომავალი იყო.



სიმონ აშვაცავა




ნიკოლოზ (კოლა) პრისტავი და მისი მუჟლე - ანასტასია (ტასო) ციციშვილი

სიმონ აშვაცავა ნიუო მახთან და ივანე ჯავახიშვილთან ეხოდ მეშობდა. საინტეხესოა, ხომ მან ქახთული ენა ახ იცოდა, მაგხამ მიანდა, ხომ ახა მახტო აფხაზებს, ჯავახიის ხანებესაც დამნეხობად ქახთული ენა ენდა ჰქონდეთო.

ოცნებობდა, წასულიყო შვეიცარიაში, დაემზადებინა ქართული შრიფტი და ჩამოეტანა სოხუმში.

ყოფილ მშვიდობის გამზირს სოხუმში დღეს აფხაზი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის – სიმონ აშვაცავას სახელი ჰქვია.



სოხუმში პირველი ავტომობილი სიმონ აშვაცავას (მარცხნიდან მეორე) ემსახურებოდა

* - ინფორმაცია იხილეთ გვ. 6.



საქართველოს კვირველები

„სოხუმელი ღომის“ სედა



ნამდვილზე არა, სათამაშო ღომზე გიყვებით. იგი „სოხუმელია“ და იმდენივე წლისაა, რამდენსაც ჩემი ვაჟი ბაჩო – ოცდათხუთმეტის.

ბეწვის ფუმფულა ღომი ისევე თბილისშია და ჩემთან „ცხოვრობს“. საწოლზე ჩამომჯდარი, თათები ნიკაპქვეშ ამოუდვია და „ფიქრობს“... ეს ღომი ნამსხვრევია ჩემი ცხოვრების, ბაჩოს გაბზარული ბავშვობის, მოგონებებით დამძიმებული დამუნჯებული.

ღომი სახლს „დარაჯობდა“ სოხუმში, როდესაც მას დროებით ვტოვებდით.

ღომი სახლში „რჩებოდა“ ომის დროსაც, დაბომბვისას, როდესაც თავიდანმოკლებილი ბუნკერისკენ გავრბოდით.

ღომი საბარგო ჩანთაში „იჯდა“ და საევაკუაციო გემს „ელოდა“ გულრიფში, როდესაც სიკვდილს გაუზრბოდით, როდესაც სოხუმს ვტოვებდით. ტანზე ბევრად დიდი თავი ჩანთიდან გვერდზე გადაეგლო და ასე „მომყვებოდა“...

იმავე ჩანთაში „მოკალათდება“ ღომი, როდესაც უკან იგივე გზას გავივლით.

გასაღები

დღე იყო მზიანი. ზღვა იყო მშვიდი. ზღვა ირეკლავდა ხანძარს. ირგვლივ ყველაფერი კვამლის ბოლქვებში გახვეულიყო. ცეცხლის ალი ცისკენ მიიწევდა, გეგონებოდათ, ცაში ასვლას ლამობსო.

მშვიდობის პროსპექტი ჰგავდა მდინარეს, სადაც უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ ქალაქის მკვიდრნი. მიდიოდნენ ურიკებით, სახელდახელოდ გამოკრული ბოხებით, მანქანების საბარგულზე დამაგრებული კუბოებით, ცოცხლები და მიცვალებულები ერთად ტოვებდნენ ქალაქს.

27 სექტემბერს სოხუმში ათასობით სახლის კარი გამოიხურა. რისთვის კეტავდნენ კარს ქალაქში, სადაც მშვიდობიანი ცხოვრების დროს კარი და ჭიშკარი საერთოდ არ იკეტებოდა, ამ კითხვაზე მაშინ ვერავინ გიპასუხებდათ.

მოვლენებს სახელი გვიან დაერქვა. წლების შემდეგ, გვიან მივხვდით, რომ იმ დღეს არამარტო სახლის კარი, საკუთარი სივრცეც ჩაგკეტეთ.

მას შემდეგ ერთად ვართ – ჩვენ და ჩვენი სახლის გასაღებები – ერთად გამოძევებულნი აფხაზეთიდან. გასაღები იმ ქალაქის, სადაც მთებიდან ამოგორებული მზის ვეებერთელა დისკო ჰორიზონტისკენ იწევდა და მიმწუხრის უამს თავს ზღვაში იხრჩობდა.

იმ ქალაქის გასაღები, უზღვაო ქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებს გულში რომ



იკრავდა და ზღვის ქალაქის განუმეორებელი აისებითა და დაისებით, მოდგაფუნე, ტალღებგადავლილი კენჭებითა და ნიჟარებით აცილებდა.

ჟამთასვლის დინებამ ბევრი რამ შეცვალა, ბევრ რამეზე დაგვაფიქრა. ბევრიც აღმოგვაჩინა. ასეთი ფაქტებიც გაიხსენეს:

დიდი სამამულო ომის შემდეგ, სტალინის ბრძანებით, სოხუმის რკინიგზის სადგურიდან შუა აზიისკენ ეშელონებით დაძრულმა ბერძნებმა სახლის კარი საგულდაგულოდ ჩაკეტეს და გასაღებები თან გაიყოლესო.

აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე იქ მცხოვრებ ბერძნებს საბერძნეთის მთავრობამ გემი ჩამოუყვანა და ომს განარიდა.

თბილისის აეროპორტში ებრაელ მოსახლეობას თვითმფრინავი დაუსვა ისრაელის მთავრობამაც.

ასე მიმოიფანტა ზღვის გასაღებები შორეულ ელადაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში, იქ, სადაც აფხაზეთს მოწყვეტილმა ხალხმა თავშესაფარი იპოვა.

ახალ ქალაქებში, ახალ სახლებში, სადაც აფხაზეთის მკვიდრნი, რა ხანია, უაფხაზეთო წლებს ითვლიან, ახალი გასაღებები გაჩნდნენ: სხვადასხვა ლითონის, ფორმისა და ფერის... ოღონდ „დროებითი“ სახლის გასაღებები. ისინი კეტავენ და აღებენ სივრცეებს, მაგრამ მათ ზღვის ქალაქის გასაღებები არ ჰქვიათ!

საგულდაგულოდ გადანახული, განძადქცეული ნამცეცა ლითონები ძველებურად აღარ ბრიალებენ, დროდადრო ჟანგსაც მოიკიდებენ, მაგრამ უმაღ დაფაცურდებიან მათი მეპატრონენი...

უბრალო სახეს ვინ აკადრებს; ძვირფასი ლითონის საწმენდით (რაც ხელიკისფერი სითხეა) ააპრიალებენ, შემდეგ ამ გასაღებით წარსულის რომელიმე დღეს შეადებენ და სანატრელ ქალაქს მოივლიან.


გამთენიისას, როდესაც კიდევ ერთი უაფხაზეთო დილა გაახელს თვალს, სათუთად დაემშვიდობებიან, ძნელად მისაწვდომ ადგილას გადამალავენ... საკუთარ თავს დაუმაღავენ საკუთარი სახლის გასაღებს...

რამდენი წელია, ასე გრძელდება.

დრომ ომსა და მეხთატეხას გამორიდებულ, ნამცეცა გასაღებებს ახალი სახელი გამოუძებნა და სიმბოლური მისიაც დააკისრა:

ჯადოსნურმა გასაღებებმა ქართველთათვის ჩაკეტილი სივრცე – ა ფ ხ ა ზ ე თ ი – უნდა შეაღონ.





1946 წელი. სოხუმში საზეიმოდ გაიხსნა მაქსიმ გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. მოწვეულ სტუმრებს შორის, რა თქმა უნდა, იყვნენ მაშინდელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის რექტორები. მათ შორის, ტარტუს უნივერსიტეტის რექტორი.

როდესაც გაიგო, რომ უნივერსიტეტს გორკის სახელს ანიჭებდნენ, თურმე თავი ვერ შეიკავა და შეკრებილ აუდიტორიას ასე მიმართა:

- ჩვენი უნივერსიტეტის კედლებს სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად თქვენი თანამემამულისა და ამ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულის, სახელოვანი მეცნიერის – სიმონ აშხვაცავას პორტრეტი ამშვენებს. მიმაჩნია, რომ აფხაზეთში გახსნილი პირველი უმაღლესი სასწავლებელი სწორედ ამ ღირსეული პიროვნებისა და მეცნიერის სახელს უნდა ატარებდეს.

ზღვისპირა იანაიანი

სიმონ აშხვაცავა ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, როცა ის ბოლშევიკებმა თბილისში დააპატიმრეს; ჩასვეს მეტეხის ციხეში. იქ ის მძიმედ დაავადდა. უგონოდ მყოფი გამოათრიეს საკნიდან და ქუჩაში, გზის პირას დააგდეს. ამ დროს მეტეხთან ეტლით ჩაიარა კოლა ერისთავმა (ქველმოქმედი, ილიას თანამებრძოლი, მეგობრობდა ვაჟა-ფშაველასთან).

- ჩადი, ნახე, ის უბედური სუნთქავს თუ არა, - უთხრა მეეტლეს.
- ჯერ კიდევ სუნთქავს, ბატონო, - უპასუხა მეეტლემ.

კოლა ერისთავმა სრულიად უცნობი ადამიანი, ნახევრად მკვდარი, ახალგორში წაიყვანა. ერისთავების მამულში მას თითქმის წელიწადი მკურნალობდნენ. სიმონ აშხვაცავას ექიმი იყო იმ დროს თავისი საქმის პროფესიონალი – მესხიშვილი.

სიმონ აშხვაცავას შეუყვარდა კოლა ერისთავის უმცროსი ქალიშვილი, 19 წლის ნინა ერისთავი. დაქორწინდნენ კიდევ და საცხოვრებლად აფხაზეთში წავიდნენ.

შეეძინათ ვაჟი, რომელსაც ნინა ერისთავმა თავისი ერთადერთი ძმის, 1921 წელს კოჯორ-ტაბახმელას ფრონტზე დაღუპული იუნკერის - შალვა ერისთავის პატივსაცემად შალვა დაარქვა.

სიმონ აშხვაცავა დახვრიტეს 1938 წელს, სოხუმში, ზღვის სანაპიროზე. მაშინ ის აფხაზეთის განათლების მინისტრი იყო.

მისი შვილი შალვა აშხვაცავა იმ დროს 13 წლის იყო.



მიუსერის ტაძარი

ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს ბიჭვინთის კონცხსა და გუდაუთის რაიონის ზღვისპირეთის დასავლეთ ნაწილში. უჭირავს მიუსერის ულამაზესი ტყის მასივი, მდიდარი მუხის, რცხილისა და წაბლის ტყეებით, ბზის, კუნელისა და შინდის ნარგავებით.



მიუსერის ტაძარი

ბიჭვინთა პირველად მოხსენიებული აქვს სტრაბონს, ძვ.წ.ად.-ით I ს.-ის II ნახევარში.


ბიჭვინთა-მიუსერის უმშვენიერეს მხარეს უძველესი ისტორიული ძეგლებიც ამდიდრებს.

აფხაზეთში ქრისტიანულ-საკულტო ნაგებობათაგან ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია მიუსერის ტაძარი. ზღვის სანაპიროსთან აგებული ეს ეკლესია, სავარაუდოდ, განეკუთვნება XI-XII ს.ს.-ს.

იგი მდებარეობს გუდაუთის რაიონის სოფელ მიუსერაში. მისკენ მიმავალი გზა ცნობილი „ოქროს სანაპიროს“ გასწვრივია; ბილიკი შემდგომ მიუსერის ნაკრძალის ხეობისკენ გრძელდება. ვრცელი მინდვრის შუაში აღმართულია ქვის მაღალი კედლები, გაფორმებული თაღოვანი კოლონადებით. ეს თურქოსმალთა მიერ გავერანებული მიუსერის ტაძარია.

დღეს ეს ძეგლი კამარაჩამოქცეულია, მთლიანად სუროთი და შამბნარით დაფარული, მაგრამ შიდა სივრცე კვლავაც ძალზე შთამბეჭდავია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტაძრის სამხრეთ ფასადი, აზიდული სამი მაღალი თაღით, სვეტებითა და ექვსი უზარმაზარი გაჭრილი სარკმლით. გადარჩენილია



მიუსერის ტაძარი. ხედი ზღვის სანაპიროდან

საკურთხევლისა და გვერდითი ეკვდერის ქვის კამარები.

აფხაზმა მეცნიერებმა ამ ე.წ. „სამეკლესიან“ ბაზილიკას „ამბარის“ ტაძარი უწოდეს; ქართველი ისტორიკოსი თეიმურაზ მიბჩუანი კი თვლის, რომ ტოპონიმი „მიუსერა“ სვანური წარმოშობისაა და ნიშნავს „თოვლიანს“.

მიუსერის გორაკი დაბლობთან შედარებით მართლაც თოვლიანია.



იქამ შამილი

იბეჯღეა შამოკლებით

ბრიბოლ რობაქიძე



შამილი

მზე ეშვება ნელინელ. დაღვრემილნი აყოლებენ თვალს ჩამავალ მზეს მეომარნი. არაა ხალისი მღერისათვის – მით უფრო, როკვისათვის. ყველანი სდუმან.

ჩვიდმეტი წელია, ძღვევამოსილი შამილი იგერიებს მედგრად შემოსეულ ურდოებს რუსთა. მამაცურ იცავენ თავისუფალნი შვილნი კავკასიისა მშობელი მიწის ყოველ გოჯს. ხშირად კიდევაც ამარცხებენ რიცხვმრავალ მტერს. ხოლო რუსნი არ დრკებიან მაინც, არ ცხრებიან: რაზმი რაზმს ემატება, მოგორავენ, ვითარ ზვავნი მოხეთქილნი. ჩვიდმეტი წელია, მარჯვედ ხვდება კავკასი მტერს. ხოლო როდემდის? ყველანი ფიქრობენ ერთსადაიმავეს. ფიქრი საზარელია: ზავი. ხოლო ვინ გაბედავს: ეს სიტყვა ჩააწვეთოს მეთაურს?

ორი დღის წინ შამილს ეახლენ სწორედ ამის გამო ჯეგარდ-ხან და ხაგნარ-დიბირ. მორიდებით წარსდგენ რაინდის წინაშე. შორიდან იწყეს სიტყვამოკლესაუბარი, რათა ამ გზით სიტყვა

ჩამოეგდოთ ზავზე. ხან ამას ეხებოდენ, ხან იმას. გამობრუნდენ: ზავი არ უხსენებიათ.

დადუმებულნი გაჰყურებენ ნაიბები ჩამავალ მზეს. დუმილში ერთი ფიქრია დაბანდული: ზავი. ანაზღად თავს უხსნის დუმილს ერთი მათგანი: ახვერდ-მალომა. „არ იქნება მიზანმხვედრი, რომ ხაჯი მურად ეახლოს შამილს მოსალაპარაკებლადო“. განა არ იციან მეგობრებმა, რომ მისსა და შამილს შუა უნდობლობის იჭვია გაქროლვილი? უკუაგდეს არჩევანი. ახლა შეანეთს ასახელებს მეორე-ეს კოლეელია სურახაი. ვინ არ იცნობს ამ ქალს, ერთ-ერთ ცოლს შამილისა! ტომით სომეხი, მაგრად ნაკეთიერი, იგი ხშირად ახლავს თან მეომარ ქმარს, თვითონაც მეომარი, ვაჟურად ტანგადაცმული. ბჭობა გრძელდება. ბოლოს დედა ახსენეს შამილისა. გულს მოეშვათ ყველას: არჩევანი იგულვეს მისწრებად. გადასწვეიტეს: ხვალვე წასულიყო მასთან სურახაი, ხატუსა და ესაკის თანხლებით.

გათენდა დილა. არჩეულნი გაემგზავრნენ შამილის დედის სანახავად. მიუახლოვდენ სახლს. ჯერ გამოიკითხეს: მეთაური შინ იყო თუ არა. არ იყო. ამან გამბედაობა შეჰმატა მოსულთ. მოახსენეს განაზრახი ნაიბთა*. მოხუცი ქალი, მოდუნებული, ხოლო ჯერ კიდევ ძვალმაგარი, შეირხა მთელი ტანით. მან, დედამ, თვითონაც კარგად იცოდა უიმედო მდგომარეობა კავკასის თემთა. კარგადვე იცოდა უტეხი ხასიათიც შვილისა. დიდხანს იდგა გარინდული. ბოლოს თანხმობა განაცხადა მოხუცმა: მოლაპარაკებოდა შვილს. მიგზავნილები გამოეთხოვენ მადლობით. ათი წუთიც არ გასულა, მოხუცი უეცრად გავარდა ეზოში, იხმო მსახურნი, უბრძანა: დასწეოდენ წასულებს-სურდა, უკან წაეღო მიცემული სიტყვა. გვიანდა იყო. ნაიბები გასცლოდენ



* - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველი დაღესტანში, შამილის დროს.



შორს მიდამოს უკვე.

ამასობაში შამილიც გამოჩნდა: შემოიჭრა ეზოში ყარაბაღული ბედაურით, შვიდი მურიდის თანხლებით. დადევნების აზრი გაუქმდა.

გადმოხტა ცხენიდან სარდალი მარდად. ეცვა ღვინისფერი ჩოხა. არც თუ მაღალი, ხოლო ნაკეთიერებით კვრივი და ტანოვანებით მაგრად სხმული. წელზე ხანჯალი, ფეხებზე მესტები, წვივებზე ტყავის ლეკვერთხები, თავზე თეთრი ჩაღმა. ნელი ბიჯით მიაშურა სასახლეც. დედაც თან გაჰყვა შორიასლო, ათრთოლებული. მას უყვარდა შვილი რაინდი: იგი იყო მისი სისხლი და ხორცი, ხოლო შვილში რაღაც უცნაურსაც გზნებდა ხოლმე: თითქოს კაცი კი არა, ნადირი ეშვას. ჯერ კიდევ უშვი, სიურჩეს იჩენდა იგი დედის მუცელში. ხშირად აგონდებოდა ხოლმე დედას: თუ რა სიავით ახლტა იგი ერთხელ მის საშოში. ტკივილიც იგრძნო ორსულმა, ბასრი.

შევიდენ სასახლეში. მისხდნენ. შამილმა მოხედა დედას მოღუშულმა—დედა შეირხა.

„რა გნებავს?“ მიმართა შვილმა დედას. ნელი, დათუთქული ხმით გადასცა მოხუცმა შვილს ნაიბთა გულნადები. შამილმა მოხედა დედას—დედა ატორტმანდა. ავი ცეცხლი აკიაფდა შვილის თვალებში ერთი წუთით. დედა შიშმა აიყვანა. შვილი აღარ იყო მისი შვილი. იგი უცხო იყო, სხვა, სულ სხვა. „ვინ იყვნენ მოგზავნილნი?“ გაისმა კვლავ ხმა შამილისა. „სურახაი, ხატუ, ესაკი“, მიუგო დედამ. „ხაჯი მურად?“ „არა“. ჩამოწვა დუმილი. „დამტოვე მარტო!“ დედა მოცილდა.

დამძიმდა ფიქრი მეომარისა. ხაჯი მურადს თუ მოუვიდა აზრად ეს უხამსი რამ?! ბრუ მოეხვია თავდადებულ მხედარს. ეგებ მართლაც აღარ შესწევთ ძალა თემთ, აღარ ყოფნით უინი: ნაცადი სიმარჯვით გაუძკლავდენ გარსმოხვეულ მტერს?! გაიფიქრა: ესლავ მოეხმო უმადლესი საბჭო – ხოლო უკუაგდო ფიქრი წამსვე. იხმო მსახურნი. უბრძანა, შეეკახმათ აღისფერი ბუდაური. მოუყვანეს. მარტო გაეშურა: ერთი მურიდიც არ უახლია თან.

მინავარდობდა მხედარი ველიდან ველზე. სიმშვიდე სულისა თანდათან აკლდებოდა. „ზავი“—ეს ხომ დალი იქნება სირცხვილისა! არა და არა! ეს ქედმაღალი და მრევი ხალხი რუსეთის მეფეს დაემორჩილოს?! არასოდეს!

ერთ ფერდობზე ბავშვები თამაშობდნენ. შამილმა შეაყენა ცხენი, გადმოხტა. ბავშვები შეჩერდნენ, ხმაც გაკმინდეს: ეუცხოვათ ფრიად ეს მოღუშული და აბორგილი მხედარი, თითქო მუხა ყოფილიყო ნამეხარი. შამილმა ჩაიფუნუნა ბავშვურ კილოთი: „გავანადგურებთ მტერს?“ „გავანადგურებთ და მერე როგორ!“ იხრიალეს ერთხმად პატარა მორკინალებმა. „შამილი თუ გაგიგონიათ?“ შეეკითხა მხედარი ერთს მათგანს. „შამილი? როგორ არ გაგიგონია!“ - იჟივლეს მალხახებმა ახალისებით, - „ის დაამარცხებს მტერს!“ შამილის ბაგე ღიმილით გაიხსნა: „ჩემზე უფრო ძლიერია?“ „შენზე? შენც გძლევს იგი! მისი მომრევი არავინაა!“ შამილს გული აუტოკდა. მარჯვენა თვალში ცრემლი იგრძნო მომდგარი, ცრემლი ნეტარებისა. მოახტა ბედაურს და გაექანა.

„შამილი შენცა გძლევს“—ეს სიტყვა არ ეშვებოდა მის სმენას. ეს მხედარი, ესლა ცხენს რომ მიაგელვებს, იგია თვითონ: შამილი. ამავე დროს იგი სხვაცაა. შამილს სძლევს იგი „სხვაა?“ დეე, სძლიოს, ოღონდ მტერი სძლიოს!

მზე უკვე ჩასვენებული იყო, როცა იმამი დაბრუნდა. ეზოში მურიდები შეეგებენ. ჩამოართვეს ოფლში გაწურული ცხენი. შამილი მიზგითისკენ* გაეშურა. მურიდები გაჰყვენ შორიასლო. შამილმა შეალო კარი სალოცავისა. დაემხო ჯვარედინ მოკეცილ მუხლებზე. ყურები თითებით



* - მაჰმადიანების სალოცავი (მეჩეთი).



შამილის დედა. ბრავიკა.
ავტორი: მანანა კოძეშაშვილი

დაიჭლო. მოხუჭა თვალები. ღოცვად დავარდა.

სადამო ღამედ იქცა-იმამი სალოცავში იმყოფებოდა. გათენდა დილა - იმამი არ გამოსულა. დღე მიიწურა - იმამი არ სჩანდა. შიშმა მოიცვა ყველანი. გაეშურნენ მიზგითისაკენ. დედა იმამისა, ცოლნი მისნი, ვაჟები და ცირები მისნი, უხუცესნიც უმაღლესი საბჭოსი და მათ შორის: ჯალალ-ედდინ, მასწავლებელი და სიმამრი იმამისა. შამილი არ სჩანდა. შიში მოედო აულებს, თემებს. გამოეშურენ გუნბისაკენ. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, შამილი არ სჩანდა. რა დაემართა? შიში ურვად იქცა. ბჭობდენ, თათბირობდენ, რა ექნათ. ამ დროს კარიც შეირხა: გამოჩნდა იმამი. იგრიალა ხალხმა. იმამი შესდგა მაღალ საფეხურზე: გაფითრებული, ჩაფერფლილი, იდგა უძრავად. არას იტყოდა. ხალხი გაინაბა სუნთქვაშეკული. იმამი იდგა ხალხის წინ: როგორც მოსე, ხელში „ათი მცნებით“. ხალხი სმენად იქცა და უცებ, მოესმათ მოგროვილთ საშინელი სიტყვანი: „ასჯერ სახრე... მას... ვინც... პირველმა... გაუწყა... ზავის ჩამოგდების... განხრახვა... ვინ იყო ის პირველი?“

მყისვე გაიხსნა პირველი რკალი მოგროვილთა. აღიმართა მტკიცედ დედა შამილისა. „მე ვიყავი იგი!“ განაცხადა ნელი, მტკიცე ხმით. „სახრე, ასხელდერ“ შესძახა შამილმა იქვე მდგომ მურიდს. გროვა დაიკლაკნა გველნაკბენივით. მურიდმა მოიტანა სახრე. „შეუდექ, ასხელდერ!“ მიმართა მოხუცმა. მურიდს ხელი გაუშეშდა.

უეცრად მოეშვა საფეხურს იმამი. მოიხია ჩოხა. იწყო გაშიშვლება მხარ-ბეჭისა, გასძახა თან მაგარი ხმით: „მე შვილი ვარ ამისა. იგი მოხუცია. 95-ჯერ მე სახრე, 5-ჯერ დედას! შეუდექ, ასხელდერ!“ მურიდს სუნთქვა აღარ ყოფნის, ხელი არ ემორჩილება. ამ დროს წამოიჭრენ ნაიბები წინ, გამეხებულნი. „არ გვინდა ზავი!“ - დაიყვირა ჯევად-ხანმა. „ბრძოლა ბოლომდე!“ - მისძახა ხაგნარ-დიბირმა. ამათ სხვებიც მიჰყვენ, შამილის წინ აღიმართა მთელი გუნდი ნაიბთა. აშიშვლებულნი ხრმალნი აელვარდენ. „არ გვინდა ზავი! ბრძოლა ბოლომდე!“ ხალხს მოეშვა სიმძიმე. იმამი იდგა უძრავი. ფითრი სცილდებოდა. სისხლი ხან ერთ საფეთქელში აწვებოდა, ხან მეორეში. ხალხი ირეოდა აღტყინებით. სიტყვა აღარ ყოფნიდათ. ეხვეოდნენ ერთიმეორეს.

„საკრავები!“ - გაისმა ხმა. მოიტანეს უმაღლე. იწყეს ახმთანება. წამოიშალენ ხალასნი რიტმნი კავკასიისა. თითქოს ყოფნის სუნთქვააო.

„როკვა!“ გადმოეშვა კუნთებათასმული ნაიბი: ხაგნარ - დიბირ, ჯიხურე ალერებით აღიმართა მკერდი. გაშალა მკლავეები. დაუარა. მოავლო რკალი. მთელი ტანით იქცა ცინცხალ რიტმად. ეხლა მეორე გამოსლტა: ახოვანი, მკერდმაღალი, მხრებკვრივი, ალექვილი. ეს იყო ვაჟი შამილისა: ყაზი მადომა. ხლტომა ირმისა იყო. დაუარა. გავლებულ კამარას მეორე შეავლო. „ასსა!“ მას მოჰყვა ჯევად-ხან. „როკვა!“ გამოდის მეოთხე, გამოდის მეხუთე, გამოდის მეექვსე, გამოდის მეშვიდე. „ასსა!“ ეხლა ჯგუფ-ჯგუფად გამოდიან. „როკვა“ როკავენ ყველანი.

ერთი არ როკავს მხოლოდ. არა: მთელი ტანი რიტმით არის აყვანილი შინაგან-ხოლო გარეგან გაქვავებულია. ეს იმამია. შამილი ბეწვზეა. ანთებულნი თვალნი აღს აფრქვევენ. უეცრად ცხენს მოავლო თვალი თავისას. მოსხლტა. გაექანა ცხენისაკენ, მოველო უნაგირს, გავარდა. მყისვე მოახლტენ მეომარნი თავიანთ ბედაურებს. წინ: შამილი, უკან ნაიბები.

მინავარდობს იმამი-დაწინაურებული. მინავარდობენ თანამეომარნი-მიყოლებით. წინ ხრამი, ყველასთვის ცნობილი. შამილი არ უხვევს-მიმყოლთ ტანში შიშის ურუანტელი ურბენტ. შამილი უახლოვდება ხრამს. ვინ შეაჩერებს? რა შეაკავებს? შამილი ხრამს მიადგა. იცის მხოლოდ: ბედი მისია, ვინც გამბედავია. ეხლა იგი ცხენკაცი: კენტავრი. ხრამს თავს გადაეველო. მეომარნი ატორტმანდენ, ბედაურებით, რეტდასხმულნი. ხედავენ: ცხენკაცი მინავარდებს ბედაურს, უვნებელი. ახლა ესენიც მიენდვენ ბედს. ყიჟინით, ხივილით გადაეშვენ ხრამის თავს. მოექცენ უვნებელ გაღმა. წინ: იმამ შამილ, უკან: მეომარნი. მინავარდობენ ახელებულნი. რომელ უფსკრულს შეუშინდებიან? რა ჯებირი შეაკავებთ?



ჩარლზ ლივენსი (1812-1870 წ.წ.) - ყველა დროის ერთ-ერთი სხედლოვანი ინგლისელი მწერალი, რომლის ნოველები და მოთხრობები ძაღზე ჰოჭუნდარულია.

დაიბადა ლარობთა ოჯახში. 10 წლიდან ჰაჯარა ჩარლზი უკვე მუშაობდა ვაჭრის ფაბრიკაში. ბავშვობისა და სიჭაბუკის მძიმე წლები მან შემდგომ აღწერა თავის რომანებში - „ღვეილ კოჩერფილდი“ და „ჰანია დორითი“.

ამჯერად მკითხველი გაეცნობა ჩარლზ ლივენსის წერილს, გაგზავნილს შვილისადმი.*



ჩარლზ ლივენსი

ჩემო ძვირფასო პლორნ,

ამ წერილს გწერ, რადგან ძალიან შორს ხარ და მსურს, ჩემგან რამოდენიმე გამოსამშვიდობებელი სიტყვა მიიღო, რასაც ჩაუღრმავლები დღესაც და შემდგომშიც, როცა გეცდება. არ მჭირდება იმის შეხსენება, რომ ძლიერ მიყვარხარ და ძალიან გწუხვარ შენთან განშორებას. თუმცადა ცხოვრებაში განშორება არცთუ ისე იშვიათია და ეს ტკივილები უნდა დაგპლით.

მჯერა, რომ შენ იმ ცხოვრების წესით იცხოვრებ, რაც შენთვის ყველაზე მეტად მისაღებია. მოგიწოდებ, სრულყოფილად და მონდომებით აკეთო შენი საქმე.

ბოროტად საქმეში არავინ გამოიყენო და არასოდეს მოექცე უგულოდ მას, ვინც შენს ხელშია. ეცადე, სიკეთით უპასუხო ადამიანებს. ეს იქნება საუკეთესო მაგალითი იმისა, რომ ისინი შენს მიმართ პატივისცემით განეწყონ. იმედი ნუ გაგიცრუვდება, თუ რომელიმე მათგანი უღირსად მოიქცევა. შენთვისაც ბევრად უკეთესია, მათ დაარღვიონ მცნებები, რომელიც ჩვენმა მხსნელმა დააწესა, ვიდრე შენ გადადგა უკეთური ნაბიჯი.

შენს წიგნებს შორის „ახალი აღთქმა“ ჩავდე. ეს საუკეთესო წიგნია, რაც კი ამქვეყნად დაწერილა და დაიწერება; ის გამორჩეულ გაკეთილებს გვჩუქნის, რომლითაც ნებისმიერი ადამიანი შეიძლება, გაუძღვეს საკუთარ მოვალეობას.

როდესაც შენი ძმები წავიდნენ, მაშინ მე მათაც ვესაუბრე. შევევედრე, რომ მხოლოდ ამ წიგნით ეხელმძღვანელათ და გვერდზე გადაედოთ ადამიანთა ნებისმიერი აღმოჩენა თუ ახსნა-განმარტება.

აღბათ, გემახსოვრება, რომ არასოდეს გადამიღლიხართ რელიგიური დაკვირვებებითა და დოგმებით. ვცდილობდი, არასოდეს მესაუბრა ამაზე სიღრმისეულად, ვიდრე ზრდასრულ ასაკს არ მიაღწევდით.

შენ, აღბათ, ოდესმე უკეთ გაიაზრებ ქრისტიანული რელიგიის სიმართლესა და ჭეშმარიტებას – აზრს, რომელიც თვით ქრისტესგან მოდის. შეუძლებელია,

შეცდომა დაუშვა, თუკი თავმდაბლურად და გულთ სცემ მას პატივს.

მხოლოდ ერთი რამ არ დაგავიწყდეს: არასოდეს შეწყვიტო დილა-საღამოს ლოცვის კითხვა. მე არასოდეს მიმინებებია ამისათვის თავი და ვიცი, როგორი კომფორტულია იგი.

ვიმედოვნებ, გექნება შესაძლებლობა, სიცოცხლის შემდეგ თქვა, რომ კეთილი მამა გყავდა. შენ ვერასოდეს შეძლებ, აჩვენო მას შენი სიყვარული ისე სრულყოფილად, ან

გახადო ის ისეთი ბედნიერი, როგორც ამას შენი მოვალეობის პირნათლად შესრულებით გააკეთებ.

შენი მოყვარული მამა,

ჩარლზ ლივენსი.



* - თარგმნა თეიმურაზ ბერიშვილმა.



შუშია ავრილონიძე

„იანქნის“ ფურცლებზე გრძელდება საინფერესო თემათა ციკლი რუბრიკით - „თაობიან თაობაძე“.

ამჯერად ვმსაწინძობთ ცნობილი ქართველი მწერლისა და სახოგადო მოღვაწის, მთარგმნელის, ეთნოგრაფისა და ექსპოზიტორის - თელო სახოკიას (1868-1956 წ.წ.) შვილიშვილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქადაგონ შუქია აფრილონიძეს.

„ახსახეთის მკვიდრი იყო პაპა. მღვდელი იყო მამამისი. მშვენიერი სახლი ჰქონდათ სოხუმში, ბესლეთის ქუჩაზე - მერე დაერქვა ჭანბას ქუჩა“, - ნერს შუქია აფრილონიძე პაპაზე.

თელო სახოკიამ სოხუმში გააფარა ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები.* სწავლობდა თბილისში, ენეუვაში, პარიზში, მოღვაწეობდა რომში. 1916 წლიდან საბოლოოდ დაბრუნდა თავის ქვეყანაში.

„ჩემი რწმენა - ჩემი სამშობლოა“, - ეს თელო სახოკიას სიტყვებია. დაუმორჩილებელი პროფესიონალი და ბუნცარის, ცარიზმის პოლიტიკა ეროვნული თვითმყოფადობის გარდაუვად საფრთხელ რომ მიაჩნდა.

დიდი წინაპრის ხსოვნას განსაკუთრებული მონივნებით მიაცვებს პაპის შუქია აფრილონიძე.

აქამიანთა ყოთიერთობის გაყეთილოებით პაპაჩქი - თელო სახოკია

შუშია ავრილონიძე

პაპაჩქი კარგად მახსოვს ბავშვობიდანვე, რადგან დედასთან ერთად ისიც მზრდიდა. ჩემი თანაკლასელებიდან კი უმეტესობა ბებია-ბაბუას მხოლოდ ზაფხულის არდადეგებზე ნახულობდა სოფელში.

ჩვენი ოჯახი პატარა იყო, სულ სამიოდე წევრისაგან შედგებოდა: პაპა, მისი ქალიშვილი, ანუ დედაჩქი თინა და მე. სახელი შუქია პაპამ დამარქვა მისი უფროსი მეგობრის - ვასილ ბარნოვის პატივსაცემად, რადგანაც ამ დიდი მწერლის ორი ნაწარმოების („ტოფობა წამებულში“, „ნათელმოსილი“)

მთავარ პერსონაჟებს ერქვათ შუქია. ეს იშვიათი ხევესურული სახელი მოგვიანებით მეც გავავრცელე: ჩემმა ორმა უცხოელმა მოწაფემ, რომლებსაც ქართულს ვასწავლიდი უნივერსიტეტში, თავთავიანთ ქალიშვილებსაც ჩემი სახელი დაარქვეს. ასე რომ, დღეს შუქია ჰქვიათ ამერიკაშიც და ბრიტანეთშიც, საქართველოში კი - მხოლოდ ხევესურეთში!



5 წლის შუშია ავრილონიძე პაპასთან - თელო სახოკიასთან ერთად

ცხსოვრობით „ხემელზე“ - დღევანდელი რუსთაველის მოედნის მიდამოებში, დიდ აღმართზე, რომელმაც პოლიტიკური ნიშნით რამდენჯერმე გამოიცვალა სახელი: ჯერ მოსკოვის შესახვევი, შემდეგ - კარლ ლიბკნეხტის შესახვევი ერქვა, ამჟამად კი სოლომონ ზაღდასტანიშვილის შესახვევი ჰქვია. სხვათა შორის, სოლომონ ზაღდასტანიშვილი 1920-იან წლებში შედიოდა საქართველოს პარიტეტულ მთავრობაში, რომლის რამდენიმე წევრს (კოტე ანდრონიკაშვილს, დავით ონიაშვილს, იასონ ჯავახიშვილს) 1923-24 წლებში თელო სახოკია რიგრიგობით იფარებდა თავის ოჯახში.

პაპას უნდოდა, ბავშვობაშივე მოვენათლე; მით უფრო, რომ


* - თელო სახოკიაზე, სოხუმში გატარებულ წლებზე პუბლიკაცია დაიბეჭდა „იანქანში“ (№18).



საქართველოს მაშინდელი კათალიკოს-პატრიარქი – კალისტრატე ცინცაძე, ასევე, პაპას მეგობარი, შეპირებული იყო ჩემს მონათვლასაც და ნათლიობასაც. მაგრამ ეს პატივი დედამ არ დაანება, ეწინააღმდეგებოდა: 1937-38 წლების სუსხი თავს არ ავიწყებდა! დავრჩი ასე მოუნათლავი და მხოლოდ 40 წლისა მოვინათლე (ბებიდაჩემის სახელზე).

პატარაობაში პაპას მუდამ პატარა ცხოველები და ფრინველები მოჰყავდა ჩემთვის. გალიაში გვყავდა ხან კურდღლები, ხან – მწყერები, ერთხანს აბრეშუმის ჭიაც გვესვა, მე და პაპა თუთის ფოთოლს ვუზიდავდით. ერთ დღეს კი ჭიანჭველამ შეგვიჭამა უკვე გაზრდილი ჭია, რის გამოც ორივემ ბევრი ვიდარდეთ. ზამთრობით მუდამ ბელურების გამოხამთრებით ვიყავით დაკავებულნი. გაზაფხულზე კი ჩვენი ავინიდან მათ საზეიმოდ ვუშვებდით.

როდესაც წამოვიზარდე და პაპას საყვარელი ავტორის – მოპასანის ერთი რომანი წავიკითხე, იქ აღწერილმა სიუჟეტმა გამახსენა, როგორ ცდილობდა პაპა, ფრინველთა და ცხოველთა მოვლის მაგალითზე მფარველობისა და გულმოდგინების გრძნობა გაეღვივებინა ჩემში (ალბათ, ადრე თავის შეილებშიც – დედასა და ბიძაჩემში), რის გამოც მე მას ახლაც დიდად ვემადლიერები.



თეიმო სახოკია



კითხვას ბავშვობაში არავინ მაძალედა, მაგრამ იმდენს წერდნენ და კითხულობდნენ დედაც (სკოლის მასწავლებელი იყო ბიოლოგიურ საგნებში) და პაპაც, იმდენს მიკითხავდნენ „ნაკადულსა“ და „ჯეჯილს“, ქართულ ზღაპრებსა და ლექსებს (დედა გერმანულიდანაც მითარგმნიდა გრიმების ზღაპრებს), რომ სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი ლოტოს დახმარებით, თამაშ-თამაშ ხუთი წლისამ დამოუკიდებლად ვისწავლე წერა-კითხვა ჯერ ქართულად, 6-7 წლისამ – რუსულადაც.

ეს პაპას პრინციპი იყო, ჯერ მშობლიურ ენას დაეუფლებოდი და მერე უკვე მესწავლა ევროპული ენები. საგანგებოდაც კი ეუბნებოდა არაქართველ მეზობლებს, ჯერ ქართულად ელაპარაკეთ მას, შემდგომ წლებში კი სთხოვდა, მათი დახმარებით დამეწყო რუსულ ენაზე საუბარი. კიდევ ცოტა ხანში ინგლისურის კერძო გაკვეთილებზედაც დავიწყე სიარული. ასე რომ, ენების სწავლის მხრივ არავითარ სიძნელეს არ წავწყდომივარ.

მოგვიანებითდა გავიგე – ჯერ ისევ პაპასგან, შემდეგ კი უნივერსიტეტის სტუდენტმა, რომ დედაენაზე სწავლის დაწყება ყოფილა მთელი თეორია, ჩვენი წინა თაობების მოწინავე მოღვაწეების მიერ შემუშავებული. საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავის წესდებაში საგანგებო პარაგრაფადაც კი ჰქონდა შეტანილი ეს საკითხი, ხოლო ამ მართალი ენობრივი პოზიციის მადლსა და სიკეთეს ბავშვობიდანვე მაზიარა სწორედ პაპამ.

მიუხედავად იმისა, რომ პაპამ რამდენიმე ენა იცოდა (თარგმნიდა ხუთი ენიდან: ფრანგულიდან, იტალიურიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან და ბულგარულიდან), ნარევი ენით ლაპარაკი ჭირის დღესავით სძულდა. თვითონ ხომ პრინციპულად არ ლაპარაკობდა ასე, სხვისგანაც ვერ ითმენდა მსგავს მეტყველებას.

მისი ეს თვისება განსაკუთრებით იჩენდა თავს სასურსათო მაღაზიაში, სადაც არაქართველი, ან ზოგჯერ თვით ქართველი გამყიდველები და მოღვაწეებიც თითქოსდა ანგარიშის გასაადვილებლად მიმართავდნენ რუსულს. მე თვითონ არაერთხელ შევსწრებივარ გასტრონომსა თუ პურის მაღაზიაში „გათამაშებულ“ სცენებს, როცა „პესოკთან“ თუ „სერ პურთან“ დაკავშირებით ხანგრძლივი დისკუსიები იმართებოდა. მართალია, ზოგჯერ პაპას გულიც მოსვლია, მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა გამყიდველები ხათრს არ უტეხდნენ პაპას.

იცოდნენ, რომ ის მაინც არ შეარჩენდა ენის დამახინჯებას და გამართული ქართულით სცემდნენ პასუხს. მაშინ კი კმაყოფილი ბრუნდებოდა პაპა შინ, იმ შეგნებით, რომ ამოდ არ ჩაველო მის შეგონებებს და ქების სიტყვებსაც არ იშურებდა „გამოსწორების გზაზე დამდგარი“ გამყიდველისთვის.



მეფის ქალ ვაჟების
 კათალიკოსის ბიჭისა:
 1. დიდი ჯიჯი - 7 სუაქ.
 2. სუაქის ვაჟისა 7-15 სუაქ
 3. ხელის მხარე, ახლ ვაჟების, კიხის ხეზე,
 4 სუაქის ვაჟისა 8 სუაქ.
 4. მუხის ვაჟისა სუაქის მხარე 8, 10 სუაქ.
 5. სუაქის მხარე ვაჟის მხარე 1 სუაქ.
 6. ხელის მხარე, სუაქის ხეზე და სუაქის
 (ვაჟისა მხარე, ვაჟისა ან ვაჟის) მხარე
 7. მეფისა ვაჟისა მხარე 7 სუაქის
 ვაჟისა მხარე 2 სუაქ.
 8. ვაჟისა მხარე მხარე მხარე, კიხის ვაჟისა,
 მხარე ვაჟისა მხარე 3 -
 9. სუაქის ვაჟისა მხარე მხარე
 10. სუაქის ვაჟისა მხარე 6-7 სუაქ
 11. მეფისა ვაჟისა მხარე 7-8 სუაქ
 12. მეფის ვაჟისა 7 1/2 - 8 1/2
 13. ხელის მხარე, ვაჟისა 9-9 1/2
 14. სუაქის მხარე 2 მხარე: კიხის
 ვაჟისა, ხელის, კიხის მხარე
 9 1/2 - 10
 15. მეფის ვაჟისა მხარე ვაჟისა
 16. დიდი 106 - 76

II მხარე

1. დიდი ვაჟისა მხარე, სუაქის მხარე
 + სუაქის მხარე.
 2. სუაქის მხარე, ვაჟისა, სუაქის მხარე

ერთი ღლის რეჟიმი, რომელიც თელო სახლიდან შეუღებინა შვილიშვილს - შუპიას.

თელო სახლიდან თანაცხოვრების საინტერესო ეპიზოდები სრული არ იქნება, თუ არ შევეხები ე.წ. საოჯახო სადამოებს, რომელთა უშუალო მონაწილე ვიყავი 4-5 წლის ასაკიდან. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ პერიოდიდან მივიღე ადამიანური ურთიერთობისა და კულტურის ყველაზე შთამბეჭდავი გაკვეთილები. თავისი მეგობრებისა თუ გარდაცვლილ მეგობართა ოჯახებისთვის პაპას კვირაში თითო განსახდურული დღე ჰქონდა გამოყოფილი ასეთი განრიგით:

ორშაბათი - კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის, სამშაბათი - ალექსანდრე მიქაბერიძის (ელისური მითების მთარგმნელის), მოგვიანებით - ჩვენი ნათესავების - ხვედელიძეების ოჯახი, ოთხშაბათი - ექიმის, პროფესორ ვეგენი შალამბერიძის, ხუთშაბათი - შიო არაგვისპირელის (დედაბრიშვილების), პარასკევი - სოლომონ ცაიშივილის, შაბათი - აგრონომ კოლა ყავერიშვილის, კვირა - ვასილ ბარნოვის ოჯახი (ბარნაველები).

შიგადაშიგ, დაუპროგრამებლად, უფრო დღისით, გზად შევივლიდით ან ფუკოლ ბერიძესთან ან სიმონ ჯანაშიასთან.

დავდიოდით გერმანული სიზუსტით. სადამოს 8 საათზე უსათუოდ ადგილზე უნდა ვყოფილიყავით. როგორც იგონებენ, ჩვენს ზარსა თუ კაკუნზე საათის გასწორებაც კი შეიძლებოდა. ყველგან პაპას თან დაჰქონდა კილო ან ნახევარი კილო შაქარი და - სადაც სახლის პატრონი ეგულებოდა - თითო ბოთლი ღვინო „მუკუზანი“. შაქრის ტარება იმით იყო გამოწვეული, რომ პაპა ჩაისაც ბევრს სვამდა და შაქარსაც ბლომად იყრიდა. იმხანად კი შაქარი ჭირდა (ომის გამო) და პაპას არ უნდოდა, მასპინძლებს ოდნავ მაინც ეზარაღათ ჩვენი სტუმრობით.

ამ სადამოების მნიშვნელობა, ცხადია, ბავშვობაში სათანადოდ არ მქონდა გაცნობიერებული. აქ გამართული დარბაისური ბაასი ამდღებულ თემებზე ჩემს გულსა და გონებას დიდად არ ეკარებოდა: თვალი და ყური ერთთავად თამაშსა და თავშესაქცევ ამბებზე მქონდა გაფაციცებული. მაგრამ ეს საუბრები თავის კეთილისმყოფელ გაკვლენას მაინც ახდენდა - უჩუმრად, თანდათან, მაგრამ მტკიცედ და დაბეჯითებით. და მე მიმანია, რომ სტუმარმასპინძლობის ამგვარი ჯანსაღი ტრადიციები, როგორც ადამიანთა ურთიერთობის უთვალსაჩინოესი გაკვეთილები, მხოლოდ სიკეთის მომტანია ჩვენი მოზარდი თაობისათვის და ყოველივე ეს უეჭველად უნდა გაგრძელდეს, რათა ეს კულტურა არ დაიკარგოს.



ქავი ზღვის პირს ქავი მუხა

ბიორბი ლეონიძე

მარტოდმარტო შრიალებდა,
ქავი ზღვის პირს ქავი მუხა
და რამდენიერ ჰქონდა ზზარი,
რას იმდენჯერ დაეჭყუა.

ზღვის ჩიტები უვილით სმით
ესეოდნენ ცყუთა ნარჩენს,
ნისკარტებით ზედ აფენდნენ,
რისარცყუელას ჩამონაჭრებს.

ნისკარტებით რიდან სხივი
და რვარ-ნამი ჩამოჰქონდათ
და რამდენიერ ევალოზათ,
სეს იმდენი ზზარი ჰქონდა.

ქავი ზღვის პირს ქავი მუხა,
მარტოდმარტო შრიალებდა,
ტიტველ მკერდზე ილენავდა,
ტალღებს, ნისლით მფშვინვარეთა...

მუხა იღვა, როგორც ვეფხვი,
ვეფხვზე უფრო მრისხანებდა,
და რამდენსაერ ზღვა დაჰკრავდა,
იმდენ ფესვებს იმატებდა!





„ჯვარი მწყალობს, ჯვარწყული“

დალი მუხაძე

თეთრმა ნისლებმა ერთიანად გადაბურეს სველი ქალაქი. ნისლებმა ხსოვნა გააღვიძეს და შორს, შორს ბავშვობაში გააქროლეს ჩემი ფიქრები.

აი, პაპიდა ზის თავის პატარა ოთახში და კერავს. თბილ შუქს გამოსცემს ძველი, მწვანე ლამფა. დიდინებს პაპიდა, ნაღვლიან მელოდიას ალაგბავს საკერავს. მე იქვე ვდგავარ, ძლივს ვწვდები მაგიდას და გაოცებული, ცნობისმოყვარე შევსცქერი მოხუცს – პაპიდა ტირის. მერე ირევიან ტალღები, შემოდგომის ფოთლები, ფიფქები. პატარა ოთახში დუმელი გუზგუზებს – მამა მიკითხავს „ვეფხისტყაოსანს“. დიდი წიგნია, ვერც კი ვიჭერ ხელში. მამა კი არ კითხულობს, თითქოს მღერის. მე არ მესმის სიტყვები, მხოლოდ მელოდიას მივყვები და ბავშვურად ვეკითხები მამას:

- მამა, ტარიელი სად ცხოვრობს?

მამას ეღიმება. კვლავ ნისლში იკარგება მოგონებათა თეთრი იალქანი.

ბაბო (ასე ვეძახი მამის დედას, რადგან ქართლელია) მიყვება ომში დაკარგულ თავის ძმაზე. არსენა ერქვაო. ერთხელ სოფელში საყაჩაღოდ მოსულ რვა ბიჭს გამოჰკიდებია, გზა მოუჭრია, რვავეს წინ დახვედრია და ისე უცემია, რომ მომხდურებს დიდხანს ახსოვდათ მისი მუშტის ძალა. ქეიფი და ღვინო უყვარდაო, შექქეიფიანებული სოფელში რომ ჩამოივლიდა, არსენა მოდისო, და ზოგი ფანჯრებსაც კი ხურავდა შიშით. ომში რომ წაიყვანეს, არც წერილი მიუღიათ, არც დაღუპვის ცნობა. ბაბო სევდიანად იტყოდა, თოფი რომ მისცეს, გაუკვირდა, კაცს როგორ უნდა ვესროლოო.

- არა, შვილო, იმას მაშინვე მოკლავდნენ, საწყალი გული ჰქონდა!..

ირევიან სურათები, ჩემი ცხოვრებიდან წასული ადამიანების სახეები... აი, ბებია (დედის დედას ბებიას ვეძახი, იმერელი მელაძის ქალია) - პარტიული, უფრო სწორად, კომუნისტი, ძილის წინ ჩუმად მიჩურჩულებს:

- ბებია, ლოცვა თქვი, ლოცვა. ანგელოზებს გაუხარდებათ და კარგ სიზმარს დაგასიზმრებენ:





დავწვები დამეძინება, პირჯვარი დამეწერება
(ამ დროს პირჯვარს გადამსახავს),
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
სასთუმალს დამესვენება.

ჯვარი მწყალობს ჯვარცმული,
ჯვარი პატიოსანი,
ჯვარი მწყალობს ჯვარცმული,
ვერას მაკლებს ავსული.

მეც ტკბილად მეძინება ბებოს მკლავებში
ჩახუტებულს და ლამაზ სიზმრებს ვხედავ.

ოო, დედა, დედა... დედა კი ყველაზე საოცარი ქალი
იყო ამ ქვეყანაზე. ოთხი წლის ვიყავი, პირველად რომ
ოპერაში წამიყვანა, „დაისზე“. თვითონ უტკბილესად
მღეროდა. განსაკუთრებით უყვარდა მაღხაზის არია -
„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია...“ თან ხუმრობდა ხოლმე:
- წამოწოლილი ერთი სარაჯიშვილი მღეროდა და
მეორე მე!

სულ მხატვრების ალბომებს ყიდულობდა, წიგნებს
ხომ ნუ იკითხავთ!

ხშირად მიმეორებდა, არ შეიძლება, ადამიანი,
რომელიც მღერის, ლიტერატურა და პოეზია უყვარს,
თეატრი უყვარს, ცუდი ადამიანი, ცუდი ქართველი
იყოსო.

ქარი აწვალავს ჭადრის ხეებს...

ნისლი იფანტება...

იდარებს...

შორს ჩნდებიან დათოვლილი მწვერვალები...

შეირხა ხსოვნის მარად დაჭიმული სიმი; და უეცრად
სივრცე გაკვეთა პაპაჩემის ბროლივით წკრიალა ხმამ:

მიდის, მიფრინავს წუთისოფელი,

ბრუნავს ქვეყანა, ტრიალებს ჩარხი,

მიქრის სიცოცხლე, მისდევს სიკვდილი,

ათასნაირად ირევა ხალხი.

და ახლა, როცა ხშირად ვეკითხები ჩემს თავს,
რატომ ვარ ქართველი, მაინცდამაინც ქართველი და
არა ინგლისელი, ან ფრანგი, პასუხი ისევ ხსოვნაშია,
იმ ადამიანებში, რომელთა დიდი, მარადიული მძლავრი
ხის ერთი ყლორტი ვარ მხოლოდ, ბებერ ფესვებზე
ჩაჭიდებული.



მიაგებთ მათზე, ვინც იპოვა სიცოცხლის აზრი

ნუნუ ჯანელიძე

იქნებ, ჩიტებსაყრ აქვთ საყვარელი ბილიკები რაში, სადაყრ ფრენისას თავს ბედნიერად გრობნობენ.

მებრალღობა ამოღბას მოჭაჭგურე ხალხი.

ყველას ერთი ღა იგივე რომ ღაენიზომროს, სიზომარიყ აღარ ერქმევა.

იქნებ, არიან ისეთი ადამიანებირ, რომღებირ თავიანთ თავში აჭარებენ ორივე ნახევარს ღა ასე მთღიანები, მაგრამ მარტოსულღები, მიყყებინან ნყთისოფღლის მიძიე გზას.

სხვის ხარჭზე პაჭვივისმყემელნი ყვეღაზე ქვანვიები არიან.

თყ საღინარი არ მიყრა, ნყარორე ჭბად ან სყღარე ჭაობზად გაღაიქყევა. საორარია: ჭაობზირ, იქნებ, თავის თავში აჭარებს ნყაროს.

რარ სხვამ ღამიძავა, ბყნღოვზად მახსოვს: რარ სხვას ღავყშავე, ღღესარ გყღს მიკყმიშავს.

ნყრაფერს მეჭყვით ამოღბის შემყურე ხალხიზე: ვის რა აყვია, ვის რა აქვს: მიამბღეთ მათზე, ვინე იპოვა სირორეხღლის აზრი!

რატომ ვეძებთ საჭანის სიღრმეებს, ვეძიოთ ღვთის სიღრმეები.

მიამინ ვმარეხღებით, რორა თავის გამოჩენის სყრვიღი გვიჩნღება.

ვერ ვისნავღეთ, ყფაღს მივანღოთ ჩვენი საქმეები, სამართაღს ვეძებთ ყსამართღოო ქვეყნიერებზში.

ბყნებრიობზ ყვეღვან ღა ყოვეღთვის მეგობარივითავა.

ყვეღა თავისი საქმით ამონმებს, ვის მიხარესავა: ღვთისა თყ ეშმაკის.

თყ მეგობრობის საერთო გობიღან ჭამა გაღანყვიჭე, გყღორ ღა ხეღებირ სყფთა ყნღა გქონღეს.

ტყყიღებინგან გათავისყფღებყღი სიძართღე მინარევებინგან გათავისყფღებყღო ოქროს ჰგავს.

იოღია ქვეღმოქმეღება, რორა შენი არაფერი მიღის.

ვერაფერი ამოავსებს ადამიანის სყღის ყფსკრყღს, ღვთის სიჭყვის გარღა.

ერთ ღროს მეყ „ღიღ რამეს“ ვეძებღი, ახღა ღვთის გზებს ვეძებ, საყყთარი სყღი რომ მოვიპოვო.

ნესებს ვყღგენთ სხვებს, მაგრამ რა ვყყოთ მათ, რომელნიყ ყპირობზოდ გვიყვარს.

ღავაკვირღით, როგორ ამშვიღებზ ღა აკეთიღშობიღებზ ადამიანის სახის ნაკვეთებს ღვთის რნმენა ღა სიყვარყღი.

იქნებ, ყვეღამ ყვეღას ენა არ იყის, მაგრამ სიყვარყღი ყვეღა ენაზე იკითხებზ ღა მეჭყვეღებს.



ქრისტეს სასწაულებების დროსავე მხოლოდ ძლიერი რწმენისანი იკურნებოდნენ.
სინდისი, მეტ-ნაკლებად, ყველას აქვს, მაგრამ სხვაა ღვთის მიერ განსწავლული სინდისი.

განა მაინც ზნელოს არ ვეზიარებით, თუ ორ ზოროცებას შორის ვაკეთებთ არჩევანს.

რა ძნელია, ამ წარმართულ სამყაროში თავი დაიყვანო კერპებისგან.

თავს ნუ დაიმშვიდებ იმით, რომ მტერი ნერტილივით მოჩანს; შენ ხომ არ იყი, გმორღება თუ გიახლოვდება იგი.

რა მნიშვნელოვანია აქვს ასაკს, როცა იმ მარადიულობის ნაწილი ხარ, ღმერთმა რომ ჩვენს გულში ჩადო.

განა იმაზე მეტი ვიცი, რისი წვდომის უნარი უფალმა გვიბოძა?!

ღმერთს სახელს უტყვიენ უღმერთო თავგანისმყრელები.

ინტყირია საოჯარი ნიჭია, მაგრამ მტკიცებულებად არ გამოდგება.

მარადიული დროებითს არ უნდა შევნიროთ.

კარგობაშიშენას ღვთის გომზამდე მივყავართ.

საკუთარ სულის შეგაძლევენ სხვის კარზე სამათხოვროდ სიარული.

გამარჯვება მტრების დამარჯვება კი არა, მათ შორის შეძენილი მოყვარება.

საკვირველია, სხვისთვის მიყმული ზრძხული რჩევები ჩვენ რატომ არ გვახსენდება დროულად.

სატანას არ მოუძველდება ხრიკები, სანამ თანამოაზრეები ჰყავს.

მტრებზე უფრო გულს მტრებისგან გადაზრებული მოყვრები გვტკენენ.

წვრილმანის უგულვებელყოფამ შეიძლება დიდი უსიამოვნება მოგვიტანოს.

ზნელი ხალხი, რომელთა გულს ჯერ არ შეხებია ღვთის სიტყვა, ითხოვს კერპს.

მავნე ჩვევები სიამოვნების ნაწილია.

მარტოობა სრულდება, როცა ღმერთს უმეგობრდები.

ჩვენი გულის საიდუმლოს ყველაზე ახლოზღოები გასრემენ.

მნიშვნელოვანი საქმე თავს მნიშვნელოვნად გაგრძობინებს.

ვინ გიყვარს ან გძულს, თავს არასოდეს დაგავინწყებს.

კარმა რომ თქვას, ადამიანები მიიქმნა და ღვთისგან უფრო ვუჭერებთ, ვიდრე ღვთის სიტყვას.

როცა სხვა არჩევანი არ გაქვს, გემოვნება რა შუაშია.

სულიელი სასახლეშიერ სულიელად დარჩება.

ჭირით ვაკეთებული სიკეთე უზნეობაა.

ჩვენ დამარჯვებებით ვიზრდებით, მაგრამ სიმაღლეებს მაინც გამარჯვებებით ვაღწევთ.

იმიტომ კი არ უნდა დაადგე ღვთის გზას, რომ არაფერი გაქვს, არამედ ყველაფერი უნდა მიატოვო და ღვთის გზას დაადგე.



ტრაპიზონი - ისტორიული საქართველო!

ვანტანბ ჭანიბა

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტრაპიზონის იმპერიის (დღევანდელი თურქეთის ნაწილი) ისტორიულად არსებული ტერიტორია ოდითგანვე ქართველური (ლაზურ-ჭანური) ტომებით იყო დასახლებული. ისტორიულმა კატაკლიზმებმა ძირძველი ქართული მიწები – ტაო კლარჯეთი, ლაზეთი (თურქეთი), საინგილო (ახერბაიჯანი), ლორე-ალავერდი (სომხეთი) დღეს უცხო ქვეყნების მფლობელობაში მოაქცია.

აღსანიშნავია, რომ XX ს.-ის 90-იანი წლებიდან, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან ლაზეთში ნაციონალური ცნობიერების გამოვლიძების ტენდენციები გამოიკვეთა: მომრავლდა ლაზურ სამოსსა და, ასევე, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ახალგაზრდების რიცხვი, პატრიარქის – ილია II-ის კურთხევით ქართული ქრისტიანული წესების დაცვით მოინათლნენ მოზარდები, სკოლებში თანდათან ფეხი მოიკიდა ქართული ენის სწავლებამ, საქართველოდან გატანილი ვაზის სხვადასხვა ჯიშისგან დაიწერა ღვინო...

ტრაპიზონის იმპერიაზე, ამ ისტორიულად ქართული მიწის დაბრუნების არაერთ მცდელობაზე საუბარი პუბლიკაციაში. ღმერთმა ნუ ქნას, მარიამ ღვთისმშობლის მადლი მოაკლდეს ძირძველ ქართულ-ისტორიულ კუთხეებს - ლაზეთს, ტაო-კლარჯეთს, საინგილოს (პერეთს) და ლორე-ალავერდს, სადაც დღეს ჩვენი ქვეყნის იურისდიქცია არ ვრცელდება.

„ტრაპიზონში ცხოვრობდნენ კოლხები“

ჰომეროსის „ილიადაში“ ტროელების დასახმარებლად შორეული ალიბის (ხალიბის) მხრიდან მოვიდნენ ჰალოძონები (ხალიბები). ძველი ბერძენი ისტორიკოსები ქსენოფონტე და სტრაბონი ხალიბების სინონიმად მიიჩნევენ ხალდებს, რომელთაც VII ს.-ის სომხური „გეოგრაფია“ ჭანებთან აიგივებს.

ქ. ტრაპიზონი ბერძნებმა დააარსეს ძვ.წ.აღ.-ით 756 წელს. ძვ.წ.აღ.-ით V ს.-ში ქსენოფონტე თავის ნაწარმოებში „ანაბასისი“ წერდა: „ტრაპიზონში ცხოვრობდნენ კოლხები“.

ძვ.წ.აღ.-ით 302-64 წ.წ.-ში ტრაპიზონი შედიოდა პონტოს სამეფოში, რომლის მოსახლეობის დიდ ნაწილს ქართველური ტომები (მოსანიკები, მაკრონები, ჭანები, ხალიბები) შეადგენდნენ.

ახ.წ.აღ.-ით I ს.-ში ტრაპიზონში ქრისტიანობის საქადაგებლად ანდრია პირველწოდებული ჩავიდა. „ქართლის ცხოვრებაში“ წერია: „მოვიდა... ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ



არს სოფელი მეგრელთა“. IV ს.-ის საეკლესიო ისტორიკოსი ეპიფანე ტრაპიზონს „ლაზების ქალაქს“ უწოდებს. მოგვიანებით, XI ს.-ში ტრაპიზონის მხარეს სამეგრელოდ მოიხსენიებს გიორგი მთაწმინდელიც. VIII ს.-ის მეორე ნახევარში რიზე და ტრაპიზონის



მხარე „აფხაზთა სამეფოს“
შემადგენლობაში შევიდა და ეს
კავშირი გრძელდებოდა IX ს.-შიც.

X ს.-ში ტრაპიზონმა მოიპოვა
დამოუკიდებელი სავაჭრო
ცენტრის სტატუსი. აქ ვაჭრობდნენ
მთელი მაშინდელი სამყაროდან
ჩამოტანილი საქონლით.



სუმელას მონასტერი. ლაზხეთი. IX ს.

იმპერიის დასასრული

1071 წ. მანასკერტთან ბიზანტიის
ჯარის მარცხის შემდეგ შავი ზღვის სანაპიროზე აქტიურ ლაშქრობას იწყებენ თურქ-სელჩუკები.
ტრაპიზონის მმართველები – გაბრასები დამოუკიდებლად უმკლავდებიან თურქ-სელჩუკთა
შემოსევებს მთელი XI ს.-ის მანძილზე.

**გაბრასები – (გაბრიჩიძეები, გაბრავები) – ხალდია – ჭანეთის ადგილობრივ თავადთა
საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ.** თურქ-სელჩუკები მცირე ხნით (1072-1073 წ.წ.-ში)
დაეუფლნენ ქ. ტრაპიზონს; მაგრამ მალე აქაურმა მმართველმა - **თეოდორე გაბრასმა** ტრაპიზონი
უკან დაიბრუნა.

თეოდორე გაბრასის ლაზურ-ჭანური წარმოშობა ეჭვგარეშეა. ამას ადასტურებს ბიზანტიელი
ისტორიკოსის **გიორგი პახიმერეს** ცნობაც. კერძოდ, 1267 წ. ვინმე **გერმანეს** კონსტანტინოპოლის
საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებასთან დაკავშირებით **გიორგი პახიმერე** აღნიშნავს, რომ იგი
იყო „**ტომით სრულიად ნამდვილი ლაზი, სწორედ ისევე, როგორც გაბრასი**“.

და მაინც: ტრაპიზონის იმპერიის შექმნის თარიღად მიჩნეულია 1204 წელი. XII-XIII ს.ს.-ის
ცნობილი ქართველი ისტორიკოსი **ბასილ ეზოსმოდგარი** წერს: „**თამარ მეფემან წარგზავნა
მცირედნი ვინმე ლიხთიქითნი, და წარუდეს ლაზია, ტრაპიზონი, ლომინი, სამისონი, სინოპი,
კერასუნდი, კოტიორა, ამასტრია, არაკლია და მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნენოსს.**“

თამარის დროს საქართველოს საზღვრები მოიცავდა ტერიტორიას ნიკოფსიიდან
დარუბანდამდე. მის შემადგენლობაში ეთნიკურად არაქართულ მოსახლეობასთან ერთად
(სომხეთის ნაწილი, არზრუმი, განძის სასულთნო, ქაშაგეთი, ოფსეთი, დურძუკეთი, ღუნძეთ-ღეკეთი)
შედიოდა ტრაპიზონიც.

ტრაპიზონის იმპერიის კეისარს გიორგი პახიმერეც უწოდებს „ლაზთა მეფეს“.

თამარ მეფის გენიალური გამჭრიახობით შექმნილმა ტრაპიზონის იმპერიამ, რომელმაც
ბუფერის როლი შეასრულა საქართველოსა და თურქ-სელჩუკებს შორის, 1461 წელს შეწყვიტა
თავისი არსებობა.

ლაზეთის დაზარუნების კიდევ ერთი მყდელი

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წ.წ.) მსვლელობისას რეალურად დაისვა ლაზეთის
(ყოფილი ტრაპიზონის იმპერია) ხელახლა შემოერთების საკითხი. 1916 წელს რუსეთის ჯარებმა
დაიკავეს მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ერზრუმი, ერმინჯანი, ხოლო ამავე წლის 2 აპრილს აიღეს
ტრაპიზონი.

ლაზეთით დასახლებული ტერიტორია, რიზესა და ხოფას შორის, უშუალოდ ბათუმის ოლქს,
როგორც რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ოლქს, ისე შეუერთდა.

1918 წლის დამდეგიდან საბჭოთა რუსეთმა დაიწყო თავისი ჯარების გაყვანა ომის დროს
დაკავებული ოსმალეთის ტერიტორიიდან. ოსმალეთმა დაარღვია ერმინჯანის ხელშეკრულება და



შეუდგა ქართული ტერიტორიების დაპყრობას. იმავე წლის 9 მარტს ოსმალების ჯარებმა აიღეს ტრაპიზონი. თუმცა პირველ მსოფლიო ომში მუდროსის ზავის თანახმად, ოსმალებმა გამოიყვანა ჯარი დაპყრობილი ტერიტორიებიდან. ოსმალებისგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე საქართველომ ჯარი შეიყვანა. ხელმეორედ გაჩნდა შანსი ტრაპიზონისა და სრულიად ლაზეთის დაბრუნებისა.

1918 წლის 12 მარტს ტრაპიზონის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ შენობაში შედგა კრება. სხდომას 500-ზე მეტი ლაზი დაესწრო. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ტრაპიზონის ქართველებში პოპულარული პიროვნება გოგოლაშვილი. დასასრულს, კრებამ სასურველად სცნო, რაიმე სახით ტრაპიზონში დაარსებულიყო ქართული საზოგადოება.

„სქიდას ლაზობა დო მთელი ოქუროთურა“*

1919 წლის იანვარში პარიზში გაიხსნა სამშვიდობო კონფერენცია, სადაც ბერძნებმა წამოაყენეს იდეა ლაზებით დასახლებულ ტერიტორიაზე პონტოს სახელმწიფოს შექმნის შესახებ – საბერძნეთის პროტექტორატის ქვეშ. საქართველოს დელეგაცია არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და მოითხოვა ლაზეთის (ტრაპიზონის ვილაეთის) შემოერთება საქართველოსთან იმ მოტივაციით, რომ ეს ტერიტორია ისტორიულად და ეთნიკურად ყოველთვის ქართული იყო.

1919 წ. ქემალ-ფაშამ სივანში მოიწვია ეროვნული ყრილობა; ერზრუმის კონგრესმა მიიღო დეკლარაცია ლაზისტანის თურქეთის განუყოფელ ნაწილად ცნობის შესახებ, რასაც არ დაეთანხმა ანტანტის სახელმწიფოთა უმადლესი საბჭო.

ვითარება ტრაპიზონთან დაკავშირებით დაიძაბა მაშინ, როდესაც ბოლშევიკურმა რუსეთმა 1921 წლის 23 თებერვალს მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია. უორდანიას მთავრობის ნებართვით (რუსეთის აგრესიის შემთხვევაში) ლაზეთისა და ტაო-კლარჯეთის დაცვას თავის თავზე იღებდა ოსმალეთი. თუმცა ქემალისტურმა თურქეთმა დაარღვია ეს პირობა და ართვინის, რიზესა და მაკრიალის ოლქები ოსმალეთის განუყოფელ ნაწილებად აქციეს.

ქემალისტური თურქეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას 1921 წლის 12 აპრილს ტრაპიზონის ვილაეთის სოფელ მამანათში მოჰყვა ლაზების საყოველთაო აჯანყება, რომელსაც სათავეში ედგა სოფლელი დურგალი ჰასან იმამიში. აჯანყებას ჰქონდა სხვა მიზეზიც. ოსმალეთის ხელისუფლებამ მათ ქართულ ენაზე სწავლის უფლება აუკრძალა და ქართული სკოლა დაუხურა. ოსმალების მიერ აგორებული პროპაგანდით, ლაზები ქართველები არ არიან და, აქედან გამომდინარე, არც ქართულ ენაზე სწავლა-განათლება ესაჭიროებათ. ხუთ ასეულად დაყოფილი „ლაზური ასკერიის“ მეთაურები იყვნენ:



ლაზეთი. სუმელას ტაძარი. ღვთისმშობლის ფრესკა.

ომარ ნარაკიში, ჰუსეინ ხეტიში, ასლან ოღუბაში, ილიას მაჭახელიში. ლაზებმა თბილისში კაცი გაგზავნეს, სადაც მათ მხარდაჭერა აღუთქვეს. 1921 წლის 7 მაისს ოსმალებმა შტურმით აიღეს სოფელი მამანათი და ლაზი მეთაურები სიკვდილით დასაჯეს. ხასან იმამიშმა სიკვდილის წინ ლაზებს შემოუძახა:

„სქიდას ლაზობა დო მთელი ოქუროთურა!“

P.S. საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა – ეს საკრალური ფრაზაა, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ქართველურ ტომთა ეთნიკური მკვიდრობის ადგილიც, გადაჭიმული სამფლობელოც და მიწის ნაწილიც, მარიამ ღვთისმშობელს რომ ერგო ქრისტეს მცნებათა გასაფრცველებლად.



ბერმანე შატავია

წოყფური კრებუდი, ამ ცოცხ ხნის წინ რომ გამოსცეს გერმანე ფაცაციას მეგობრებმა (ლაცთინანსა ბაცონმა ჯემარ ხარებაცამ), ამქვეყნილან უღროლოდ ხასული და თავის ქვეყანახე მეყვარებუდი მართადი კაცის გულისცკვიდით გამობაცუდი თიქრებია. ცოცხ ვინმემ თუ იცოლაც, ლექსებს რომ წერლაც. ღამახლ იცხოვრაც. უკან მოსახელ გხახე კი მისით მალღიერი ღაც ამაცყი სამეგობრო ღაცოვაც.

„ჩუენი სიცოცხლე სიკვდილის უსამველო რექციციაცს ღაცემსგაცვაცს“ „ვსუნთქვაც ღაც ისიც ხისილაც“ - სლეთი სიმძაცტრით გამობაცაცვლაც გერმანე ფაცაციას მმობღიურ სოხუმთან გაცნმორებაცს.

ბელით დედანაცვალა

ახალი წლის დადგომამდე ეხით საათით ახე მახჩანიშვილის თუახითან მამსანი ქალი მხესუმხიხას ჰყიდლაც.

მზით მიტოვებულს მხესუმზირას სურს, მახიაროს, მე კი გვერდს ვუვლი უღარდელად, სულს არ ვიწვალებ, ხვალღდან უკვე სხვაც ბიღიკით უნლაც ვიარო, საწუთროვ ჩემო, ეს ბიღიკი გამომიცვალე.

არვინ ყიდულობს მზის მონაგარს საცოღაცვისგან, სულ სხვაცგან გარბის მოზეიმე ფიქრი მაცვანის, ველარ დავიწყებ ველარაფერს აწი თავიღან, დამემღურებაც გაცხაფხულხე იასამანი.

უსახრისოაც მხესუმზირის გამყიდველ ქალის ღაც ჩემი ყოფაცაც ასეთიაც, რაკი დაცვებღი, გაცღაცფერენილაც მზიანეთში შაცი მერცხალი, გაცუტაცცნია თაციგული იასამნების.

მაინც აქაც ვარ, ძველ ბიღიკით ვტკეპნი ტკივილებს, აღარსად გღია მხესუმზირის ერთი მარცვალიც ის ქალი, აღბათ, ღაცრსეულად გაცმოიტირეს, როგორც დელაც დაც როგორც ბელით დედინაცვალღი.



ისე ცივდება ყოფაც

ვერ ვიმორჩილებ სიტყვაცს, ველარ ვპოულობ ღაცქსს, აღბათ, წამოვაც სეტყვაც, ძაღღი მოლოკაცვს ღაცკვს.

ვეა მოისვრის ფოთოლს, სუნთქვაცს შეუკრაცვს ღაცღვს, ავი რაცღაცაც ხღებაც ამ საწუთროში ღაცღვს.

ისე ცივღებაც ყოფაც, თითქოს შესცივღაც მხეს.





თამა გურბუჯაშვილი

დიდი გადაწყვიტონის ცნობილი რეჟისორი ამონარიდი „ოლონდ ქართული ილუსტრირებული ჟურნალი“ „ილუსტრირებული“ სხვადასხვა რუბრიკის სახელოდებდა. პირველი ქართული ენის გავრცელების საფუძვლიანი ენის მასწავლებლებს უწოდებდა. „რა ენა ნახლავს“ - ამ სათაურით დღეისათვის მეცად აქტუალურ პრობლემას საუბარს იწყებს ფილოლოგიის მეცნიერებთა აკადემიური დოქტორი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი - თეა ბურჭულაძე.

ქვეყანაში, სადაც „ლენინის“ ძეგლს უღვამენ (ამის პრეცედენტი მსოფლიოში არ გვხვდება), სადაც ნიგნს იუბილეებს უხდიან (მარე „ლენინის“ დაბადების 140 წლისთავი აღინიშნება), ჩვენსა დასავლეთში, სადღეისათვის ენა დაუცველია. ერის ნახლავსაც აქვს იწყება, ბრძანებდა დიდი ილია.

ამ სფეროში სახელმწიფოებრივი პოლიტიკის როლსა და მნიშვნელობას საუბრისას პუბლიკაციის ავტორი გულისხმობს, რომ ალბათ, რომ სხვა ენებისადმი პატივისცემას საკუთარი ენის სიყვარულიდან იწყება; რომ ენა, როგორც საღვთო საგანი და მთავარი ეროვნული ფასეულობა, თითოეული ჩვენთაგანის საჭიროსუფერია.

„რა ენა ნახლავს“ ბარბარიზმები

თამა გურბუჯაშვილი

დღეს საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ამასთან, პრობლემატური საკითხი ქართული ენის სიწმინდე და მისი დაცვაა. ჩვენი ენა ხომ ქართველობის, სახელმწიფოებრიობის უმთავრესი ნიშანია. მაშინ, როცა ეროვნულობის არსებითი ნიშანი ენა უნდა იყოს, სალიტერატურო ქართული ენა ჩვენივე უღირსობისა და დაუღვრის გამო მახინჯდება, ნაგვიანდება, თავის გამომსახველობით ძალას კარგავს.

მდიდარი კულტურული წარსულისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის მქონე ქართული სალიტერატურო ენა შეირყვნა ბარბარიზმებით, უამრავი უცხოური, ჩვენი ენობრივი ფორმისთვის შეუფერებელი სიტყვების შემოჭრით.

ბარბარიზმი აღნიშნავს ამა თუ იმ ენაში უცხო ენიდან გაუმართლებლად, „ბარბაროსულად“ შემოჭრილ სიტყვას. ბარბარიზმია ყოველი უცხო სიტყვა (და არა მხოლოდ ერთი ენის), რომლის საჭიროებაც ენაში არ არსებობს, რადგან შესაბამისი შინაარსის სიტყვა მას უკვე მოეპოვება. ასეთად ჩაითვლება, ასევე, ისეთი სიტყვები, რომლის გამოყენებაც ჯერ სპეციალისტების მიერ არ არის სანქცირებული.

აუცილებელია იმის გააზრება, რომ ენობრივი და მეტყველების კულტურა საერთო



ივანე ბობაქაშვილის „დედაენა“ 1876 წ.

კულტურის ნაწილია. როგორც კი პიროვნებისა და საზოგადოების მენტალური დონე ეცემა, ავტომატურად იცვლება მისი ენობრივი საზღვრებიც. ენობრივი ჩვევები ყალიბდება ფაქტობრივ წიგნიერებასთან ერთად.

ბარბარიზმების დამკვიდრებას ბევრი ფაქტორი უწყობს ხელს. უპირველესად, ჩვენივე დაუღვრობა ენის მიმართ, სახელმწიფოს სუსტი პოლიტიკაც. მოქალაქეებს გააზრებული არ აქვთ, რას ნიშნავს ეს პრობლემა და რა ზიანის მიყენება შეუძლია მას თითოეული ჩვენგანისათვის. ჩვენს საზოგადოებაში კულტურის ეს ზოგადი სფერო არასახარბიელო მდგომარეობაშია. იმას ვერ მივაღწიეთ, რომ არათუ ქუჩაში, სასაუბრო მეტყველებისას, არამედ უნივერსიტეტებისა და სკოლების პედაგოგებიც კი თავს უფლებას აძლევენ,



ბარბარიზმებითა თუ სხვა დამახინჯებული ფორმების გამოყენებით ისაუბრონ. უფრო მეტიც, ეს თითქოს მანერადაც კი იქცა.

აღსანიშნავია, რომ ადრე რუსული ბარბარიზმების დამკვიდრებას არა მხოლოდ ენათმეცნიერები, საზოგადოებაც სერიოზულად აკონტროლებდა. მას მხოლოდ განათლებით დაბალი დონის წრეში თუ იყენებდნენ. ამას, ცხადია, განაპირობებდა ის, რომ ჩვენთვის რუსული იყო აგრესორის ენა და პოლიტიკური იდეოლოგიაც ამისკენ იყო მიმართული: არ ვიღებდით მას.

სამწუხაროდ, დღეს არსებული ბარბარიზმების ნახევარი მაინც ნაწილია იმ რუსული ბარბარიზმების, რომლებიც მაშინ არ გამოიყენებოდა. რატომ? ისევე კულტურის დაცემის გამო!

ბევრი ბარბარიზმი უკვე ოფიციალური გზით შემოიჭრა ჩვენს მეტყველებაში და მას გამოვიყენებთ ისე, როგორც ჩვეულებრივს.

მაგალითად, **თინეიჯერი** ბარბარიზმია, მას აქვს ქართული შესატყვისი - მოზარდი. **ტრენერი** და


ტრენინგი ახლა საგანმანათლებლო სივრცეშიც კი ოფიციალურად გამოიყენება. არადა, არავის არ გადაუწყვეტია, რომ წვრთნას ტრენინგი ეწოდოს. სპორტულ ტერმინოლოგიაში რუსულის გზით შემოსული **ტრენერი** და **ტრენინგოვკა** უპირობოდ იყო ჩარიცხული ბარბარიზმების რიგში. დღევანდელ საგანმანათლებლო ლექსიკონში კი იგივე სიტყვებმა ინგლისურის გზით (ტრენერი და ტრენინგი) უმტკივნეულოდ დაიმკვიდრა ადგილი. დღეს ყველაზე ხშირია შემდეგი რუსული ბარბარიზმები:



- პროპკა - საცობი
- პროსტა - უბრალოდ
- ტორმუზი - მუხრუჭი
- კაროჩე - მოკლედ
- ვაფშე - საერთოდ
- პაკრიშკა - საბურავი
- კანატკა - საბაგირო
- პოლი - იატაკი
- ნაუშნიკი - ყურთსასმენი
- შნუროკი - თასმა
- კუხნა - სამზარეულო
- რული - საჭე
- შკაფი - კარადა
- ტუფლი - ფეხსაცმელი

და უამრავი სხვა...

გვახსოვდეს: თუ ჩვენს ცნობიერებაში ჩაჯდება ბევრი უცხოური სიტყვა, რომლის ქართული შესატყვისიც გვაქვს, ამით ენას გავაღარიბებთ. ეს მშობლიური ენისადმი უპატივცემულობაა; მაგრამ ეს არც ინგლისური და არც რუსული ენებისადმი სიყვარულია. სხვა ენებიდან სიტყვების ასე დაუფიქრებლად შემოტანით არც იმ ენებს ვცემთ პატივს და არც ჩვენს ენას. ყველამ უნდა გააანალიზოს ის, რომ უცხო ენებიდან არასაჭიროებისამებრ სიტყვების შემოტანით ვგნებთ ნაციონალურ ენას.



კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ბუჯარი. 1597 წ.

ენის დაბინძურებას უნდა ვებრძოლოთ იქ, სადაც ეს ჩვევები ყალიბდება. ესაა სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები... თუ ახალგაზრდამდე სათანადოდ მივიტანთ კლასიკოს მწერალთა ქართულს, მაშინ სწორად გამოვიმუშავებთ ენობრივ ჩვევებს. ეს თუ არ

მოხერხდა, მოზარდი აითვისებს იმას, რასაც აწვდიან.

მაგალითად, მუდმივად ტელევიზორთან მიჯაჭვულობა რყენის ენას. ასევეა, ინტერნეტიც. სოციალური ქსელი ხომ ძალიან ფართო ასპარეზია ამისთვის.

დღეს მედია, ფაქტობრივად, ელექტრონულია და ეს არის უზარმაზარი სივრცე, რომლის გაკონტროლებაც ვერ ხერხდება. სოციალური მედია ნამდვილად უწყობს ხელს სხვადასხვა ბარბარიზმისა და სიტყვის დამახინჯებული ფორმების დამკვიდრებას.

შედის ბავშვი გარკვეული ინფორმაციის მისაღებად და იმ უზარმაზარ სივრცეში იკარგება, ხვდება გაჭუჭყიანებული ენა; მას კი არ შეუძლია ამის გასუფთავება და ეს „გაუფილტრავი ნაგავი“ მის გონებაში იღექება. სწორედ სოციალური ქსელით გავრცელდა არაერთი ბარბარიზმი: **დალაიქება, დაშეარება, დათაგვა, ფრენდი**. არადა, ყველა ამ სიტყვას აქვს შესაბამისი ქართული შესატყვისი.

ყველაზე ხშირია შემდეგი ბარბარიზიმები:

- დალაიქება - მოწონება
- დაშეარება - გაზიარება
- დათაგვა - მონიშვნა
- ფრენდი - მეგობარი
- დაკლიკება - დაწკაპუნება
- ოკეი - კეთილი, კარგი
- სეილი - ფასდაკლება
- სმაილი - ღიმილი
- ივენტი - საღამო
- ფართი - წვეულება
- კარტა - ბარათი
- ლაითი - მსუბუქი

და უამრავი სხვა...

თითოეულმა მოქალაქემ უნდა დაიცვას ენის სიწმინდე, ქართველი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას მშობლიური ენის წინაშე. ნუ დაგვაუიწყდება, რომ ენა საღეთო რამ არის და საზოგადო საკუთრებაა. ამიტომ ერთად ვიზრუნოთ ენაზე - ამით ხომ ჩვენს მთავარ ეროვნულ ღირებულებას დავიცავთ.



დედაენის კმეპლი თბილისში. ავტორი: ელბუჯა ამაშუკელი. 1983 წ.



რაფაელი სავახშმოდ შევიდა სამიკიტნოში. დაიკავა ადგილი ფანჯარასთან. სამიკიტნოს მახლობლად, ქუჩის კუთხეში, იჯდა ქალი, რომელიც ჩვილ ბავშვს უმღეროდა. დედას უფროსი ვაჟიც ედგა გვერდით.

იტალიური სადამოს ფონზე შექმნილი ამ სურათით მოიხიბლა ფერმწერი. გადაწყვიტა, დაეხატა უცნობი ქალბატონი.

მაგრამ ხელთ არ ჰქონდა არც ტილო და არც მოლბერტი. იქვე შენიშნა კასრი, რომლის მრგვალ სახურავზე რაფაელმა დახატა ქალი ჩვილითა და უფროსი ვაჟით.

მცირე ვახშმის საფასურად მხატვარმა იგი აჩუქა მიკიტანს.

ამჟამად ეს სურათი ინახება ფლორენციის პიტის სასახლეში და ცნობილია „მადონა დელა სედისა“ სახელით.



რაფაელი. მადონა დელა სედისა

ჩიხთხა



ნაპოლეონის ნიღაბი

ნაპოლეონის სიკვდილის შემდეგ მისი პირადი ნივთების ნაწილი მემკვიდრეობით ერგო დისშვილს, დიდი კორსიკელი მხედართმთავრის მიერ ნეაპოლიტანიის მეფედ დასმულ მარშალს – ჟოაკიმ მიურატს.

ჟოაკიმ მიურატის შვილიშვილმა – აშილ მიურატმა ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავრის - დავით დადიანის ასული – სალომე.

დაქორწინების შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად ზუგდიდში გადმოსახლდა. აშილ მიურატის საოჯახო რელიქვიებს შორის იყო ნაპოლეონის ნიღაბიც.

1921 წლიდან, ზუგდიდში სახელმწიფო მუზეუმის დაარსებიდან, ნიღაბი იქ ინახება.

ზუგდიდის გარდა, ნაპოლეონის ნიღაბი დაცულია პარიზში, ლონდონსა და ჰავანაში.

ჩიხთხა

ერთხელ იტალიელ ფერმწერსა და მოქანდაკეს – ანდრეა დელ ვეროკიოს ნათლისღების თემაზე მხატვრული ტილოს შექმნა შეუკვეთეს.

ეს იყო 1472-1473 წ.წ.-ში.

მიღებული პრაქტიკით, ერთი ანგელოზის დახატვა მან თავის საუკეთესო მოსწავლეს – ლეონარდო და ვინჩის მიანდო, ხოლო მეორე და მთლიანი კომპოზიცია თვითონ დახატა.

როდესაც ტილომ საბოლოო სახე მიიღო, ვეროკიო მოწაფის ოსტატობის აშკარა უპირატესობაში დარწმუნდა.

ამ ამბის შემდეგ ვეროკიოს ფუნჯისთვის ხელი არ მოუკიდია და მთლიანად ქანდაკებაზე გადაერთო.

ვეროკიოს ცნობილი ტილო „ნათლისღება“, ლეონარდო და ვინჩის ანგელოზით, ამჟამად დაცულია უფიცის გალერეაში (ფლორენცია).



ვეროკიო. ნათლისღება



ბუღაყ ოკუჯაყას (1924 - 1997 წ.წ.) - რუსეთში მოღვაწე ქართველ ჰოეცეს და კომპოზიტორს კარგად იცნობდნენ ყოთერ სავჭოთა კავშირში.

რუსეთის რეპრესიული ოჯახის შვილს (მამა ღახვრიცეს 1937 წელს, ღელა მამინვე გელაასახელს) გაუძნელღა კომუნისტური რეჟიმთან აღაწირება, რას აისახა კიღეც მის შემოქმეღებაში.

ჰერეღელკინოში (მოსკოვის გარეუბანი), სავკუთარ სავხღში ბუღაყ ოკუჯაყამ არაერთხელ უმასწინძღღა სოხუმერ ნუგხარ მგაღობღიშვიღს, იღღა ჭავჭავაძის სავხოგაღოების ერთ-ერთ ღამღუძნებღეს სოხუმში, ჰელსინკის კავშირის წევრს, ცნობიღ მხავჯარს.

როგორღ გვიამბობს ნუგხარ მგაღობღიშვიღი, ჰერეღელკინოში ხშირად იყრიღნენ თავს ცნობიღი მწერღები ღა სავხოგაღო მოღვაწეები: იური ძეკოჩინინი, სნავლოღი გოღოვკოვი, ვეგენი რეინი, ოღეგ ხღებნიკოვი, სნა საველ-შახნი, სნღრეღი ვოხნესენსკი, ბეღა სხმადღუნღა...

ერთხეღეც სხურბაიჯახეღ ჰოეცეს „ნუგხარ ეღენღიღ“ მიუღმართავს მგაღობღიშვიღისთვის. მასწინძეღს ძეუსნორეღბა, ის შენთვის ეღენღი კი არა, ბავლონიაო.

ბუღაყ ოკუჯაყას ჰორცრეცი, რომეღეც სხვავს ჰუბღიკავციას, სნორეღ ჰერეღელკინოში ერთ-ერთი ვიზიტის ღროს შეიქმნა. სავსტრეესო მოგონებებიც იმ წღებს უკავშირღება.

ყნიღობო მეგობარი და წრეღი მასწინძეღი

ნუბხარ მბაღობღიშვიღი



ბუღაღ ოკუჯაყა. ავტორი: ნუბხარ მბაღობღიშვიღი

შორს ვერ წავა კაცი, რომეღეც სხვის ღამციღებას ცღიღობს ღა სავკუთარი თავის განღღებოთ არის შეკყრობიღი.

ნათქვამია: „უმჯობესია, თავმდაბალი ცოღვიღი იყო, ვიღრე – ამპარტავანი მართალი“. სწორეღ ასეოთი თავმდაბალი ღა მართალი კაცი იყო ბუღაღ ოკუჯაყა, რომღის სავხელი მეტ-ნაკღებაღ განათღებული აღამიანისთვის ცნობიღია მთელ მსოფღიოში. შესანიშნავი პოეტი, პროზაიკოსი, ბარღი, კომპოზიტორი ღა სავგტორო სიღღერის ფუქემღებელი უმეტესად ცხოვრობღა პერეღელკინოში, მოკრძაღებულ სავხღში (ღღეს იქ ბუღაღ ოკუჯაყას სავხღ-მუზეუმი), რომღის ჰერზე თოკოთ მიმაგრებული იყო უამრავი ზარი. სავღის ფასადზე კი ღიღი ასოებით ეწერა ცხოვრების წესის გამომხატვეღი, ცნობიღი სტრიქონები მისივე ღექსიღან („ქართული სიღღერა“): „Собиритесь-ка, гости мои, на мое угощение, говорите мне прямо в лицо, кем пред Вами слыву“.

ბატონი ბუღაღი სტუმართმოყვარეობოთა ღა გუღისხმიერებით გამოირჩეოღა. მე ღა ჩემი მეგობრები ხშირად ვსტუმრობღოთ მას. იგი შესანიშნავი მასწინძეღი იყო. ბრწყინვალე მთხრობელი, უნიღბო ღა ზეღმიწვენოთ წრეღი.



ბუღაღ ოკუჯაყას არ უყვარღა კომფორმისტები ღა არც მეგობრობღა მათთან. იგი გამოირჩეოღა კომუნისტური რეჟიმისა ღა რუსეთის ხელისუფღების კრიტიკოთ. ჯერ კიღვე გასული საუკუნის 60-იან წღებში, როღესაც სავსტიკად ისჯებოღა თავისუფალი ნება, მას არ შეეშინღა ღა გამოექომაგა ანტისავჭოთა პროპაგანღისათვის ღაპატიმრებულ ცნობიღ ღისიღენტებს, მწერღებს - იული ღანიელსა ღა ანღრეღი სინიავსკის (ორივე გარღაცღიღია). ხელიც მოაწერა მათი განთავისუფღების პეტიციას, თუმცა კარგად იცოღა, ეს რა პრობღემებსაც შეუქმნიღა. როგორც ჩანს, ამოთ იყო განპირობებული ცენზურა ღა უშიშროების მიერ გავრცეღებული ბოროტი ხმები, თოთქოს ის გუღგრიღი იყო საქართვეღოს მიმართ. ამ მოარულ ხმებს ისიც მოჰყვა, რომ „Независимая газета“-მ გამოაქვეყნა აფხაზეთის პრობღემებით გაჯერებული ანტიქართული წერიღი, რომელსაც ხელს აწერღენ სეპარატისტული ისტერიოთ ცნობიღი ფაზიღ ისკანღერი, პოეტი ბუღაღ ოკუჯაყა ღა მწერალი ანღრეღი ბიტოვი.

ვოთარების გასარკვევად მოსკოვში მოღვაწე ქართველები საქართვეღოს სავღღოში შევიკრიბეთ. უნღა გავგეგო, რამ გამოიწვია ბუღაღ ოკუჯაყას ანტიქართული განწყობა. გადავწვიტეთ, უშუალოღ მასთან გავგერკვია ყოვეღივე. ეს მისია მე ღა სოხუმელ შოთა გვაზავას ღაგვეკისრა.



ბატონმა ბულატმა თბილად მიგვიღო, სუფრის გაშლაც მოინდომა, მაგრამ, როცა შეიტყო ჩვენი მისვლის მიზეზი, სახტად დარჩა. ამ ფაქტის შესახებ მან პირველად თურმე ჩვენგან შეიტყო.

წაკითხულით აღშფოთებულმა მაშინვე დაურეკა ფაზილ ისკანდერს და ასე მიმართა:

– ვეჭვობდი, რომ არამზადა იყავი, მაგრამ, ამასთან, ნაძირალაც ყოფილხარ! ამავე გაზეთის შემდეგ ნომერში საკადრის პასუხს იხილავ, ჩემი სახელის ხსენებას კი კატეგორიულად გიკრძალებ!

მიუხედავად ასეთი უსიამოვნო ფაქტისა, იმ დღეს მაინც შესანიშნავი მასპინძლობა გაგვიწია. წამოსვლისას გვთხოვა, რომ საპასუხო წერილი მისთვის ჩვენ მიგვეწოდებინა. ჩათვალა, რომ აფხაზეთის საკითხებში ჩვენ, როგორც სოხუმელები, უფრო კომპეტენტურები ვიყავით. საელჩოში მიბრუნებულებს სხვებთან ერთად პუბლიცისტი თემურ სტეპანოვიც დაგვხვდა. ყურადღებით მოგვისმინეს, რის შემდეგაც ბატონი თემურის ძალისხმევით დაიწერა საპასუხო წერილი. სტატია მეორე დღესვე მიუტანე ბულატ ოკუჯავას. ის გაეცნო წერილს, ცალკეული პასაჟებით კიდევ უფრო გაამძაფრა პუბლიკაცია და მთხოვა, მიმეტანა იგი გაზეთის რედაქტორთან, რომელიც თურმე უკვე მელოდებოდა. ეს დავალება დიდი სიამოვნებით შევასრულე. საპასუხო წერილი ფაზილ ისკანდერის მზაკვრობაზე, რა თქმა უნდა, დაიბეჭდა. ჩვენი კი ბატონ ბულატთან ერთად იმ საღამოსვე აღვნიშნეთ წარმატება.



ერთ–ერთი სტუმრობის დროს ჩემს მოკითხვაზე ასე მიპასუხა:

– როგორ უნდა იყოს კაცი, რომელსაც ეროვნებას ართმევენ?!

და გულისტკივილით ამიხსნა, რასაც გულისხმობდა:

– პასპორტებს ცვლიან, ახალში კი გრაფა „ეროვნება“ ამოღებულია. ქართველი რომ ვარ, მემამაყება და არაფერში მჭირდება სხვანაირი პასპორტი?!

ბატონმა ბულატმა პასპორტზეც და მოქალაქეობაზეც მაშინ ოფიციალურად უარი განაცხადა. საბოლოოდ კი იმას მიაღწია, რომ მის პასპორტში ეროვნება „ქართველი“ ჩაიწერა.

მთელ რუსეთში ეს ერთადერთი პასპორტი, როგორც სამუზეუმო ექსპონატი, ბულატ ოკუჯავას სახლ–მუზეუმში (პერედელკინო) გაშლილად ინახება.



ტელევიზიაში, ბულატ ოკუჯავას 75 წლის აღსანიშნავად მიძღვნილი გადაცემის დროს, ტელეწამყვანმა ჰკითხა რესპოდენტს, თუ რა ჰქონდა მას ცხოვრების მანძილზე ყველაზე თბილად მოსაგონარი. ბატონმა ბულატმა უპასუხა:

– თბილისი, ველიამინოვის სახინკლეში მეგობრებთან საუბრები.

ბულატ ოკუჯავა უკომპრომისო, ღირსეული კაცი იყო და არასდროს დალატობდა საკუთარ მრწამსსა და ფასეულობებს, რასაც მისი შემოქმედებაც ნათლად ადასტურებს.

ყოველივე ეს იმიტომ მოვიგონე, რომ ერთმა ახალგაზრდამ ცოტა ხნის წინ ბულატ ოკუჯავა აუგად მოიხსენია. მის შესახებ კი სახელისა და გვარის გარდა არაფერი იცოდა.

ბულატ ოკუჯავაზე მოგონება მსურს დავასრულო ფრაგმენტით მისივე ლექსიდან „ლოცვა“: „ჰე, უფალო, ღმერთო ჩემო, მოწყალო მარად, სანამ ბრუნავს დედამიწა და მზის შუქი გფარავს, ყველას უძღვენ, თუნდ, მცირედი ღვთაებრივი ძღვენი. ყველას უძღვენ... არ ინებო დავიწყებაც ჩემი.“*



ოლღა ოკუჯავა (ბულატ ოკუჯავას მეუღლე) და ნუგზარ მგალობლიშვილი. მოსკოვი. 2003 წ.

* - ანზორ აბუანდაძის თარგმანი.



ყმანვილებო!

როგორც იცით, „იდექანში“ სისცემასტურად ვბეჭდავთ (№21-დან დანყებული) სუბსანსაზ ორბელიანის „სიყვავის კონიდან“ ანბანური რიგითობით განთავსებულ სიყვავებს; ეს არის განმარტებით, წარმომავლობითა და სემანტიკურად გამორჩეული ექსიკური გამონათქვამები, 300 წლის შემდეგაც რომ თანამედროვე ელერადობისაა. ზოგიერთ მათგანს გახსენებაც სჭირდება, რომ ეროვნულმა სელიტრასტურო ენამ არ დაკარგოს ეფსებთან კავშირი.

გამორჩეული სიყვავების წარადელურად ვბეჭდავდით დიდი ქართული მეიგავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცადკუდ ეწიხოდებს, სანტერესო ფრამენცებს მისი ბიოგრაფიიდან.

ამჯერად გადავწყვიტეთ, ექსიკონთან ერთად გადავფურცლოთ ქართულთა საყვარელი საკითხავის „სიბრძნე სიცრუისა“ ფურცლებიც.

როგორც ცნობილი ქართული მეცნიერი გერონცი ქიქოძე განმარტავს, „იგავ-არაკების სიუეეცები ავტორს უსესხებია ნაწილობრივ ჰინდური, სწარსული, სომხური, არაბული, ბერძნული, დასავლეთ-ევროპული იგავ-არაკების წიგნიდან; ზოგიერთი არაკი ავტორს ქართული-ხადხური შემოქმედებიდან აქვს აღებული, ბოლოს ზოგიერთი მის მიერაა შეთხზული. მაგრამ, როგორც ნანერები, ისე შეთხზული სიუეეცები ავტორს სრულიად თავისებურად დაუმუშავებია და ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ „სიბრძნე-სიცრუისა“ წიგნი ორიგინალური შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს“.

მთიული და კაკლის ხე

იგავი

სულხან-საბა ორბელიანი

კაცი ვინმე იყო, ზეგანთა აღავთა მყოფი, რომელსა წალკოტი არა ენახა. ჩამოვიდა ბართა ადგილთა, წალკოტი ნახა. შევიდა შიგა და ყოველივე ნახა: ხეხილი, მწვანვილი. დია მოეწონა და ღმერთს მადლობა მისცა:

- ყველა ჯარგად გაგირიგებია და ეს ავადო; ცოტას ბალახისათვის ნესვი



მოგიბამს და დიდის ხისათვის ნიგოზიო!

მიიარ-მოიარა და ნიგოზთა ძირსა დაეძინა. მოვიდა ყვავი, ზედ შემოჯდა, კაკალი ჩამოავდო. მას კაცს შებლში დაეცა და გაუტეხა. აღდგა კაცი იგი და თქვა:

- ღმერთო, შენ უკეთ გაგირიგებიაო. თუ იქ ამისგან უდიდესი ბმოდა, თავს გამიჭყლეტდაო!



- ფ -

ფაენი – სკიპტრა
ფათალო – სურო
ფათენი – ფართოსავით
ფათხა – ბადის საქსოვარი ჩხირი
ფაიკი – შიკრიკთაგანი
ფალი – თურქთა ენაა; ქართულად – მისნობა
ფანარი – ფრანგულია; ქართულად – ლიფლიფი
ფანდაკი – მაშისა (ფეხსაცმლის) და მოგვის (ჩექმის) მაღალი ქუსლი
ფანდალი – არც მძიმე, არც მსუბუქი (საშუალი)
ფანჯარა – თურქთა ენაა; ქართულად – კანკელი, ლანძვი, არდაბაგი.
ფარაგი – წელთ სარტყამი ჯიბიანი ჩასადებელი
ფარეში – რკინის ჭანჭიკი
ფარეში – შინა მოსამსახურე
ფარმანი – სხვათა ენაა; ქართულად – დასტურის წიგნი
ფარნა – ძროხა ფერდთეთრი
ფარღია – სახლი გვერდებლია
ფარჩი – საღვინეა მომცრო (სირჩა)
ფარჩხატი – შორი-შორ წნული, თხლად წყობილი
ფარჩხი – სამფარჩხი, მწყერის ჯოხი
ფაფარუჭი – უმსგავსო მხიარულობა, ღუაღვაშობა
ფაფუჭი – სხვათა ენაა; ჩუსტი
ფაცახი – მატყლი მსხვილ-ბეწვი
ფაცერი – თე ვზის მახე, საპალური
ფაცფაცი – ფერხხედ ვერ შემაგრება
ფაცქიკუკუ – კუკოლით ხლტომა
ფახანგარი – ცუდი ბარგი
ფერებვალი – სარწყუნისი
ფეთმაგი – წვივსახვევი
ფერსო – ურმის თვალის გარშემო რკალი
ფესანგი – ჭრელი ცხოველი (შავ-თეთრი)
ფეშხუმი – თეფში

ფიდაკი – პირის ხალი
ფითხი – რკინის ნიჩაბი ნაკვერცხლის ასაღები
ფილაგი – პატარა დათვი; სპარსულად – ცა
ფილაკვანი – ჟამთა პირველთა ციხის მებრძოლნი, სასხლეტის მომართვით დიდ ლოდებს რომ ისროდნენ
ფილთამუხი – ყუმბარის ზარბაზანი
ფილი – ტაშტი ხელის დასაბანი (დიდი როდონი)
ფილონი – სამღვდელო შესამოსი
ფისონი – კაცი, სტუმარს რომ საჭურველი აჰყაროს და შეინახოს
ფიფინა – ბრინჯის ფუშრუკი, შეჭამადი
ფიქრი – არაბთა ენაა; ქართულად – გულის-თქმა
ფიჩხაურა – მომცრო საღვინე
ფლაფნა – უკბილოს ლაპარაკი
ფლური – დრაჰკანი (4 გრ. ოქრო)
ფოთორო – მიწაში სორო
ფოფინება – დიდად დუდილი
ფოშფოში – თხელი ნისლი
ფრტიალი – ფრინველთ გაუფრენელად ფრენის ხმა
ფრუსტუნი – პირუტყვთ დაცხიკვება
ფრუტი – ნისლიანი თქორი (წვიმა)
ფუთხი – ფინთი სიქაჩლე
ფუნდურა – ნეხვის ჭია (ბუზიც)
ფუნჩი – მომრგვალო ცხვირი
ფურნე – ფურნო - ლათინურია; ქართულად - ღუმელი
ფუფული – მუწუკი
ფუქსავატი – თვალში საცოტაო, ასაკმცირე
ფშანი – მდინარისგან გამოდენილი წყარო
ფშატალა – გაზაფხულური წყალი თოვლ-ფოთოლ-ნარევი
ფშუნა – პურის დაწვრილება
ფხუწვილი - ნაოჭიანი



დოროსა და მისი ჯალოსური ჭის კაპაკი ზღაპარი დიდებისთვის

ბელა ჩჰვანავა



იყო და არა იყო რა. იყო ერთი ობოლი გლეხის ბიჭი, სახელად დორო.

დორო წელებზე ფეხს იდგამდა, მაგრამ თავისი ყანიდან ერთი წლის სამყოფ მოსავალსაც ვერ იღებდა. მისი სიმდიდრე მხოლოდ ისლით გადახურული ტყრუშულაკედლებიანი ფაცხა და ერთი ჭა იყო. ჭაში ისეთი გემრიელი წყალი დგებოდა, რომ მთელი სოფელი წყურვილის მოსაკლავად იქ მიდიოდა.

ზოგი იმასაც ამბობდა, წყალი მის პატრონს შიმშილსაც უკლავსო. მაინც ხალისიანად გამოიყურებოდა, სანამ მეზობელი

სოფლიდან ერთ გოგოზე არ შეუვარდა გული. გოგოს ცურუ ერქვა, მკლავის სიმსხო ნაწნავები ჰქონდა და ძალიან ლამაზი იყო. არც ის გახლდათ გულგრილი დოროს მიმართ, მაგრამ ცურუს მამას დოროს სახელის გაგონებაც არ სურდა. ისღა მაკლია, დოროსნაირ გაღლებილს გავატანო ჩემი კალმით ნახატი გოგო და შიმშილით სული ამოვხადო, ამბობდა. დორო ამას ძალიან დარდობდა და გულჩათხრობილი გახდა.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას კი, როცა ჭიდან წყალს იღებდა, რათა ხელ-პირი დაეხანა, დოროს მოეჩვენა, რომ ჭის ჭრიალა ოწინარი რაღაცას ამბობდა. დორო, ცოტა არ იყოს, დაფრთხა. სამი დღეა, ლუკმა არ ჩამსვლია პირში და შიმშილისგან მოლანდებები ხომ არ დამეწყო; მაგრამ მალევე დარწმუნდა, რომ არ ცდებოდა: ოწინარი ჩვეულებრივ ადამიანურ ენაზე რაღაცას ლაპარაკობდა.

დორომ ამოღებული წყალი გადააქცია, ვედრო ხელმეორედ ჩაუშვა ჭაში და ოწინრის ჭრიალს უკეთ მიაყურადა.


- მალე სანადიროდ გამოსული დიდი ბატონი და მისი მხლებლები თავიანთი ცხენებით შენს სიმინდის ყანას გადათელავენ. მათი შეჩერება თუ არ სცადე, მთელი წელი ულუკმაპუროდ დარჩები! - გარკვევით ჩაესმა დოროს.

- როგორ უნდა შევაჩერო დიდი ბატონი, წინ ხომ ვერ გადავუდგები?! ყანასთან ერთად მეც ისე გადამაჯვავებენ, ჩემგან ფაფანაკის გარდა არაფერი დარჩება, - მოიწვინა დორომ.

- ახლავე წადი, კალია დაიჭირე, ის საადდგომო კვერცხივით წითლად შეიღებება. წითელი კალია მუჭში მოიმწყვდიე. როცა დიდი ბატონი გკითხავს, ხელში რა გიჭირავსო, მუჭი გაშალე და ყველაფერი თავისით მოგვარდება. რაც დაგაბარე, ზუსტად შეასრულე. იხქარე, მეტს ნურაფერს მკითხავ! - სხაპასხუპით მიაყარა ჭის ოწინარმა.

ამის შემდეგ დორომ კიდევ ბარემ ცხრა ვედრო წყალი ამოიღო ჭიდან, მაგრამ ოწინარს კრინტი არ დასცდენია. მხოლოდ ჩვეულებრივ ჭრიალდება, როგორც სხვა ჭების ჩვეულებრივი ოწინრები ჭრიალდებენ ხოლმე.

მალე მონადირე ძაღლების წკავწკავი გაისმა და გამოჩნდა ნადირობის ემში შესული დიდი ბატონი და მისი ამაღა, რომლებიც პირდაპირ დოროს ყანისკენ მოაქროლებდნენ თავაწყვეტილ ბედაურებს. დორომ უნებლიეთ მუჭი ზურგს უკან დამალა, მისაღმების ნიშნად ფაფანაკი მოიხადა, წელში ოდნავ მოიხარა და განზე გადგა, რათა დიდ ბატონსა და მის ამაღას





ის თავიანთი ცხენებით არ გადაეთელათ.

დიდმა ბატონმა დოროს თავისკენ უხმო.

სანამ ბატონს მიუახლოვდა, დორომ ზურგს უკან დამალული მუჭი გაშალა, ხელიც გაიქნია, მაგრამ ცოცხალი ხნის წინ დაჭერილი კალია მაინც ვერ მოიცილა – ის მის ხელისგულს სისხლისმწოველ ტკიპასავით აკვროდა. ხელისგული სისხლისგან წითლად შეღებილიყო.

- ეი, შენ, გლექუჭავ, რას მალავ ზურგს უკან, აბა, ახლავე მაჩვენე! – უღრიალა ბატონმა დოროს.

დორომ პასუხად მუჭი გამოაჩინა.

- ახლავე გაშალე მუჭი! – უბრძანა დიდმა ბატონმა.

დორომ მუჭი გაშალა და იქიდან საადღომო კვერცხებით წითელი კალია ჰაერში ახტა. წითელი კალიის დანახვაზე დიდი ბატონის ცხენმა ერთი დაიჭიხვინა, უმალ ყალყზე შედგა, შემდეგ კი, წინა ტორების მიწაზე დაუშვებლად, ჰაერშივე შეტრიალდა და იქითკენ გატყენდა, საიდანაც მოვიდა. დიდ ბატონს უკან მისი ამაღაც მიჰყვა.

თურმე, დიდი ბატონის ცხენს სიკვდილივით ეშინოდა წითელი კალიის, ბზიკნაკბენივით უკანმოუხედავად გაქანდა პატრონის ნოყიერ მიწებზე

გაშენებული ყანებისკენ. რამდენს არ ქაჩავდა დიდი ბატონი ლაგამს, რამდენს არ სცემდა დეზებს ფერდებში, ბედაური მაინც ვერ დააოკა და ვერც გვერდზე გადაახვევინა. ცხენმა პირდაპირ დიდი ბატონის აბიბინებულ ყანებს მიაშურა და მათ შუა გაინავარდა. კუდაკუდა აღევნებულმა ბატონის ამაღის ცხენებმაც ბატონის ყანები ერთიანად გადათელეს.

ამის დანახვაზე დორომ მაშინვე თავის სახლისკენ მოკურცხლა. სახლში მისულმა კი ჭას შესჩივლა, ეს რა ხათაბალას გადამყარო. ნარბენმა და პირგამშრალმა დორომ როგორც კი ვედროს წაავლო ხელი წყლის ამოსაღებად, აჭრიალებულმა ოწინარმა ენა ამოიდგა.

- ვედროს ნუ ჩამოუშვებ, თორემ წყალი დატრიალდება, - სიტყვები ერთმანეთის მიყოლებით გადმოყარა ჭის ოწინარმა, - მოდი და დამდგარ წყალზე ჩამხედე, შიგ კაკალ გულში!

დორომ ვედროს ხელი უშვა და ჭაში ჩაიხედა. იქ კი წყლის ზედაპირზე არეკლილი საკუთარი ორეულის ნაცვლად დიდი ბატონის სახე იხილა. ბატონს ოთხი ვირის ყური ესხა, ორი ბუშტივით ცხვირი ჰქონდა, ცხვირებს შორის კი ერთი ელაში თვალი მოუჩანდა და მთელი პირისახე ისეთი დაბრეცილი იყო, თითქოს სიცილის ოთახის სარკეში არეკლილიყო.

ამის დანახვაზე დოროს სიცილი წასკდა: მუცელზე ხელს იჭერდა, მიწაზე გორავდა და მთელი გულით ხარხარებდა. დროდადრო წამოდგებოდა და იხედებოდა ჭაში, სადაც ისევ ის სურათი ხედებოდა. სწორედ ამ დროს დოროს ჭიშკარი დიდმა ბატონმა და მისმა ამაღამ შემოგლიჯა. განრისხებული დიდი ბატონი მოხარხარე მასპინძლის დანახვაზე გაშრა, აღვირს მოსწია და ცხენი ადგილზევე გააშეშა.

- ეი, გლექუჭავ, გაგიჟდი?! – უღრიალა დიდმა ბატონმა დოროს და მხლებლებს უბრძანა, დოროს ჭაში ჩაეხედათ. მხლებლებმა როგორც კი ჭაში ჩაიხედეს, გაოცებისგან ტაში შემოკრეს.

- ჩვენო მზეო, ნახეთ, აქ რა ახალგაზრდა ბრძანდებით! – შესძახეს მათ.

დიდი ბატონი ჭას მედიდურად მიუახლოვდა და ცხენიდან ჩამოუქვეითებლად შიგ ჩაიხედა: წყლის ზედაპირიდან თავისი ორეული შემოჰყურებდა, ოღონდ ოცდაათი წლით უფრო ახალგაზრდა და იმაზე უფრო პირმშენიერი, ვიდრე ყმაწვილობისას იყო.

- აქ ხომ ჩვიდმეტი წლისა ვარ და ხუჭუჭთმიანი, როგორიც ოცდაათი წლის წინ ვიყავი! – წამოიძახა აღფრთოვანებულმა დიდმა ბატონმა, - ახლავე მომგვარეთ ჩემი ცოლი. დიდი





ქალბატონი უამრავ ოქროს მახარჯვინებს ექიმბაშეში, რათა მათ ნაირნაირი წამლებით ცოტათი მაინც გააახალგაზრდავონ, ამ ჭის დახმარებით კი ჩემს მეუღლეს სრულიად უფასოდ ავუხდენ ოცნებას!

დიდი ბატონის ბრძანება მსლებლებმა მყისვე შეასრულეს. დიდმა ქალბატონმა როგორც კი ჭაში ჩაიხედა, იქ საკუთარი თავი იხილა სწორედ ისეთი, როგორც ყმაწვილქალობაში, ჯერ კიდევ გათხოვებამდე იყო.

- ეს ჭა სახლში მინდა მქონდეს! – ბრძანა მან.

დიდმა ბატონმა იფიქრა, ჭის ჩემს ეზოში გადატანა გაცილებით უფრო იაფი დამიჯდება, ვიდრე ქალბატონის მიერ, ვინ იცის, საიდან არმოწვეული ექიმბაშეების გასამრჯელო.

იმავე დღეს მოიწვიეს დიდი და მეზობელი საბატონოების უდიდესი მეჭეები, მაგრამ მათ თქვეს, რომ ჭის გადატანა შეუძლებელი იყო.

- მაშინ ეგრე ვქნათ, ახალი სასახლე ავაშენოთ ამ ეზოში და ჩვენც აქეთ გადმოვიდეთ საცხოვრებლად! – ბრძანა დიდმა ქალბატონმა.

დიდი ბატონი ქალბატონის ნებას ვერ გადავიდა და ბრძანა, მისი სურვილი შეესრულებინათ.

დოროს ტყრუშულა ფაცხა ტყის პირას, ერთ უკაცურ ადგილას გადაიტანეს, მის ადგილას კი დიდი ბატონისა და ქალბატონისთვის მშენიერი სასახლე წამოჭიმეს. დიდი ქალბატონი ყოველ დღით ჭაში იხედებოდა, საკუთარ თავს სრულიად ნორჩს ხედავდა და სიხარულისგან ფეხზე ვერ იდგა. მალე ისიც დაიჯერა, სრულიად ნორჩი ვარო და ყმაწვილქალურად მოქცევაც დაიწყო. პატარა გოგონასავით გადაიკისკისებდა ხოლმე და ასკინკილით დახტოდა. სასახლეში ხმა გავრცელდა, დიდი ქალბატონი გაგიჟდაო. მან, ასევე, მოითხოვა ჯადოსნური სარკეებიც, რომლებიც ასეთსავე ახალგაზრდას გამოაჩენდნენ, როგორსაც ჭის წყალი. აბა, დიდ ბატონს საიდან უნდა მოეტანა ჯადოსნური სარკეები?

საქმე იქამდე მივიდა, რომ დიდი ქალბატონი მთელი დღეები ჯადოსნურ ჭას არ შორდებოდა. დიდმა ბატონმა სასახლეში სარკეების ხმარება აკრძალა, რათა ქალბატონს თავისი ნამდვილი სახე არ ეხილა. მაგრამ მას საიდანღაც პატარა ჯიბის სარკე მაინც ეშოვა – ჭაში ჩაიხედავდა და საკუთარ თავს ძალიან ნორჩსა და ლამაზს ხედავდა, სარკეში კი ნაოჭებით დაფარულსა და არცთუ ისე ლამაზს. ამის გამო დიდი ქალბატონი ჭკუიდან გადავიდა.

დამწუხრებული დიდი ბატონი დოროს ფაცხაში ეწვია.

- ერთ რამეში დავრწმუნდი: რაც შენი არ არის, ის არასოდეს შეგერგება, ჩემო დორო! – უთხრა დიდმა ბატონმა დოროს, - ეს ჯადოსნური ჭა, ეტყობა, ღმერთს მხოლოდ შენთვის გაუჩენია. ასე რომ, შენს სამოსახლოზე გაშენებულ ჩემს ახალ სასახლესთან ერთად დაიბრუნე იგი და მშვიდობაში მოიხმარე, მე კი ჩემს პირველ სასახლეში დავბრუნდები და ცოლთან ერთად იქ გავლევ სიბერის დღეებს. ღვთისაგან გაჩენილ წესს ვერავინ გადავა და ვერავინ გააახალგაზრდავდება. ყველამ თავისი ტვირთი უნდა ზიდოს!





თავის ეზოში დაბრუნებულმა დორომ, სანამ დიდი ბატონის მიერ დატოვებულ სასახლეში შევიდოდა, თავის ჯადოსნურ ჭკას მიაშურა.

- ჭკო, ჭკო, შენს გახარებას, აბა, მითხარი, ცურუს მამასთან რომ მივიდე, გამომაყოლებს თავის ქალიშვილს ცოლად? – ჰკითხა დორომ ჭკას და ოწინარზე გამობმული თოკი დაქაჩა, მაგრამ უბრალო ჭრიალის ხმაც ვერ გამოაცემინა.

თურმე დიდ ბატონს ჯადოსნური ჭისთვის უბრალო აკაციის ხისგან დამზადებული ოწინარი ოქროთი შეეცვალა. დორომ გადაგდებული ძველი ოწინარი მოძებნა და ჭკას დაუბრუნა. დადგმისთანავე ძველი ოწინარი, ლამის, მთელი სოფლის გასაგონად ალაპარაკდა.

- უბრალო ხის ოწინარი ვერასოდეს შეცვლის ოქროს ოწინარს, თუკი ის კეთილი კაცის გამოთლილია! – ბრძანა ჯადოსნური ჭის ოწინარმა, - შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ გელოდებოდი, ჩემო ნამდვილო პატრონო!.. ძალიან მიხარია, რომ ერთმანეთს დაგუბრუნდით!

დოროს პასუხად სიხარულის ერთი კურცხალი გადმოდინდა. კურცხალი ჭის წყალს შეერია.



სიხარულის ცრემლნაკურმა ჭის წყალმა პატრონს დაანახა ცურუ, რომელიც თავისი სახლის ფანჯარასთან იდგა და დოროს გამოჩენას მოუთმენლად ელოდებოდა.

იმავე დღეს დორო ცურუს მამას ესტუმრა და ქალიშვილის ხელი სთხოვა. ცურუს მამა, რაკი დორო უკვე მდიდრულ სასახლეში ცხოვრობდა, შემოთავაზებაზე სიხარულით დასთანხმდა.

დიდ ბატონს კი დიდი ქალბატონის განკურნება იმაზე უფრო ძვირი დაუჯდა, ვიდრე დოროს ფაცხის ადგილას ახალი სასახლის აშენება.

დორომ და ცურუმ იქორწინეს. ქორწილში დიდი ბატონიც დაპატიჟეს მეუღლითურთ. დიდ ბატონს ქორწილში ცოლი არ წამოუყვანია, ე, მანდ ისევ ჯადოსნურ ჭკაში ჩახედვა არ მოინდომოსო, დოროს კი საჩუქრად საუკეთესო ნოყიერი მიწები მიართვა.

ცურუმ დოროს აჩუქა ჯანმრთელი და ლამაზი ბავშვები, რომლებსაც დორო ძილის წინ ზღაპრებს უყვებოდა ხოლმე. ბავშვების დაძინების შემდეგ კი სახლიდან გამოდიოდა და ჭკის გვერდით სავარძელში ჯდებოდა. სადამოს ნიაგზე აჭრიალებული ჯადოსნური ჭკის ოწინარი დოროს მისი შვილებისთვის მეორე სადამოს ძილისპირულზე მოსაყოლ ზღაპრებს უამბობდა. დორო მხოლოდ უსმენდა და იმახსოვრებდა, შემდეგ კი იმ ზღაპრებით დაძინების წინ შვილებს ართობდა. ბავშვები ჯადოსნური ჭკის ზღაპრების მოსმენის შემდეგ ტკბილად



ძინებდნენ და ესიზმრებოდათ კეთილი ფერიები, რომლებიც მათ შესაშინებლად სიზმრებში შემოპარულ ოჩოკოჩებსა და ჭინკებს აფრთხოებდნენ და ბავშვებს ახლოსაც არ აკარებდნენ.

დოროს კი, სანამ ბავშვები დიდები გახდებოდნენ, ჭკის მოყოლილი იმდენი ზღაპარი დაუგროვდა, რომ ისინი ცალკე წიგნად აკინძა და მას ყოველ სადამოს, დაძინების წინ, სიბერეწამოპარული დიდი ბატონიც დიდ ქალბატონთან ერთად სიამოვნებით კითხულობდა.



მარინა კაკარავა

„ფსიქოლოგის დღიური“ - „იარქნის“ სხადი რუბრიკას, რომელსაც დღეს უძღვება კიკეთის იაკობ გოგუბაძევილის სახელობის სასწავლებლის დირექტორი, ანდრია ჯირვერნოლტულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დოქტორანტი, ფსიქოლოგი - მარინა კაკარავა.

მისი პროფესიისთვის დამახასიათებელი არგუმენტირებული, თანმიმდევრული თხრობით თავდასაც საინტერესო ავტორად გვევლინება და სათქმელიც, ბუნებრივია, სკვამო დამაჯერებლობას იძენს.

წელსგოგ-ფსიქოლოგი მარინა კაკარავა თვლის, რომ ჯიროვნებას, რომელიც ჩასახვილან ინყება, მის ფსიქოლოგიას ოჯახისა და საზოგადოების მიერ გამოკვეთილი აქცენტები განსაზღვრავს.

საყურადღებოა ავტორის წასუხი კითხვაზე - რამ გამოიწვია დღეს ქაოსი მოზარდთა ცნობიერებაში და რა ხნობრივ ღირებულებებთან უნევთ მათ აღაწვირება.

რაც ამჟღადრებს ხნობრივ ფასკუჯობებს

მოზარდს სჭირდება აღაწვირება

მარინა კაკარავა



აღამიანი სოციალური არსებაა და მისი ცხოვრება იწყება დაბადებამდე. მაგრამ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება ხდება სწორედ მუცლად ყოფნის პერიოდიდან. განვითარების თითოეულ ეტაპზე ადამიანი იძენს განსაზღვრულ პიროვნულ თავისებურებებს, მისი ყოველი ნაბიჯი ძალიან მნიშვნელოვანია. ესაა დაბადება, რასაც მოჰყვება კრიზისები. კრიზისი, ანუ გადასვლა ყოველ მომდევნო, ახალ საფეხურზე: 0-დან 1-წლამდე, 1-დან 3-წლამდე, 3-დან 6-წლამდე.

აღსანიშნავია, რომ პიროვნული კარკასის ჩამოყალიბება ხდება სწორედ 6-წლამდე, ანუ ფსიქოტიპის ფონი მეტ-ნაკლებად უკვე განსაზღვრულია.

საინტერესოა მოზარდის პიროვნული თვითრეალიზაციის შემდგომი ეტაპები: 6-დან 12-წლამდე და 12-დან 20-წლამდე – ეს უკვე მოზარდის გარდატეხის, საზოგადოებაში სოციალური როლის გათავისების ასაკია.

12-წლამდე პიროვნულთან ერთად უკვე არსებობს ღირებულებითი კარკასი, ანუ მენტალური ფუნდამენტი უკვე ჩამოყალიბებულია.

შემდგომში არის ზედნაშენი, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, როგორ ოჯახში, როგორ სოციუმში ხდება პიროვნული ხასიათის ფორმირება, რა ღირებულებებს სთავაზობს მას გარემო. ეს ე.წ. „რევოლუციის პერიოდი“, როცა ფოზიოლოგიურ, ენდოკრინოლოგიურ დონეზე ხდება მოზარდის სრული ფსოქოლოგიური ამოყირავება. აქ გვმართებს (ოჯახს, სკოლას, ფსიქოლოგებს) ორიენტაციის სიზუსტე, ასპექტების სწორი და სპეციფიკური გააანალიზება. მოზარდს კი სჭირდება თანადგომა; მეტიც:

გაგება, აღიარება, პატივისცემა და ეს მოთხოვნები, როგორც არასდროს, გამძაფრებულია. ამ დროს ჰორიზონტალზე გადის ვექტორი ავტორიტეტების მიმართ.

5-6 წლამდე მოზარდისთვის თუ მშობელია ავტორიტეტი, 6-7 წლის ასაკიდან მშობელს შეიძლება ჩაენაცვლოს მასწავლებელი და ეს საგნებით ნორმალურია. 11-12 წლიდან, ანუ გარდატეხის ასაკიდან, ერთმაც და მეორემაც, შესაძლოა, დაკარგოს წონა ბავშვის თვალში – იცვლება „დამჯერი მოზარდის“ როლი. ძირითადი ავტორიტეტები ბავშვისთვის ხდებიან თანატოლები, 2-3 წლით მასზე უფროსები. მათში ცდილობს, დაინახოს საკუთარი თავი (აღტერ ეგო); გააცნობიეროს, მათ როგორ აცვიათ, როგორ მეტყველებენ, რა აინტერესებთ.

შესაბამისად, ამ პერიოდში მართებს მშობელს, პედაგოგს განსაკუთრებული ძალისხმევა, ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, საკუთარ თავზე მუშაობა. მთავარია, უფროსი დარჩეს მოზარდისთვის ავტორიტეტად.

ბავშვს არ უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ მშობელი სხვა საუკუნეში „ჩარჩა“ და რომ



ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მისი არ ესმით. მოზარდის მიკროსამყარო სრულად მისაღები უნდა იყოს მშობლისთვის. თუნდაც, მოისმინოს მუსიკა, ნახოს ფილმი, რომელიც მისთვის მიუღებელია, ნაკლებ საინტერესოა. მოზარდს ძალიან უნდა, ვაგრძნობინოთ, რომ ადამიანი, რომელიც მის გვერდითაა, იზრდება, ვითარდება.



როცა ეს თანხმობა დარღვეულია, პიროვნული თვითდამკვიდრებისკენ სწრაფვა იწვევს კონფლიქტს, კონფრონტაციას პიროვნების შიგნითა და ოჯახის წევრებთან მიმართებაში. ბავშვი გარბის, არ სურს, ამდენი შეგონებისა და ჭკუის სწავლების მოსმენა.

პიროვნების ასაკობრივი ეტაპების განვითარებაში ცხოვრების ეს მონაკვეთი განსაკუთრებული ფუნქციისაა.

საზღვრები, ჩომელიც იცავს ყმაწვილებს

ქართველი ბუნებით ლაღია, მხიარული, ცნობისმოყვარე, გულკეთილი. მე მსურს, ყველაფერი პიზიტივში დავინახო, თუმცა, ირაციონალურობაც, დარდიმანდობაც ჩვენი თვისებაა. ერთი საოცარი შტრიხითაც გამოვიჩნევით: ქართველს უყვარს ყოველივე უცხოური, ადვილად იღებს მას, მოსწონს უცხოზე შთაბეჭდილების მოხდენა. თუმცა ის, როგორც ინდივიდი, როგორც ფსიქოტიპი, არ ინგრევა; ანუ, ითვისებს კარგსა და უარყოფს ცუდს.

გავიხსენოთ **ალექსანდრე დიუმა**, რომელმაც კავკასიაში იმოგზაურა, იყო თბილისშიც და ასეთი საინტერესო ჩანაწერი დაგვიტოვა: **ქართველები გულდია, გახსნილი ხალხია. ამასთან, გემოვნებიანები, ნიჭიერები, სიახლეების მოყვარულნი. პარიზში თუ რამე იკერება, 2-3 კვირაში უკვე თბილისში აცვიათ.**

მე არ მინდა ვითარების დრამატიზირება; მაგრამ დღეს მოდის დამკანონებელი რეალურად მედია-საშუალებებია, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია. საიდუმლო არ არის, რომ დღეს ყველა არხი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრება – ბილწსიტყვაობით, ერთმანეთის შეურაცხყოფით, აგრესიით, უხამსობით, პორნო-კადრების სიმრავლით.

ადრე, როცა ცენზურა სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზე იყო (კომუნისტების დროს), ხედმეტი ფრაზაც კი არ გაიპარებოდა. ინტერნეტ-სივრცეც ისეა გაჯერებული სხვადასხვა უხამსი ფრაგმენტით, კომენტარით, რომ ხვდები, რა ვაკანალია ირგვლივ, საზოგადოებაში.

ჩემი შვილისა და სხვისი შვილის ერთმანეთისგან გარჩევა ჭირს: ერთნაირი კეტებით, იდენტური მაისურებით, შემორღვეული ჯინსებით, მსგავსად გაშლილი თმებით; წარმოიდგინეთ, ზამთარშიც კი ერთნაირი რამეები აცვიათ, ანუ ის, რაც, მათი აზრით, მოდაშია. როგორ ჩავიცვა? როგორც იმას აცვია, მაგალითად, რომელიმე ვარსკვლავს; როგორ ვიმეტყველო? აი, როგორც ის ცნობილი პიროვნება ლაპარაკობს. ისაა დღეს პოპულარული, მას აქვს ფული, ისაა „დაფასებული“ საზოგადოებაში, მას იწვევენ ტელევიზიებში. ამ დროს კი არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად ღირებულია მისი აზრი. აი, ამ სამყაროსთან მიჩვევა, ადაპტირებაა საშიში.

სწორედ სახელმწიფოა ის უჯრედი, რომელმაც ამ ვითარებაში უნდა დაიცვას ეს ბავშვები და, რაც შეიძლება, მაღალი სტანდარტები შესთავაზოს მათ.

საზღვრები კი დარღვეულია, საზღვრები, რომელიც დაიცავდა ჩვენს ახალგაზრდებს მავნე ზემოქმედებისგან (რა თქმა უნდა, ქვეყნის საზღვრებს არ ვგულისხმობ); დღეს ცვხოვრობთ ინფორმაციული ნევროზის საუკუნეში და ინფორმაცია არის ის, რაც ყველაზე მეტად იყიდება. ეს საზღვრები მოშლილია, ეს ფილტრები არ არის და ყველანაირი სიყვითლე და „ნაგავში გადასაგდები“ შემოდის ჩვენთან. ეს ტენდენცია – უგემოვნობა, ვულგარობა, ეს ე.წ. მასკულტურის პოპულარიზაცია, სამწუხაროდ, თანამედროვე





მსოფლიოს სენია.

ამ დროს, ოჯახმა უნდა გადადგას შემხვედრი ნაბიჯები. სახლში დაახვედროს მოზარდს კლასიკური მუსიკა, მოასმენინოს ხალხური ფოლკლორის ნიმუშები, გადაუშალოს წიგნი ყველაზე საჭირო გვერდზე, იზრუნოს მისი გემოვნების დახვეწაზე. მერე უკვე მოზარდმა უნდა განსაზღვროს, რასთანა აქვს საქმე.

საინტერესო, მაგრამ მოულოდნელ პარალელებს გაავალვებ: აშშ-ს ბევრ შტატში შესაძლოა სკოლის მოსწავლეს აეკრძალოს კითხვა ისეთი წიგნებისა, რომლებიც შედეგრებადაა მიჩნეული. და ეს მოხდეს მშობლების მოთხოვნით – ამისთვის საკმარისია მათი პროტესტი.

აგრესიაზე, ძალადობაზე გადაცემებს ტელევიზიით იქ 11 საათამდე ვერაგინ ნახავს. ოფიციალურ, სახელმწიფო არხებზე ეს ყველაფერი კოდირებული და ფასიანია. ჩემმა ერთმა მეგობარმა, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს, შვილთან ერთად აქ ერთ ფილმს უყურა და გაოცდა: ეს კინოსურათი კი ჰქონდა ნანახი, მაგრამ ბევრი კადრი იქ ამოჭრილი იყო.

რეალურად სწორედ ეს არის მოზარდის დაცვა. მისი ფაქიზი ფსიქიკისთვის არ არის იოლი ამ ყველაფრის (აგრესია, ბილწისტიყვაობა, ინტიმურობა) მონელება, გადამუშავება. ეს არ არის დასავლური მენტალობა, არც აღმოსავლური. ეს არის უგემოვნობა, რისგანაც ვადაგასული პროდუქტივით თავი უნდა დავიცვათ. მღარე ხარისხთან ერთად ეს ძალიან საეჭვო ღირებულებებია ჩვენთვის, ჩვენი კულტურისთვის, ჩვენი სარწმუნოებისთვის.



თუ აზვირთვულ წაღლებს გადაურჩი

ყველა დროსა და საუკუნეში თანაბრად პრობლემური იყო თაობებს შორის კონფლიქტი და უცვლელი, უკმაყოფილო ფრაზა: როგორ გადაგვარდნენ, როგორ შეიცვალნენ, გაფუჭდნენ ჩვენი ახალგაზრდები? უძველეს სამარხებში ნაპოვნი ფირფიტები, ძველი წ.აღ.-ით დათარიღებული, ამასვე მოწმობს.

ერთმა მოძღვარმა მითხრა ძალიან ზუსტად: წარმოიდგინეთ აბობოქრებული ზღვა და ადამიანი, რომელიც იქ გაბედავს შესვლას. თუ იმ ტალღებსა და მრისხანებს გადაურჩება, კაცი დადგება.

ცხოვრებაც დაახლოებით ასეთია: ადამიანი უნდა გადაურჩეს აზვირთებულ ტალღებს.

დღეს ამ აბობოქრებულ ზღვის მორევში როგორი ახალგაზრდები არიან? ძალიან გონიერები, მოტივირებულები, მიზანდასახულები და ამაში დამეთანხმებიან სხვა სკოლის ღირებულებებიც.



ბავშვს სჭირდება თავისი დროისა და რესურსების უშეცდომო განაწილება, რომ ათასგვარი სისულელეებისთვის ნაკლები დრო დარჩეს. უნდა დავეხმაროთ, უკეთ შეიმეცნოს საკუთარი თავი, შესაძლებლობები, განსაზღვროს ხვალისდელი დღე, დავიცვათ მისი ცნობიერება საშიში სიმპტომებისგან.

აზვირთებულ ტალღებში გადარჩენილ პიროვნებასა და სულზე ვსაუბრობდით. სამშობლო, სიყვარული, სიკეთე, ოჯახი, ადამიანი – ეს მარადიული ღირებულებებია, დღევანდელი სასტიკი რეალობის მიუხედავად, ჩვენში ზნეობრივ ფასეულობებს რომ ამკვიდრებს. I, XVIII და XXI ს.ს.-ის დედეები განა რამით განსხვავდებიან ერთმანეთისგან?

მაცხოვარი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, ჩამოვიდა დედამიწაზე, განკაცდა და გვიჩვენა, როგორი უნდა იყო, როგორ იცხოვრო, იურთიერთობო, როგორ უნდა გიყვარდეს და გწამდეს, როგორ ატარო სიკეთე საკუთარ თავსა და სხვებში.

სწორედ მარადიული ღირებულებები მოიტანა მაცხოვარმა, ქრისტიანობამ.

ცხოვრებაც ესაა.



გიორგი ცხვარაძე

სოხუმედი გიორგი ცხვარაძე 15 წლის იყო, როცა „იდექნმა“ (№21) დაბეჭდა მისი პირველი ლექსები, როცა ბავშვური სიტყვებით გადსწავიფა, სკაუტარ განცდებთან განმარტობა. ის დღესაც გუნდრეუდის, როცა წარსულში დაბრუნებით ესაუბრება მშობლიურ ქადაქს, რომელიც არ სხსოვს.

გიორგი ცხვარაძე სწავლობდა თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე; დაასრულდა სამაგისტრო კურსიც. „უბის წიგნაჲში ჩანჯილი ლექსი“ „იდექნის“ სხადი რუბრიკას.

გიორგი ცხვარაძე

ჩამეად ნაცნობ უცხო მიწაზე

მზე მუნამელი ჰოიზომცზე მიგოჩავს ზანტად, სინათლის ბილიყს გადმოაფენს ტაღებზე ნაზად, ოჩად გახლიჩავს ზღვის სიღუჩუეს ნაჩინჯისფეჩი და ჩეაღობას დაამსგავსებებს და ვინჩის ნახატს.

ის იავნანა, მეღოღად ამღეჩებელი, ტაღების ხმაუხს შეჰაჩელი ჩიკების სტვენა - ევდავ გამახსენებს ნაცნობ მიწას შავი ზღვის პიჩას, სადაც მე ბავშვმა, მე პაჟაჩამ ავიღე ენა.

სიზმაღქეული სინამდვილის ეს მონაქება მოგონებებში გამოიჩიყავს ბავშვობის სუჩათს, ფიქი წამიღებს, მომანაჟებს მშობლიუი ქადაქს და გამახსენებს დავინყებულ ბეღის გემბათს.

მაჩვენებს ეჩას, მომაჟაჟებს ბიჭვინთის კაძახს, ღვთისმშობლის ცხემლით დასველებულ ქაჩოველთა მიწას, მაჩვენებს იღმის და მაჩვენებს ომების ხანძახს, ქაჩოველთა სისხლით გაჟეჩებულ თვანწაჩმტაც ჩინას.

მეჩე ეი უცებ აღმოვჩნდები სანაპიროზე, სადაც ჯეჩ ეიღეე უცოღველი ბავშვი ვთამაშობ, ოღის იმელით, ჩომ აჩახდის ასე იქნება - ფეხებზე მომწყდაჩ ზღვის ტაღებთან ჩემად ვეამათობ.

აჩ მიწდა, ნელაჩ გამახსენებთ იმ წღების სიკებოს, ებაღეე უეჩი ჩამჩეჩჩეღეთ, ჩომ დავბეუნდებთ, მიწდა, ჩომ ჩემთვის ეაჩგად ნაცნობ უცხო მიწაზე ღელავებს მჩავაღვამიეჩის ცხელი ზვითები.

ბაღაჟეიონი წამიყითხეთ, მხოღეე ხმაღაღდა, გულში იმელი ჩომ აჩ მოჟვეებს, ეევე ქაღაჩა, გამიღეოჩეთ 'დავბეუნდებთ~, ოღონდ ხმაღაღდა, მეჩე ვიყვიჩოთ, ჩომ დავბეუნდით, დავცხოთ ნაღაჩას.

ბიჭვინთის ნაცნობ ნაპიჩებთან ჩავეშვათ ღეზა, დაფელითოთ თეთიჩ იაღქნები ჩემი სოჩეით, მჩავაღვამიეჩის გავახსენოთ ნაცნობი მეზა - ოღინისაგან გადაღიღი ბველის სოხეში.





ოიანა აივსი

იოანა აივსი ამ ცოცხალ ხმის წინააღმდეგ „საქართველოს“
ტელევიზიამ შუადღის გადაცემაში მოიწვია.

მოვიხიბრე პოლიტიკური გოგონას ქართულით; იმ დღეს სხვა
რამეც ვაფიქვინებდით მის შესახებ: რომ დაიბადდა კრავოვში, უყვარს
საქართველო, სწავლობს თბილისში და რომ ძაღზე დაინფერესებულია
ქართულ-აფხაზური თოდკორით.

გადავწყვიტე, გამეცნო ეს ახალგაზრდა, ნიჭიერი გოგონა.
ლიადოგი „იარქანში“ შეღვა.

დამერწმუნეთ, სასიამოვნო განცდაა, როცა შენი ქვეყნით
ასე აღფრთოვანდები უცხოელს უსაზღვროდ, როცა არამარტო გაცხებილი
ქართულით გამოხატავხარ შენი კურთხევისადმი პატივისცემას.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის IV კურსის
სტუდენტმა - იოანა აივსიმ ბევრი რამ გვიამბო თავის შესახებ:
როგორ გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება, რა ცდები
დონდონი და რა ცდები შეიცვალა პროფესიის, რა ფეხმძინა მისთვის
ქართული ეთნომუსიკა და რა პერსპექტივები უსახება სამომავლოდ.

პოლიტიკური იოანა აივსი:

„სამყარო გადაიღვალა ინტერნეტურიერთობებით. მე საქართველოში ვრჩები“

ნანა ჭანტუაშვილი

**- იოანა, დღეს საქართველოში ცხოვრობთ; მაგრამ ვიდრე უფრო კონკრეტულად
ვისაუბრებთ თქვენს საქმიანობაზე, გვიამბეთ პოლიტიკურ წლებზე, ბავშვობაზე.**

- დაიბადე კრავოვში; დედაც მუსიკოსია, მღერის. ბავშვობიდანვე გატაცებული ვიყავი
მუსიკით. ვსწავლობდი ქალაქის მუსიკალურ სკოლაში. კითხვაც ძალიან მიყვარდა. ბევრს
ემუშაობდი საკუთარ თავზე და არასდროს მქონდა თავისუფალი დრო. 14 წლის ვიყავი, რუსი
მოგზაურისა და ტელეწამყვანის, იური სენკევიჩის წიგნის მიხედვით გადაღებული ფილმი
რომ ვნახე. ფილმი მოგვითხრობს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარე ისტორიული
და პოლიტიკური პროცესების შესახებ. მაშინ მივიღე გადაწყვეტილება, ჩამებარებინა
კრავოვის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. ვიცოდი, ასე უფრო
გამიადვილდებოდა, გავცნობოდი სხვა ქვეყნების ისტორიას, კულტურას, პოლიტიკურ ცხოვრებას.

**- ამ დროს რამე იცოდით საქართველოს შესახებ, იმ ქვეყანაზე, წლების მერე თქვენი
ცხოვრება რომ დაუკავშირეთ?**

- კრავოვის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკასაც ვეუფლებოდი (მეორად ფაკულტეტი).
პოლიტიკურ ჟურნალ-გაზეთებში მაშინ ხშირად იბეჭდებოდა ჩემი პუბლიკაციები, ძირითადად,
სოციალურ პრობლემებზე. ერთ-ერთ წერილზე მუშაობის დროს გაკვირვებით საქართველოს თემასაც
შევეხე. ძალიან მომიწონდა, მეტი გამეგო ამ ქვეყნის შესახებ.

- რამ განაპირობა ასეთი ინტერესი?

- ეს იყო უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის პერიოდი (ვარდების რევოლუციის
შემდეგ). დანგრეული საბჭოეთის შემდეგ ახალი, დემოკრატიული პროცესები, სოციალური
რღვევის ფონზე არსებული პრობლემები და მათი დაძლევისა და გარდაქმნის პერსპექტივები
მსოფლიოს აინტერესებდა. გარდა ამისა, სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით
დემოკრატიულმა ძვრებმა საქართველოში სხვა მასშტაბები შეიძინა. მაშინ II კურსის სტუდენტი
ვიყავი. რამდენიმე თვის მანძილზე სტუდენტებმა დეკანთან ერთად ვიმუშავეთ პროექტზე
„სამოქალაქო კავკასია“. შეგროვდა საჭირო თანხები სერბიაში, უკრაინასა და საქართველოში
გასამგზავრებლად, იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობის
მიუხედავად საინტერესო პერსპექტივები იშლებოდა.

სერბიასა და უკრაინასთან შედარებით საქართველოში ბევრად კომფორტულად და ლაღად
ვიგრძენით თავი, ყველაზე კარგი მასპინძლობა აქ გავიწიეს. ჩვენი დეკანი გაკვირვებული იყო:
არანაირი ბარიერი არ გვექმნებოდა, როცა დაგეგმილი იყო შეხვედრა მაღალი თანამდებობის
პირთან. ყველგან თბილი გარემო და მომღიმარი ადამიანები გვხვდებოდნენ. სხვა ქვეყნებში სხვა
რეალობა იყო.



- და მაინც: ალბათ, გახსოვთ ის შთაბეჭდილება, პოზიტიური განწყობა, საქართველოში პირველი ვიზიტის შემდეგ რომ შეგექმნათ?

- ეს იყო 2005 წელს. ათკაციანი ჯგუფის წევრები მოვფრინავდით კიევიდან. სხვებისგან განსხვავებით, სალონის ბოლო რიგში აღმოვჩნდი, ქართველებს შორის. გახსნეს კონიაკი და, რა თქმა უნდა, მეც შემომთავაზეს. მალე თვითმფრინავმა დაშვება დაიწყო. დღე იყო და ილუმინატორიდან ყველაფერი გარკვევით მოჩანდა. ვხედავდი პატარა, წითელსახურავიან სახლებს და მეჩვენებოდა, რომ ეს იყო სათამაშო შენობები ან სულაც ფერადი ქაღალდებისგან შექმნილი ფიგურები. სხვა დროსაც ბევრჯერ მიფრენია, არც იმ დღეს დამიღვებია კონიაკი პირველად, მაგრამ მსგავსი უჩვეულობის განცდა არასოდეს მქონია.



ბულიკო კარიაული და იონა აიერსი

- მოგვიანებით მაინც ასხენით, რამ გამოიწვია ასეთი ეიფორია თქვენში?

- მერეც არაერთხელ ჩამოვედი თბილისში. ყოველი შეხვედრა ადრენალინივით ისეთ სიამოვნებას მანიჭებდა, ქვეცნობიერად ისეთ აუხსნელ კავშირებს ვგრძნობდი თქვენს ქვეყანასთან, ხალხთან, რომ მაშინ გავიფიქრე: პოლონეთის მერე მხოლოდ აქ თუ შევძლებდი ცხოვრებას.


- ვერანაირად ვაკავშირებ ერთმანეთთან ორ სფეროს – ახლო წარსულში პოლიტიკით გატაცებას, დღეს კი რადიკალურად სხვა არჩევანს – ვგულისხმობ მუსიკას.

- მეტსაც გეტყვით. კრაკოვის შემდეგ სწავლა გავაგრძელე ლონდონში, სახელმწიფო დეპარტამენტის ფაკულტეტზე, სადაც საკურსო თემად კონფლიქტები, თავსმოხვეული ომები ავირჩიე. აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის განვითარებად ქვეყნებთან შედარებით კავკასია, ისტორიული და გეოპოლიტიკური ასპექტით, ბევრად საყურადღებო რეგიონია. საქართველოშიც უკვე არაერთხელ ვიყავი ნამყოფი. მოვიარე ლონდონის ცნობილი ბიბლიოთეკები. მსურდა, ყველანაირი ინფორმაცია მომეძიებინა კავკასიის შესახებ.

- როცა ტელევიზიით გიხილეთ, სწორედ ეს გამიკვირდა. რომ ლონდონის ერთ-ერთი პრესტიჟული სასწავლებლის პოლიტოლოგიის ფაკულტეტის შემდეგ თბილისის კონსერვატორიაში, ვოკალის სპეციალობით გააგრძელებთ სწავლა.

- ახლავე აგიხსნით ყველაფერს. 2008 წელს ლონდონიდან სტაჟირებაზე ჩამოვედი თბილისში. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით ოფიციალურად დავიწყე მუშაობა ევროპული მისიის თბილისის წარმომადგენლობაში. მაშინ შევიტყვე ქართველების უძველესი და უმდიდრესი ფოლკლორის შესახებ. სიმართლე გითხრათ, შინაგანად მე ყოველთვის უპირატესობას მაინც მუსიკას ვანიჭებდი. ყველა სხვა საქმიანობა ჩემთვის უფრო ჰობივით იყო. მით უფრო, პოლიტოლოგია.

თბილისში ჯერ დავუახლოვედი უცხოელებისგან შემდგარ ფოლკლორულ ანსამბლ „ნადურის“ წევრებს, შემდეგ „შავნაბადას“ ერთ-ერთ სოლისტს, რომელიც ინდივიდუალურ გაკვეთილებს მიტარებდა. სხვათა შორის, უფასოდ, უანგაროდ. მხოლოდ იმიტომ, რომ ნაციონალური ფოლკლორით ჩემს აღფრთოვანებას დაუფარავად გამოვხატავდი. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ქალბატონ გულიკო კარიაულს ვუმაღლი. სწორედ მან შეცვალა რადიკალურად, სასიკეთოდ ჩემი ცხოვრება. იშვიათია ასეთი პედაგოგი და პროფესიონალი. უზომოდ კმაყოფილი ვიყავი მისი გაკვეთილებით.



იონა აიერსი. თბილისის კონსერვატორიის მუსიკაში

- გვეამაყება, რომ საქართველო ამ მხრივ მართლაც უნიკალური ქვეყანაა; ქართული პოლიფონია კი კაცობრიობის ზეპირი ტრადიციის განსაკუთრებული ფენომენი.

- როცა ქალბატონმა გულიკომ ერთ დღეს მითხრა, რომ ჩემი მონაცემებით კონსერვატორიაში უნდა მესწავლა, თავიდან ხუმრობად ჩავუთვალე. არადა, უკვე არჩეული პროფესიით ვმუშაობდი, მესახებოდა სხვა პერსპექტივა, კარიერითაც და ფინანსურადაც უზრუნველყოფილი. ქალბატონმა გულიკომ მითხრა, თუ მოვინდომებდი, დაეძღვებდი სირთულეებს. ასე აღმოვჩნდი კონსერვატორიაში, სადაც შემირჩიეს საუკეთესო პედაგოგები. ერთი წელი გავუძედი უმძიმეს რეჟიმს. დამე თითქმის არ მეძინა. მაშინ



თუშეთში სტუმრობისას

დავდექი არჩევანის წინაშე. საბოლოოდ მუსიკამ გაიმარჯვა.

- მერე თუ ინანეთ, ლონდონში რომ არ დაბრუნდით?

- არასოდეს.

- თქვენი პიროვნული

არაორდინალურობა პოლიტიკიდან მუსიკაში მოსვლითაც ჩანს. მუდმივად ექვებთ, გიყვართ ინოვაციები და ეს, ალბათ, თქვენი ბუნებაა. დღეს უკვე მუსიკაში მოღვაწეობთ. ამ შემოქმედებით სფეროში რამ დაგაინტერესათ ყველაზე მეტად?

- ეთნომუსიკამ. უფრო კონკრეტულად, აფხაზურმა ფოლკლორმა. მაგრამ იმთავითვე სირთულეებს წავაწყდი. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ძნელად ვაგნებდი საჭირო ნოტებს. ხელთ მქონდა

მხოლოდ კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში მოძიებული ლიტერატურა. ისიც, გასული საუკუნის 50-60-იან წლებში გადაწერილი ნოტები. თითოეულ სიმღერას დაწვრილებით ვაანალიზებდი, ვსწავლობდი.

- პარალელს გააგლებდით ქართულ და აფხაზურ ეთნომუსიკას შორის? მოძიებული სიმღერები ამ მხრივაც თუ გაინტერესებდათ?

- აფხაზურ ფოლკლორულ მუსიკაში იყენებენ სხვა ინსტრუმენტებს. მათი ნაციონალური სიმღერები სრულდება აჩარპედით და აფხარცით. აფხარცა უფრო ჰგავს ჭუნირს, აჩარპედი კი სალამურს; მაგრამ აჩარპედი ორხმოვანია და მასზე დაკვრა ძალზე რთულია. ჭუნირს თუ სამი სიმი აქვს, აფხარცას ორი. როცა აფხაზურ ფოლკლორზე ვმუშაობდი, ჭუნირს ერთ სიმს ვაკლებდი, შესრულებულ სიმღერას თავისი ქდერადობა რომ შეენარჩუნებინა.

- იოანა, ვინ იყო ამ დროს თქვენს გვერდით, ვისგან იღებდით საჭირო რეკომენდაციებს?

- ლიტერატურის მოძიებასა და დამუშავებაში მეხმარებოდა ქალბატონი ნინო კალანდაძე, კონსერვატორიის პედაგოგი და ამ დარგის საუკეთესო სპეციალისტი. ქალბატონი ნინო დამბაშიძეც, რომელიც მუსიკოსი არ არის, მაგრამ როგორც ეთნოგრაფმა, ძალიან ბევრი რამ მიაბო სიმღერებთან დაკავშირებული აფხაზური რიტუალების შესახებ. გაგიკვირდებათ და პოლონელი მეგობრებისგანაც ვგრძნობდი თანადგომას. ერთი ჩემი ახლობელი ჩასული იყო სოხუმში და მომაწოდა იქ გამოცემული წიგნი „აფხაზური ფოლკლორი“.

- მუსიკა კაციობრიობის ხნისაა და ის ადამიანის ხმისგან დაიბადა. უშორესი საუკუნეების წიაღში იშვა ადამიანის სულიერი განწყობის გამომხატველი ფოლკლორიც, მასთან დაკავშირებული მითი თუ რიტუალი.

- ეთნომუსიკა და რიტუალი განუყოფელია. ეთნოგრაფიის პარალელურად მე ვეცნობოდი მუსიკალური თერაპიის კურსსაც. მუსიკალური თერაპია შედარებით ახალი სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც ევროპაში გასული საუკუნის 50-60-იან წლებში წარმოიშვა. ეს პრაქტიკა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ეროვნულ სიმღერებშიც გამოიყენებოდა. აფხაზური ფოლკლორისათვის სწორედ სამკურნალო ხასიათის სიმღერებია ნიშანდობლივი. თუ ქართული ფოლკლორის მიხედვით მუსიკალური თერაპია დადებითად ზემოქმედებდა ძირითადად ინფექციური დაავადებების დროს (სხვადასხვა სახის ბაქტერიები), აფხაზურ ფოლკლორში მას ნერვიული დაავადებების დასამარცხებლადაც იყენებდნენ, აგრეთვე, ჭრილობებისა და დამწვრობის მოსაშუშებლად.

- იქნებ, მოუყვებთ მკითხველს რომელიმე აფხაზური რიტუალის შესახებ, რომელიც სიმღერის თანხლებით სრულდებოდა? შემეცნებითი თვალსაზრისით, ალბათ, განსაკუთრებით საინტერესოა ფოლკლორის ეს სფერო.

- აფხაზური ეთნოსის მიხედვით, ყვავილის (ინფექციური დაავადება) გადამტანები არიან ზეციური ღვთაებები – ახიზუთხანი და მისი მეუღლე ხანია ხახვა. მითი იმით იწყება, რომ ცხენზე ამხედრებულ ახიზუთხანს კვალდაკვალ მიჰყვება ვირზე შემომძვდარი ხანია ხახვა და თავის მოშენებულ ყვავილებს ფანტავს სოფლის გზაზე, ავრცელებს დაავადებას. ხალხური რწმენით, ადამიანები რომ განკურნებულ იყვნენ, უნდა შესრულებულიყო განსაკუთრებული რიტუალი (აჩაფშარა). ირჩევდნენ ორ ულამაზეს გოგონას; ერთს - დიდებულთა ოჯახიდან,



მეორეს კი – მდაბიოთა წრიდან. მიჰყავდათ ისინი ტყეში, სადაც მთელი სოფელი იყრიდა თავს. მსხვერპლად უნდა შეეწირათ ორი თხა – ვაცი და ნეზვი (მამალ-დედალი). მუხლებზე დაჩოქილი ადამიანები ევედრებოდნენ დაავადების გადამტან უხილავ ღვთაებებს, ეამბოროთ ქალიშვილებისათვის აბრეშუმის გამჭვირვალე ქსოვილით დაფარულ მკერდზე. ტრადიციის თანახმად, ამ წმინდა რიტუალის შემდეგ ახიზუთხანი და ხანია ხახვა სოფლის შვილობლები ხდებოდნენ. იშლებოდა სუფრა; სოფელი ილხენდა. ბოლოს კი ორ ცხენს, მამაკაცისა და მანდილოსნის უნაგირებით, სიმღერით აცილებდნენ სოფლიდან. ტოვებდნენ სოფელს დაავადების გადამტანი ღვთაებები - ახიზუთხანი და ხანია ხახვა. ასე იმარჯვებდა სოფელი ყვავილზე. უამრავი ასეთი აფხაზური სიმღერა და რიტუალი მაქვს შესწავლილი.

იმ დღეს ტელევიზიით მეგრული სიმღერა „ასე ჩონგური“ შეასრულეთ და ამ კუთხისთვის დამახასიათებელი ლირიკული ინტონაციებით მოგეხიბლეთ. რომელია თქვენთვის გამორჩეული სიმღერები? სად ასრულებთ მათ?

- ძალიან ბევრია ასეთი, მაგრამ ეროვნული ფოლკლორიდან გამოვყოფდი მეგრულ „ვაგიორქო მას“, „ასე ჩელას“, გურულ „უწინარეს მას ვადიდებთ“, ქართულ „იანანას“, „თბილისოს“, „სულიკოს“. სიამოვნებით ვასრულებ ვაჟა-ფშაველას (ეს პოეტი ჩემთვის გამორჩეულია) ლექსზე შექმნილ ნოდარ გაბუნიას სიმღერას „ერთხელ იქნება, მოკვდები“. უამრავ კონცერტში მაქვს მონაწილეობა მიღებული, კონსერვატორიის სცენაზე, სხვაგანაც.

იყავით კრიტიკული და გულახდილად გვითხარით, როგორ გრძნობს თავს საქართველოში გამოკვეთილი ევროპული მენტალობის ადამიანი?

- მე აქ ძალიან კარგად რომ არ მეგრძნო თავი, მალევე გავიქცეოდი ამ ქვეყნიდან. საქართველოში ჩამოსული უცხოელი იხიბლება იმ ღირებულებებით, რაც, დიდი ხანია, უცხოა დასავლეთისთვის. ადამიანური ურთიერთობების განმსაზღვრელი, ასე ვთქვათ, ღირიური დღეს იქ ფულია. კი, ბატონო, 21-ე საუკუნეა, აუცილებელია მობილურიც, ინტერნეტიც, მაგრამ ასე ხომ ადამიანები თანდათან ვკარგავთ ერთმანეთს. სამყარო გადაიღალა ინტერნეტ-ურთიერთობებით. დღეს ამერიკელების უმრავლესობა დეპრესიულია და ჰყავთ პირადი ფსიქოლოგები. ადამიანური კონტაქტების დეფიციტია და იმიტომ. მე საქართველოში ბევრი რამ გავითავისე. როდესაც პოლონეთში ვბრუნდები, ასე ვთქვათ, „ქართული წესებით“ ვურთიერთობ ადამიანებთან, „ქართულად“ ვმასპინძლობ სტუმრებს. პოლონელი კი თითქოს ჩემთვის ბარიერს იქით დგას და უკვე ვერ მიგებს. ონკანი რომ შუაღამით მწყობრიდან გამოვიდეს, პოლონეთში ვერავის შეაწუხებ. აქ ჩამოსული დედაჩემი გაოგნებული უყურებდა ღამის პიჟამოში გამოწყობილ მეზობელ რეზოს, შუაღამით ლოგინიდან ამდგარს, დაზიანებული ონკანის გაკეთებას საგულდაგულოდ რომ ცდილობდა. დედაჩემისგან ამის შესახებ, ღამის, ნახევარმა პოლონეთმა შეიტყო.

სამომავლოდ რას ფიქრობთ?

- ვიცი, რომ საქართველოში ვრჩები საცხოვრებლად. მინდა, ვიმოგზაურო ქვეყანაში, მოვიარო კუთხე-კუჩხული, ჩავწერო ახალი სიმღერები.

რა არის ის, რის გამოც დროს არ დაკარგავდით?

- ცუდ ადამიანებთან ურთიერთობა ჩემთვის დროის ფუჭად დაკარგვაა.

და ბოლოს, ჩვენი ტრადიციული შეკითხვა: რას უსურვებდით „იალქანს“?

- ისეთი ჟურნალი, რომელიც თქვენ მანახეთ და ნაწილობრივ გამაცანით კიდევ, მე მგონი, დღეს ნაკლებადია. გისურვებდით, რომ კარგი მკითხველის ხელში მოხვდეს იგი და, რაც შეიძლება, მეტმა მოზარდმა გაიცნოს. მე რომ ახლა მათ ასაკში ვიყო, დავეშურებოდი ჟურნალში დაბეჭდილ პუბლიკაციებს. მე ყოველთვის მხიბლავდა, მომწონდა სულიერებით გაჯერებული ასეთი ლიტერატურა.

უღრმესი მადლობა ასეთი შეფასებისთვის. გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს.



ანსამბლი „ანჩისხატი“ კრაკოვში. წამყვანი - იონანა აიერსი



დაპლოცე, ულტიმა ფრაგმენტი რომანიდან

რულოლო ა. ანანია

ინგლისურიდან თარგმნა საბა ძიმისტარაშვილმა

- ბევრს თევზაობ ხოლმე? - შევეკითხე.
 - მე სულთ ყოველთვის მეთევზე ვიყავი, - მიპასუხა მან, - რაც თავი მახსოვს.
 - შენ თუ გიყვარს თევზაობა? - დაინტერესდა ის.
 - დიახ, როცა პატარა ვიყავი, ჩემმა ძმებმა მასწავლეს თევზაობა. შემდეგ ისინი ომში წავიდნენ და მათ გარეშე ვეღარ ვთევზაობდი. შემდეგ კი ულტიმა მოვიდა...

- ვიცი, - თქვა მან.
- გასულ ზაფხულს ბევრს ვთევზაობდი. ზოგჯერ ჯეისონთან ერთად.
- ბევრი გაქვს სასწავლი?
- დიახ, - მივუბე მე.

შუადღის მზე ათბობდა ქვიშას. წყალდიდობის შემდეგ ამღვრეული მდინარე მდორედ მიედინებოდა სამხრეთისკენ. უეცრად კლდის ღრმულიდან პირდაპირ ჩვენს წინ ლოქოებმა ამოყვინთეს. ზაფხულის პირველი თევზაობისთვის ისინი კარგად მოწყვებოდნენ ანკესს. ჩვენ საკმაოდ ბევრი არხის ლოქო და რამოდენიმე პატარა ყვითელმუცელა თევზი დავიჭირეთ.

მდინარე საგსე იყო უამრავი დიდი, ყავისფერი კობრით. მას კობრების სამფლობელოს ეძახდნენ. ყველამ იცოდა, რომ წყალდიდობის მერე ჩარეცხილ დინებაში ამ კობრების დაჭერა ავის მომასწავებელი იყო. ყოველი დატბორვისას, როდესაც აზვირთებული, მორევიანი წყალი კლებულობდა, ყველას შეეძლო, დაენახა, როგორ იბრძოდნენ დიდი თევზები უკან, დინებაში დასაბრუნებლად. ეს ყოველთვის ასე ხდებოდა.

წყალი იკლებდა ძალიან სწრაფად და ზოგ ადგილას იმდენად მეჩხერდებოდა, რომ დინებისკენ მცურავ თევზებს ზურგები უჩანდათ.

ხანდახან ქალაქელები ჩამოდიოდნენ და ხიდიდან უყურებდნენ კობრების წვალებას, თუ როგორ უნდოდათ, დაბრუნებოდნენ მდინარეს, რომელსაც წყალდიდობამ დააშორა. ის ქალაქელი ბავშვები, რომლებმაც იცოდნენ, რომ კობრების დაჭერა ცუდის ნიშანი იყო, ამოაგდებდნენ მათ გუბურებიდან და დაასრიალებდნენ ქვიშის ბორცვებზე. საწყალი თევზები ფართხალებდნენ იქამდე, სანამ არ გაშრებოდნენ და მოკვდებოდნენ. შემდეგ ისინი ყვავების საჯიჯგინი ხდებოდნენ...

საოცარი სანახაობა იყო თვითგადარჩენისთვის მებრძოლი კობრების სწრაფვა, დაბრუნებოდნენ თავიანთ ადგილსამყოფელს მანამ, ვიდრე მდინარე დაიყოფოდა პატარა შენაკადებად და ხაფანგივით მოიმწყვდევა მათ გუბურებში. უფრო საოცარი კი ის იყო, რომ, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, ზოგიერთი მათგანი მაინც აღწევდა მიზანს, აგრძელებდა სიცოცხლეს და მრავლდებოდა. ეს დრამა ყოველ წელს მეორდებოდა.

- არა, მე არასდროს არ ვიჭერ კობრებს, და იცი, რატომ? - მკითხა მან წარბის აწევით.

- არა, - ვთქვი მე სუნთქვაშეკრულმა.

თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ჩემ წინ მობუტბუტე, იდუმალი მდინარე თავის ქაფიან და მღვრიე ტალღებში ბევრ საიდუმლოს მალავდა.

- მოგიყვები რატომაც, - დიდი ხნის დუმილის მერე მითხრა სამუელმა, - ეს ლეგენდა ჯეისონის ინდიელმა უამბო მამაჩემს. მე გატრუნული ვუსმენდი.





წყლის დგაფუნი ჩემს სულში წარსულის ექოდ ირეკლებოდა.

- უხსოვარი დროიდან, მაშინ, როცა დედამიწა იყო ძალიან ახალგაზრდა და მხოლოდ მომთაბარე ტომები დააბიჯებდნენ მის შეურყენელ მდელოებზე და სულდგმულობდნენ მისი ანკარა წყაროებით, უცხო ადამიანები გამოჩნდნენ ამ მიწაზე. ისინი თავიანთი ღმერთების მიერ იყვნენ გამოგზავნილები. მიუხედავად ხეტიალში განვლილი მრავალი წლისა, მათ ხელი არ ჩაუქნევიათ და თავიანთი ღმერთების რწმენა არ დაუკარგავთ. საბოლოოდ მათ ღმერთმა გაუღიმათ. ეს ნაყოფიერი მიწა-წყალი გახდა მათი სახლი. იქაურობა სავსე იყო ცხოველებით, მსხმოიარე ხეებით, სუფთა ნაკადულებითა და სიმინდის ყანებით.

- ისინი ინდიელები იყვნენ? - ვკითხე მცირე პაუზის მერე.
- ადამიანები იყვნენ, - მიპასუხა მან და გააგრძელა:
- ერთადერთი ხელშეუხებელი მხოლოდ კობრი იყო.

მდინარეში მობინადრე ეს თევზი წმინდა იყო მათთვის. ეს ადამიანები დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერად, მაგრამ ორმოცწლიანი გვაღვის შედეგად, როდესაც მოსავალი განადგურდა და ცხოველები დაიხოცნენ, დაიწყო შიმშილობის ხანა. თავის გადასარჩენად ისინი მიადგნენ მდინარის კობრებს და შეჭამეს.

მე შევეკრთი. მსგავსი რამ არასოდეს მომესმინა. უკვე ბნელდებოდა და დედა გამახსენდა.

- ღმერთები საშინლად განრისხდნენ და უნდოდათ, ამოეხოცათ ადამიანები ამ ცოდვისთვის. მაგრამ ერთი ღმერთი, რომელსაც ეს ხალხი გულით უყვარდა, შეეწინააღმდეგა მათ. ამ სიყვარულმა შეძრა სხვა ღმერთები და შეარბილეს სასჯელი. ისინი გადააქციეს კობრებად და ბინა ამ მდინარეში მიუჩინეს.

ჩამავალი მზე აბრჭყვიალდა ყავისფერ წყალზე და ოქროსფერი ელვარება შემატა მას.

- ცოდვია მათი დაჭერა, - თქვა სამუელმა, - მათი ჭამა ყველაზე საშინელი ცოდვია. ისინი იგივე ადამიანები არიან.

და თან მდინარის შუაგულში დგაფუნით მოცურავე ორი უზარმაზარი ფარფლიანი ზურგი დამანახა.

- და კობრს თუ შეჭამ, იმ ადამიანებივით დაისჯები? - ვიკითხე ჩურჩულით.
- ვერ გეტყვი, - მომიგო სამუელმა. ის წამოდგა და აიღო ჩემი დაჭერილი თევზების აცმა.



- და ასე დამთავრდა ეს ლეგენდა? - ვიკითხე.

მან გაყო ლოქოები და მომცა ჩემი წილი, პატარა მავთულზე აცმული.

- არა, ამით არ დამთავრებულა, - და ისე მიმოიხედა, თითქოს უნდა დარწმუნებულიყო, რომ არავინ გვისმენდა.

- გსმენია ოქროს კობრის შესახებ? - მეითხა ჩურჩულით.
- არა, - გავაქნიე თავი.

- როდესაც გაბრაზებულმა ღმერთებმა კობრებად გადააქციეს ადამიანები, ის ერთი, მათი მწყალობელი და მოსიყვარულე ღმერთი, ძალიან დადონდა. უცხო თევზებისთვის მდინარე სახიფათო იყო. კეთილმა ღმერთმა სთხოვა სხვა ღმერთებს, რომ მასაც სურდა თევზად გადაქცევა, კობრებთან ერთად ცურვა და მათზე ზრუნვა. ღმერთები დათანხმდნენ, გადააქციეს ის დიდ ოქროსფერ კობრად და წყლის სამყაროს მფარველად.





- * „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“, - რაფიელ ერისთავის ამ სტრიქონებს გაზეთმა „დროება“ მეთერთმეტე მცნება უწოდა.
- * სამება, სვეტიცხოველი, ალავერდი, გელათი - საქართველოს ყველაზე დიდი ტაძრებია.
- * საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი რიჩის ტბა აფხაზეთშია და მას ტბების დედოფალს უწოდებენ.
ანტარქტიდის ჰინგვინს თავისი დადებული ყვერცხი მუდამ თბილი, სქელი გერმით* შემოსილ ფეხებს შორის აქვს მოქცეული და ისე დადის. ანტარქტიდაში ყველგან ყინულია, მასზე დადებისას ჟი ყვერცხი ფუჭდება. ამიტომაც ჰინგვინი არასოდეს ერთზე მეტ ყვერცხს არ ღებს.
- * ქორწინების პირველ წელს მწვანე ქორწილი ჰქვია.
- * ცნობილი სიმღერა „შავლეგო“ შალვა ახალციხელს მიეძღვნა. იგი თამარ მეფის უპოქის ცნობილი მეომარი იყო.
- * 1883 წელს სოხუმში აიგო პირველი რკინის ნავსადგური.
მგალობელი ჩიტი მოლათური ბუდისტის არჩევს წვრილ ტოტებს. ტოტი აუცილებლად ორჯაპი უნდა იყოს, რომ საბუდარი მყარად დაეკიდოს. წვრილ ტოტს ნიავი ადვილად აქანავებს და ბუდე აკვანივით ირწევა.
- * „ქრისტინე“ პირველი ქართული მხატვრული ფილმია.
- * სიჩქარის გადაჭარბებისთვის პოლიციის მიერ გამოწერილი ჯარიმის ოდენობა ფინეთში მძღოლის შემოსავლის მიხედვით განისაზღვრება.
- * მეგრულ და სვანურ ენებში არ არსებობს წოდებითი ბრუნვა.
- * შაჰ-აბასის გვარდიის შემქმნელი და მისი სარდალი იყო ეროვნებით ქართველი, ვინმე უნდილაიძე.
რომაელები მეგობრებს „ყველაზე დიდ ქურდებს“ უწოდებდნენ. ისინი გვპარავენ დროსო, მიიჩნევდნენ ისინი.
- * „Погибнешь от белой головы“, უმჯობესაა ერთხელ ჰუმჯინს ბოზა ქალმა. დანტესი, ვისი ხელითაც დუელში დაიღუპა პოეტი, ქერათმიანი იყო.
- * სანთიობო - პატარა ოთახი ახლადდაქორწინებულთათვის (იმერეთი).
- * მეტა ყნოსვით ვერასოდეს აგნებს ნორჩ ბაჭიებს, რადგან მათ სუნი არ აქვთ. სხვა მტაცებლებიც მათ ვერასოდეს პოულობენ.
ნათელ და, განსაკუთრებით, უმთვარო ღამეში, ივლის-აგვისტო-სექტემბერში, ცარგვალზე დიდი, თეთრი სარტყელი გადაიჭიმება ხოლმე, თითქოს თეთრი რძის მდინარე მიედინებაო. ამ თანავარსკვლავედს რძიანი გზა ჰქვია; ქართველები ჟი მას - ირმის ნახტომს უწოდებენ.

* - რბილი, წმინდა ბუმბული.




„იარქნის“ ნინა ნომერში (№30) დავაანონსეთ დღევანდელი „საუკეთესო გავეთილის“ თემა.

ამჯერედაც მას წარმოგვიდგენს სოხუმედი ჰელაგოგი, ქიმიკ-ბიოლოგიის მასწავლებელი - მარინა ჩაბრავა.

იმასაც ვიუნყებოლით, რომ იგი მუშაობს კერძო სკოლაში „ინტედექტი“. სასწავლებელი განთავსებულია შენობაში, რომელიც აიგო 1808 წლის 26 იანვარს. აქ იმთავითვე ფუნქციონირებდა ამიერკავკასიის თბილისის სამხედრო ჰოსპიტალი და სლაც XIX ს.-ის 50-იან წლებში ექიმად მუშაობდა გამოჩენილი რუსი ქირურგი - ნიკოლოზ პიროგოვი.

ამ თემებთან დავავშირებით ქაბდაცოწმას მარინა ჩაბრავა საჭირო დიფერცურასთან ერთად საჯარო ბიბლიოთეკასა და საქართუდოს ეროვნულ არქივში* მოიძიას ექსკრუბიური მასკლები. მის მიერ ჩაყარებუდმს გავეთილმს ამიცომაყ შეიძინას განსკუთრებული ექსწრესიუდობა.



ნიკოლოზ პიროგოვი

200 წლის თბილისის ჰოსპიტალი და ნიკოლოზ პიროგოვის მოჭაურობა კავკასიაში

ანრა, რომელიც გვაუნყებს

მარინა ჩაბრავა



აბრა სკოლის ფასაღბე

ნავთლულში, მეტრო „ინნიდან“ ხუთიოდე წუთის სავალ გზაზე, ყოფილი რუსული ჰოსპიტლის ტერიტორიაა. 200 წლისაა ნაგებობა, სადაც ჩვენი სკოლა „ინტედექტი“ ფუნქციონირებს და რომელიც საუკუნოვან ნარგავებსა და მწვანე ხეივანს შორისაა მოქცეული.

აბრა, რომელიც გამოკრულია ორსართულიანი სკოლის ფასაღბე, გვაუწყებს, რომ ამ შენობაში 1847 წელს მუშაობდა უდიდესი რუსი ქირურგი, რუსეთში საველე-სამხედრო ქირურგიის ფუქემდებელი - ნიკოლოზ პიროგოვი.

ამიერკავკასიაში და, კერძოდ, თბილისში ნიკოლოზ პიროგოვის ყოფნის პერიოდი, მეცნიერთან დაკავშირებული სამედიცინო ინოვაციები, ამიერკავკასიის სამხედრო ჰოსპიტლის შესახებ მოძიებული დოკუმენტაცია დავამუშავეთ VIII კლასში, ერთ-ერთ გაკვეთილზე.

პირველად

ნიკოლოზ ივანეს ძე პიროგოვი დაიბადა 1810 წლის 13 ნოემბერს, მოსკოვში, სახელმწიფო მოხელის ოჯახში.

ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ფენომენალური ნიჭით. 14 წლის ასაკში მან წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები მოსკოვის უნივერსიტეტში და გახდა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი.

1832 წლის 31 აგვისტოს, 22 წლის ახალგაზრდა მეცნიერმა დაიცვა ლათინურ ენაზე დაწერილი დისერტაცია და მიენიჭა მედიცინის დოქტორის ხარისხი.

1845 წელს ნიკოლოზ პიროგოვმა დააარსა პირველი ანატომიური ინსტიტუტი რუსეთში. შექმნა ახალი დისციპლინის - ტოპოგრაფიული ანატომიის ატლასი, 768 გვერდიანი, რომლითაც აღწერა ადამიანის ორგანოები, შემუშავა ოპერაციის ჩატარების ახალი მეთოდები.

1846 წელს ამერიკელი ექსპერტის უ. მორტონის მიერ ეთერის ნარკოზის გამოყენების შემდეგ, მალევე, ნიკოლოზ პიროგოვმა გამოაქვეყნა სამედიცინო ნაშრომი, რომელიც ცხოველურ ორგანიზმზე ეთერის მოქმედებას აღწერდა.

მან იმთავითვე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ნარკოზს, როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას და აღნიშნა, რომ მის გარეშე ქირურგიის შემდგომ პერსპექტივებზე



ყოფილი თბილისის ჰოსპიტლის ვესტიბულში ბაპრული ღაფა

* - დოკუმენტაციის მოძიებაში რედაქცია მადლობას უხდის ეროვნული არქივის სამეცნიერო-მეთოდიკური მუშაობისა და დაკომპლექტების განყოფილების უფროსს - შორენა გულიაშვილს.



საუბარი შეუძლებელი იყო.

1847 წლის 8 ივნისს პეტერბურგიდან ის გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა და სადაც დაჰყო 9 თვე.

სწორედ აქ, სამხედრო-საველე ოპერაციის ისტორიაში პირველად გამოიყენა ნარკოზი; პირველმა შექმნა აქ დაჭრილების დახარისხების სისტემა, რითაც აღმოფხვრა მანამდე არსებული ქაოსი ბრძოლის ველზე; საველე პირობებში აქ პირველად აამუშავა მოწყალეების დების (მედლების) სამსახური; პირველმა აქ გამოიყენა ჯერ სახამებლისგან, შემდგომ კი თაბაშირისგან დამზადებული მყარი შესახვევები (კიდურების მოტეხილობის დროს).

კავკასიაში მოგზაურობის დროს არაერთი ჰოსპიტალი მონახულა. ეწვია ამიერკავკასიის თბილისის სამხედრო ჰოსპიტალსაც.

1847 წლის ბოლოს ნიკოლოზ პიროგოვი სამედიცინო საზოგადოებას წარუდგინა ანგარიში კავკასიაში თავისი მოგზაურობის შესახებ. დღეს ეს ნაშრომი, 226 გვერდიანი, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და ინახება თბილისის ცენტრალურ სამედიცინო ბიბლიოთეკაში.




1808 წლის 26 იანვარს აშენებული ყოფილი ჰოსპიტლის შენობა

იბილოსში ყოფნისას

ნიკოლოზ პიროგოვი რამდენიმე დღე დაჰყო თბილისში. თავის ნაშრომში მან ჩაწერა:

„მსურდა, კავკასიის ექიმები გაცნობოდნენ მნიშვნელოვან ინოვაციებსა და ქირურგიული ოპერაციების ჩემეულ მეთოდებს“.

იმავე კრებულისგან ჩანს, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე მეცნიერი მოიხიბლა ქალაქით, მისი ორიგინალური და ფერწერული ხედებით. პიროგოვის სიტყვებით, უკვე იმ დროს თბილისს დაჰკრავდა ევროპული იერი. „ყველგან შენდება ახალი სახლები და ჩამოშლილი ბარაკები უკვე გუშინდელი დღეა“; ეხება რა თბილისის კლიმატს, მეცნიერი მას სამხრეთ იტალიის ქალაქებს ადარებს.



პასკევიჩის წერილი სინიაბინისადმი. 1827 წლის 5 დეკემბერი

როგორც აღვნიშნეთ, პიროგოვი საქართველოში დიდხანს არ გაჩერებულა, მაგრამ, როგორც ჰოსპიტლის საარქივო მასალებიდან ირკვევა, ეთერის ნარკოზით მან თბილისშიც ჩაატარა რამდენიმე ოპერაცია.


ეს იყო საქართველოში ნარკოზის გამოყენების პირველი მცდელობა. მეცნიერი უკვე გაბედულად აღაპარაკდა ქირურგიის განვითარებაში ეთერის განსაკუთრებულ როლზე.

უკვე შემდგომ წლებში ნიკოლოზ პიროგოვი სწორედ თბილისიდან მიღებული ეთერითაა კმაყოფილი:

„ჩვენ თბილისიდან ვიღებთ კარგი ხარისხის ეთერს, საუკეთესო ნაზავით. ამ ნარკოზის ზემოქმედებით ჯარისკაცების სიზმრები მხიარულია; მათ ესიზმრებათ საუცხოო ბაღები და ულამაზესი ხედები“.

პიროგოვი თბილისშიც პირველმა შექმნა მოწყალეების დების სამსახური. მან ისინი დაჰყო სხვადასხვა კატეგორის მედლებად (შესახვევი ოთახის, აფთიაქისა და სანიტარული სამსახურის ექთნებად, ღამის მორიგედ); ჩაუტარა სათანადო ინსტრუქციაც, რამაც საგრძნობლად აამაღლა მუშაობის ხარისხი თბილისის ჰოსპიტალში.

თავის ანგარიშში რუსი ქირურგი საუბრობს ქართველ



პრიბილის წერილი სინიაგინისადმი. 1827 წლის 12 დეკემბერი

ექიმბაშებზეც, იმ მკურნალებზე, ძველი კარაბადინებით რომ ხელმძღვანელობდნენ: „შეგხვედრილვარ რამდენიმე დაჭრილს, რომლებიც სამკურნალოდ მიმართავდნენ ხოლმე ექიმბაშებს“.

მიუხედავად იმისა, რომ პიროგოვმა კავკასიაში (სტავროპოლში, მოზდოკში, პიატიგორსკში, დაღესტანში, თბილისში) იმოგზაურა მხოლოდ რამდენიმე თვე, 36 წლის უკვე ცნობილი ქირურგისთვის ეს პერიოდი ძალზე ნაყოფიერი იყო.

საარქივო მასალები

საქართველოს ეროვნულ არქივში მოძიებული დოკუმენტებითაც დასტურდება, რომ XIX ს.-ის 30-იან წლებში თბილისში ფუნქციონირებდა სამხედრო ჰოსპიტალი.

*** 1827 წლის 5 დეკემბრითაა დათარიღებული გენერალ-ადიუტანტ პასკევიჩის წერილი, გაგზავნილი თბილისის სამხედრო გუბერნატორ – სინიაგინისადმი. პასკევიჩი თხოვს სინიაგინს, თბილისის ჰოსპიტალი უფრო პრესტიჟულ სამედიცინო დაწესებულებად აქციოს და 1200-მდე გაზარდოს საწოლი ადგილები.

*** თბილისის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-ლეიტენანტ სინიაგინს პატაკს უგზავნის თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის მთავარი ექიმი – პრიბილიც. მთავარი

ექიმი თხოვს გუბერნატორს, გაუმჯობესდეს ჰოსპიტალში წოდისა და მკურნალობის პირობები. წერილი დათარიღებულია 1827 წლის 12 დეკემბრით.

*** 1826 წელს დაშვებული 600 ავადმყოფის ნაცვლად ჰოსპიტალში თურმე იწვა 962 პაციენტი.

*** ხელთა გვაქვს 1880 წლის 31 მაისით დათარიღებული თბილისის გიმნაზიის დირექტორის ლ. მარკოვის პატაკი. იმ წელს მოსკოვთან ერთად თბილისის საზოგადოებაც აღნიშნავდა ნიკოლოზ პიროგოვის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლისთავს. მოხსენებით ბარათში ლაპარაკია 13 რუბლზე, რომელიც გიმნაზიის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა შეაგროვეს მეცნიერის საიუბილეოდ.

*** მეორე მსოფლიო ომის დროს თბილისის ჰოსპიტალში მკურნალობდნენ და რეაბილიტაციის კურსს გადიოდნენ დაჭრილი ჯარისკაცები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. ჩვენს რესპუბლიკაში ევაკუირებული კულტურის ცნობილი მუშაკები (მოსკოვის სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელი ნემიროვიჩ-დანჩენკო, სახელოვანი მსახიობები - ვ. კახალოვი, ო. კნიპერ-ჩეხოვა, მ. თარხანოვი, ფ. შევჩენკო...) ქართველ კოლეგებთან ერთად მათთვის მართავდნენ „საშეფო კონცერტებს“.

*** 1968 წლის 22 დეკემბერს, გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ინფორმაცია ასეთი სათაურით: „სამხედრო ჰოსპიტალი 160 წლისა“. ამ იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო შეხვედრაზე მოხსენებით - „საოღარ სამხედრო ჰოსპიტალი 160 წლისა“ - გამოვიდა პოლკოვნიკი ზ. პოდროჟანსკი.

სამწუხაროდ, საარქივო მასალებში ვერ მოხერხდა ამ მოხსენების მოძიება.

200 წლის ყოფილი ჰოსპიტლის შენობაში დღეს წარმაცებით ფუნქციონირებს კერძო სკოლა - „ინტელექტი“.



ლ. მარკოვის წერილი. 1880 წლის 31 მაისი

* - „ახალგაზრდა კომუნისტი“, - 1976 წლის 4 მარტი. „...მაშინ თბილისის ჰოსპიტალში“.



დღეს თუ სადმე უჭირს და სცვივს ქართულ ენას, თუ სადმეა გასამთელებელი გაორებული ეროვნული ცნობიერება, თუ სადმე ისკვდის მობარდი ქართულად ნაბეჭდ სსოსა და სიყყვას, თუ სადმე ვინმესთვის მეცი თანადგომის გამოხატვა, ეს გადის რაიონის სკოლები და მისი აღსაზრდელები. რეგიონი, სადაც რუსული ჰოლიციკის ყვედაზე სავადლო შედეგებს ვიძვით.

ამიციმაც „იარქნის“ რედაქცია ყოველთვის განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიყვარულით ეცნობა გადელი მოსწავლეების თხზულებებს, ბავშური ემოციით მოყოლილ მართად ისცორიებს. მათი ნაკითხვის შემდეგ სევდიანი განწყობა გეუფლება, თუმცა ყმანვილებს სჯერათ (და სურთ, სხვებიც დაარწმუნონ ამაში), რომ ნაგებული ომი მაინც დასრულდება.

გადელი მოსწავლეების - დევან ფარუდავას, ივლით ხაზადასა და ნიკა ბიბდაას თხზულებები მოგვანოდა გადის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრმა (ხელმძღვანელი ნონა შონია. აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო).

მზეს შენ გამიფერადებ წერილი აფხაზ თანაცოლს

ლემან ფარულავა

გამარჯობა, ასტიკ!

გულთბილად მოგიკითხავ. ძალიან მინდა, უფრო ახლოს გაგიცნო. შევხვდეთ და ვიმეგობროთ, მაგრამ ჩვენი მშობლები ამას გვიშლიან. რამდენიმე წლის წინათ ერთმანეთს ვესროდითო, ასე მეუბნებიან. მე სულ ვუსვამ დედას ამ კითხვას, კი, მაგრამ, რატომ?! ჩვენ ხომ ერთი მზე გვათბობს-მეთქი. მე ასე არ მინდა, შენც, არა, ასტიკ?!

ჩემი მზია ბებოც შენსავით სოსუმელი იყო. ის ხშირად მიყვებოდა, თუ როგორ ცხოვრობდნენ ერთ ქუჩაზე აფხაზები, რუსები, ებრაელები, ბერძნები, სომხები და, რა თქმა უნდა, ქართველები. მაშინ გასაყოფი არაფერი გვექონდაო, ზღვაზეც ერთად დავდიოდით, ერთადაც ვთამაშობდითო.

ის ზღვა როგორც შენი, ისე ჩემიც არის, მაგრამ, სამწუხაროდ, თვალთაც არ მინახავს. სოსუმში ჩემი წაყვანა დედიკოს ეშინია. მე ქართულად ვლაპარაკობ და იქ თუ ქართული წამოგცდა, საშიშიაო...

ძმაო, ასტიკ! მე ვარ ერთი ქართველი მეოცნებე ბიჭი, რომელსაც ძალიან უნდა შენთან მეგობრობა. ამ ზაფხულს გეპატიუები ჩემს სოფელში. შევიყვაროთ ერთმანეთი. მე ჩემს მეგობრებს გაგაცნობ, შენ შენებზე მოგვიყევი და ვიაროთ ასე მეგობრობის გზით.

- ხატვა იცი, ასტიკ? მე კი ძალიან მიყვარს ხატვა. მე მზეს დავხატავ, შენ გამიფერადებ, ჩვენს მზეს, ასტიკ, ჩვენს! ჩვენ ამ სიყვარულს ვერავინ დაგვიშლის. სხვებიც მოგვბაძვენ და ომის სახელი არსად იქნება.

ოღონს დამპირდი, რომ შენს დედიკოს წააკითხებ ამ წერილს და ჩემს მაგივრად სთხოვე, ნუ დაგემსხვრევენ ამ ოცნებას. სულმოუთქმელად დაველოდები შენს პასუხს. შეხვედრამდე.

ლუკანი.



კი



მტრედეპი

ივლით ხაზალია

ენგური ჰყვება შორეულ ამბავს,
მისი ჩურჩული მიწუხებს მუხებს,
ოდესღაც ერთი მირონით ნაბან
ორ ერს დღეს ჯანლი აწვება გულზე.



აგერ, ხილია მოწმე წარსულის,
ფერფლად ქცეულა სამურზაყანო,
ძიძიშვილობის დროა გასული,
რა გვეშველება, ჩემო აკვანო?!



დღეს ვინდა ურწევს სიყვარულს, ნეტავ,
სევდის მარწუხი გატყდება როდის?
შენ, ძიძავ, ჩემო მეორე დედავ,
ატირებული გიხილე ომით...



ვის ვისგან ვიცავთ? ვიბრძვით მიწისთვის,
ჩვენგან კი მიწა დარჩება მხოლოდ,
დრო აღარ გვრჩება ერთი ფიქრისთვის,
არ არის ომი ყველაფრის ბოლო!

უბით მოგიყვან, გპირდები, მტრედებს,
ძიძავ, მიიღე, როგორც სიმბოლო
და მიმიკარი ძლიერად მკერდზე,
ამ გაზაფხულზე აღარ ვიგლოვოთ.



მშვიდობის მგოსნებს გაუშვებ ცაში,
დაე, მოედონ ჩვენს ტურფა მხარეს,
ჰორიზონტს ფარავს მტრედების მარში,
ამოგიკოცნი ცრემლიან თვალებს.



შენ ჯერ პატარა ხარ, შაოუ

ნობა ბიბლანია

მათემატიკის გაკვეთილზე მასწავლებელი საშინაო დავალებას გვაძლევს. ფანჯარასთან სამმა ჯარისკაცმა გაიარა. შუაში მაღალი, ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდაა, აქეთ-იქით უდგანან საშუალო ტანის, ჯმუხი, შავგვრემანი ბიჭები. სამივეს ავტომატი უჭირავს ხელში. მალე ისინი უკან ბრუნდებიან და ტოვებენ ეზოს. სკოლის ეზო მათი ბლოკ-პოსტია. აგვისტოს ომის შემდეგ დაბინავდნენ აქ. ჩერდებიან ქუჩაში. მაღალი ნერვიულად უცვლის ავტომატს ადგილს. ბოლოს ყელზე იკიდებს და იწყებს რეზინის მილის ახვევას, რომლითაც წყალი აქვთ მიყვანილი პოსტამდე. თან გზის მეორე ნაპირისკენ ჩუმ-ჩუმად იყურება.

ცოტა ხნის შემდეგ ამხანაგების თანხლებით შედის სოფელში, შინმოუსვლელთა კედრების ხეივანში. ნარგავებს შორის ყურადღებას იქცევს ყველაზე ღამაზად აშოლტილი კედარი, რომელსაც ოდნავ სიყვითლე შეპარვია. შინმოუსვლელივით ისიც მტრის ტყვიების მსხვერპლია.

ზარის დარეკვისთანავე გამოვდივარ გაკვეთილიდან. ავდივარ მესამე სართულზე, ვუხევე დერეფნის ბოლოსკენ. უფანჯრო და უკარო დერეფნიდან თავისუფლად შემიძლია, ვადევნო თვალი ჯარისკაცების მოქმედებას.

მაღალი, ეტყობა, სნაიპერია. ის ღრმად შედის პარკში და რაღაც დანადგარზე მართავს ავტომატს. დანარჩენი ორი თხრილში წეება. ჩემგან ხელისგულივით ჩანს ენგურის მოპირდაპირე მხარე, სადაც ქართველ პოლიციელთა ბლოკ-პოსტია. უცებ პოლიციის მანქანა უახლოვდება ნაპირს. ისმის სროლის ხმა. ფარებშემსხვრეული მანქანა სწრაფი უკუსვლით შორდება საგუშაგოს. ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში ხდება. უკვე ქართველები იკავებენ პოზიციებს. იძაბება სიტუაცია.



ჩემს წინ სკოლის ღობეა. გაღმა ვიწრო გზაა და შემდეგ თხრილი, სადაც ოკუპანტები არიან. რაღაც მიბიძგებს: გადავხტე ფანჯრიდან, დავახტე ჯარისკაცს და... მაგრამ არა! ამას აზრი არა აქვს.

- აზრი ყველაფერსა აქვს! – მკარნახობს შინაგანი ხმა. უცებ მახსენდება მობილური ტელეფონი და გამაღებელი ვიდეო კადრებს; თან ნერვიულობისგან მაკანკალებს.

- რა გვინდა აქ, რას ვაკეთებთ? რა დავგრჩენია ამ მტრების გარემოცვაში?

ზარი დიდი ხანია, დაირეკა, მაგრამ მე ახლა გაკვეთილი მაინც არ მაინტერესებს. რაღაც უნდა მოვიმოქმედო. მთავარი ის კი არ არის, მე რომ ვარ აგრესიის ტყვე, და, ამ შემთხვევაში, უმოქმედოც; მთავარი ისაა, რომ ჩემი სამშობლოა გამეტებული.

ვიღაცა მხარზე მადებს ხელს:

- აქ რას აკეთებ, ბათუ, რა ხანია, დაირეკა, - ჩუმად მეუბნება დამრიგებელი.

მასწავლებელი ხელის ნელი მოძრაობით მართმევს ტელეფონს და ათვალთვლებს. სახეზე ფერი ეცვლება...

- არ გინდა, ბათუ, შენ ჯერ პატარა ხარ, ეს საშიშია, მოდი, წაშალე ეს ყველაფერი.

შევეცქერი თვალებში. გაჯიუტებას ვაპირებ... ერთიც გამიელვა, არაფერსა აქვს აზრი!

- აზრი ყველაფერსა აქვს! – ისევ იმეორებს ვიღაც.



1. ბედის ცნობილ ოქროს ბარძიბზე, 993 წლის ასომთავრული წარწერით, ვისი სახელებია ამოტვიფრული?*

- ა) მეფე ბაგრატ III-ისა და დედამისის - გურანდუხტის.
- ბ) დავით VI ნარინისა და დედამისის - რუსუდანის.
- გ) გიორგი III-სა და დედამისის - თამარ მეფის.

2. სად დაიბადა იესო ქრისტე?

- ა) ბეთლემში.
- ბ) იერუსალიმში.
- გ) გალილეაში.

3. ვისი ძეა გიორგი V ბრწყინვალე?

- ა) დავით VII ულუსი.
- ბ) დემეტრე II თავდადებულის.
- გ) გიორგი IV ლაშასი.

4. რომელ საუკუნეში გაჩნდა თბილისში ფორტეპიანო და ვიოლინო?

- ა) XVII ს.-ის დასაწყისში.
- ბ) XVIII ს.-ის დასაწყისში.
- გ) XIX ს.-ის დასაწყისში.

5. მოქვისა და კუმურდოს ტაძრები აფხაზეთის რომელი მეფის მმართველობის დროს აიგო?

- ა) გიორგი I-ის.
- ბ) ლეონ III-ის.
- გ) ბაგრატ I-ის.



7. რა ჰქვია აშშ-ს პრეზიდენტის სამუშაო ოთახს?

- ა) ოვალური.
- ბ) კვადრატული.
- გ) მრგვალი.

6. რომელი რუსი ფერმწერის ცნობილი ტილოა „ქრისტეს გამოცხადება ხალხთან“?

- ა) ა. რეპინის.
- ბ) ა. ივანოვის.
- გ) ვ. ვასნეცოვის.

8. თვითმფრინავიდან დანახულ ცისარტყელას როგორი ფორმა აქვს?

- ა) მრგვალი.
- ბ) ოვალური.
- გ) რკალური.

9. რომელია „მაკდონალდის“ სამშობლო?

- ა) ავსტრალია.
- ბ) კანადა.
- გ) აშშ.

10. დაასრულეთ აინშტაინის ცნობილი ფრაზა: ყველაზე გაუგებარი სამყაროში ის არის, რომ იგი ...

- ა) გაუგებარია.
- ბ) შეცნობადია.
- გ) საინტერესოა.

* - „სალამურას“ პასუხები იხ. - გვ. 59.



ნიკოლოზ ბარათაშვილი* (1817-1845 წ.წ.)

„რაც ერთხელ ცხოვრებად სულს დააჩნდების“

დაბადება და ბავშვობა



ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი თბილისში. ავტორი: ბორის ციხაძე

ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა თბილისში, 1817 წლის 4 დეკემბერს დედის ოჯახში, პაპის, ზურაბ ორბელიანის სახლში. ორბელიანების ოჯახმა ორი ძეგლი ერთდროულად გადაიხადა: შეეძინათ შვილიშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი და უმცროსი ვაჟი ილია. პატარა ნიკო და ილია ერთად იზრდებოდნენ და ბოლომდე შერჩათ ძმური სიყვარული.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი ბავშვობა სანახევროდ დედულეთში გაატარა. ბავშვობიდანვე დაუმეგობრდა პოეტ ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, რომლის თვალწინ იზრდებოდა. გრიგოლ ორბელიანს ძალიან უყვარდა დის შვილი; ხშირად უნახავთ იგი პატარა ნიკოსთან ერთად თბილისის ბაღებში მოსეირნე. მათი მეგობრობა სიკვდილამდე გრძელდებოდა.

ორბელიანთა სახლი, სადაც ბარათაშვილმა სანახევროდ გაატარა თავისი ბავშვობა, აღარ არსებობს. სახლი ახლანდელი ორბელიანის ქუჩაზე მდგარა; იქიდან მოჩანდა განთქმული ყაბახის მოედანი. ორბელიანის ქალები, ბანზე გამოფენილები, სიამოვნებით უცქეროდნენ ყაბახზე გამართულ ჯირითს.

აღარც პოეტის მამის, მელიტონ ბარათაშვილის სახლი, სიონსა და ანჩისხატს შუა მდებარე, არ მოღწეულა დღემდე.


არის მესამე სახლიც, სადაც მოგვიანებით გადავიდნენ ბარათაანნი. სახლი ახლაც არსებობს და ანჩისხატის გვერდით მდებარეობს. პოეტმა უკანასკნელი წლები ამ სახლში დაჰყო. სახლის აღმოსავლეთ აივანიდან მოჩანს მტკვრის კლდოვანი ნაპირები, რომლის დანახვისას უნებლიეთ გვახსენდება ბარათაშვილის ლექსი „ჩინარი“.

წინაპრები

ბარათაშვილნი ისტორიულ ასპარეზზე ჩნდებიან მე-15 ს-ში.

წარმოშობით არიან ქართლიდან „საბარათიანოდან“. მათი ძალისხმევით აშენდა მრავალი შესანიშნავი ეკლესია, დაიწერა არაერთი წიგნი.

პოეტის პაპა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ერეკლე II -ისა და გიორგი XII-ის სამეფო კარის დაახლოებული პირი ყოფილა, მეტად ერთგული და რაინდული ბუნების. როდესაც საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიაში რუსეთში გადაასახლეს, მათი ბედი გაიზიარა თერთმეტმა კაცმა. მათ შორის, პოეტის პაპამ, ნიკოლოზ ბარათაშვილმა.



მე-17 ს-ს მიეწერება დედის მხრივ პოეტის წინაპრების - ორბელიანთა (ყაფლანიშვილთა) საგვარეულოს განდიდება.

პოეტის დიდედა, ხორეშანი, ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო, იზრდებოდა ერეკლე მეფის კარზე. ხორეშანის ოჯახში განსაკუთრებით პატივს სცემდნენ ერეკლე მეფის ხსოვნას. ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც ორბელიანთა გარემოში იზრდებოდა, ერეკლესდროინდელი საქართველოს გმირული ამბებით საზრდოობდა.

მშობლები

პოეტის მამა, მელიტონ ბარათაშვილი, თავისი დროის ფეოდალური არისტოკრატის გამოჩენილი წარმომადგენელია. საშუალო შეძლების თავადიშვილი ხელგამლით ცხოვრობდა, ცნობილი იყო თავისი სტუმართმოყვარეობით. 1837 წელს, როცა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I თბილისში ჩამოვიდა, იგი ერთ-ერთი მასპინძელთაგანი იყო.

წვეულებებმა თან წაიღეს მისი ავლა-დიდება, სიცოცხლის

* - მასალა მომზადდა თენგიზ ვერულავას პუბლიკაციის მიხედვით.



ბოლოს იგი დიდ ვალში ჩავარდა.

მელიტონ ბარათაშვილი ყოფილა მეტად კეთილი, პირდაპირი, მაგრამ გადამეტებულად ფიცხი, მრისხანეც კი.

ცხრა წლის მელიტონი ოჯახთან ერთად თან ხლებია რუსეთში გადასახლებულ მამას. ამით აიხსნება მელიტონის მიერ რუსული ენის ჩინებული ცოდნა, რაც იმ დროისთვის იშვიათი იყო.

საქართველოში დაბრუნებული მელიტონ ბარათაშვილი სწავლობდა „კეთილშობილთა სასწავლებელში“. მალევე დაინიშნა თარჯიმნის თანამდებობაზე მთავარმართებლის სამმართველოში. მელიტონი გახდა ნდობით აღჭურვილი პირი, თვით იმპერატორის პირადი თარჯიმანი. ამიტომ, 1832 წლის შეთქმულების გამოძღვანების შემდეგ მელიტონზე ეჭვი არავინ მიიტანა.

მალე თავადაზნაურობის არჩევნებში ჩაება და აირჩიეს კიდევ თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად.

ბარათაშვილების ოჯახს ჰყავდა თავისი კეთილი სული. ეს იყო პოეტის დედა-ეფემია ორბელიანი, პოეტ გრიგოლ ორბელიანის დვიძლი და ეფემია მაღალი სულიერი თვისებების ადამიანი იყო, ნაზი, ნათელი ბუნების. მის დედობრივ აღერსში პოულობდა შვებას მომავალი პოეტი. ეფემიას მომხიბლავ პიროვნებას გვაგრძნობინებს პოეტი გრიგოლ ორბელიანი ლექსში „ჩემს დას ეფემიას“.

ეფემია ხელმძღვანელობდა შვილების აღზრდას, ძუძუსაც თვითონ აწოვებდა, რაც იმდროინდელ არისტოკრატიაში იშვიათი იყო. პირველი აღზრდა-განათლება ნიკოლოზმა სწორედ დედისგან მიიღო, საფუძვლიანად შეითვისა ძველი ქართული ენა, ბავშვობიდან შეიყვარა ფსალმუნი და სახარება.



ნიკოლოზ ბარათაშვილი. ავტორი: ლალო ბულიაშვილი

შინაური სწავლება

პატარა ტატო, როგორც პოეტს შინაურობაში ეძახდნენ, დედის, ეფემიასა და დიდედის, ხორეშან ბატონიშვილის ხელში იზრდებოდა. პოეტის გადია ყოფილა გორელი გლეხის ქალი მიაა.

პოეტის ბიოგრაფის კონსტანტინე მამაცაშვილის სიტყვით, „ბარათაშვილი 6-7 წლის გამხდარა თუ არა, მაშინვე მისთვის შინაურად დაუწყებინებიათ სწავლა... წერა-კითხვა, ლოცვები, ქართული ძველი ზღაპრები და სიმღერები“.

წერა-კითხვა პატარა ტატოსთვის უშუალოდ დედას უსწავლებია. პირველი წიგნები იყო „სადეთო წერილი“, „დავითნი“. ძველი ქართული ენისადმი სიყვარული ბოლომდე შერჩა პოეტს.

ბარათაშვილების ოჯახი მდიდარი ყოფილა მუსიკალური ინსტრუმენტებით. მუსიკა პოეტის ძლიერი გატაცებათაგანი იყო მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ჯალოუბნის სასწავლებელი

8-9 წლის ტატო მშობლებმა მიაბარეს კალოუბნის სამრევლო ტიპის სკოლაში. ასეთი სასწავლებლები არსებულა სიონის, ქაშვეთისა და ანჩისხატის ეკლესიებთან. სწავლა ბუნების წიაღში მიმდინარეობდა, უძველესი ქართული ტაძრის გალავანში, ასწლოვანი ხეების ჩრდილქვეშ. ტატო უკვე კარგად იცნობდა გარეთუბანს. ბავშვი ფხიზელი თვალით აკვირდებოდა თბილისის ქუჩებს, მაგრამ ყველაზე საყვარელი ადგილი მაინც მტკვრის პირი ყოფილა, რომელსაც ამწვანებული ნაპირები მისდევდა.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი

1827 წელს ბარათაშვილი მიაბარეს თბილისის „კეთილშობილთა სასწავლებელში“, რომელიც მალე გიმნაზიად გადაკეთდა. 1830 წელს გიმნაზიასთან დაარსდა პანსიონი 10 კაცისთვის. ნიკო მიიღეს „ნახევარ პანსიონერად“, ე.ი. შეეძლო ოჯახშიც დაბრუნებულიყო. პოეტი კეთილად იხსენებდა გიმნაზიაში გატარებულ წლებს, იქ შეძენილ მეგობრებს.

კონსტანტინე მამაცაშვილი ასე ახასიათებს ბარათაშვილ-გიმნაზიელს: „ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგად სწავლობდა.“



თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი



სოლომონ დოდაშვილი.
ნიკოლოზ ბარათაშვილის
პედაგოგი

უმეტესად განსხვავებული იყო თავის ამხანაგებში მხიარული ხასიათით, სიმარდიტ; პირველი მოცეკვავე იყო, საკუთრად ლეკურისა, ყველასგან საყვარელი ამხანაგი... ფხიზელი, ცნობისმოყვარე, მიძღები ყოველივე კარგი შთაბეჭდილებისა.“

დიმიტრი ყიფიანი ასე იხსენებს მას: „მეტად ცოცხალი, მხიარული, მოსწრებული, ამავე დროს, ყოვლად უანგარო.... მეგობრები იცნობდნენ მას, როგორც საუკეთესო ამხანაგს.“

ბარათაშვილი, თუმცა რუსულ სკოლაში სწავლობდა, ადრევე საფუძვლიანად გაეცნო ძველ-ქართულ კლასიკურ მწერლობას. თარგმნა კიდევ „ვისრამიანის“ ნაწილი (სამწუხაროდ, დაკარგულია), რაც ყმაწვილი პოეტის კარგ გამოვლენაზე მეტყველებს.

ბარათაშვილის უსაყვარლესი საკითხავი წიგნი მოწაფეობისას ყოფილა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის მთელი ადგილები ზეპირად სცოდნია. კარგად იცოდა შავთელიც, ჩახრუხადეც, ქართული საგალობლებიც.

პოეტის გიმნაზიაში სწავლის პერიოდს უკავშირდება ერთი მეტად არასასიამოვნო ამბავი: უფროს კლასებში ყოფნისას იგი კიბიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. გამოჯანმრთელდა, მაგრამ ოდნავი კოჭლობა ბოლომდე დარჩა.

აღსანიშნავია, რომ უცხო ენები, გერმანული და ფრანგული, გიმნაზიის დაარსებიდანვე ისწავლებოდა. პოეტი რამდენადმე იცნობდა ამ ენებს.

ბარათაშვილს ყრობიდანვე ახასიათებდა უადრესი პრინციპულობა. იგი გიმნაზიაში წერდა ეპიგრამებს, სადაც გაბედულად კიცხავდა სასწავლებელში გამეფებულ წესებს. თუმცა, აღმზრდელთა შორის მაინც გამოირჩეოდა რამდენიმე. მათ შორის, სოლომონ დოდაშვილი, რომელიც მამულის სიყვარულის იდეას ნერგავდა მოსწავლეთა შორის.

„თბილისის გიმნაზიის ყვავილი“

ბარათაშვილში პოეტმა ადრე გაიღვიძა. პირველი ლექსები გიმნაზიაში ყოფნისას დაწერა, თუმცა ყველა არ შენახულა. დაცულია მხოლოდ ერთი კრებული; მაშინ პოეტი 15 წლისა იყო. კრებულში 5 ლექსია შესული, მათგან 3 ბავშვური ხასიათის. მაგრამ ამავე კრებულშია პირვანდელი ვარიანტები ლექსებისა „ვარდი და ბუღბული“ და „შემოღამება მთაწმინდაზედ.“ ეს უკანასკნელი ლექსი გვიჩვენებს, რომ ბარათაშვილს ადრე უპოვია საკუთარი პოეტური ხმა.

იმავე ხანებში (1835-36 წ.წ.) პოეტის მეგობრები მიხეილ თუმანიშვილის რედაქტორობით სცემენ რუსულ ხელნაწერ პურნალსაც „Цветок Тифлисской гимназии“, სადაც ბარათაშვილიც იბეჭდება. პურნალის მეორე ნომერი ნიკოს ლექსებით არ შენახულა. მის შინაარსს ვეცნობით მე-5 ნომრის სარჩევიდან. ვიგებთ, რომ წინა ნომერში პოეტის 3 ტექსტი დაბეჭდილა.



ქურნალი „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“. 1835 წ.

1832 წლის შეთქმულება



მიხეილ თუშანოშვილი.
ნიკოლოზ ბარათაშვილის
მეგობარი

პოეტზე დიდი გავლენა მოახდინა 1832 წლის შეთქმულებამ, თუმცა მაშინ ჯერ კიდევ 15 წლის ყმაწვილი იყო.


შეთქმულების მონაწილე იყო პოეტის ბიძა გრიგოლ ორბელიანი, რომლის ლექსებზე იზრდებოდა ბარათაშვილი. შეთქმულების იდეური ატმოსფერო იგრძნობოდა გიმნაზიის კედლებშიც, სადაც მოღვაწეობდნენ შეთქმულების უშუალო მონაწილეები .

ბარათაშვილმა თავის ლექსებში გამოხატა, რომ მისი სიმპათია და სიყვარული შეთქმულთა მხარეზე იყო. 1833 წელს გამოცემულ ხელნაწერ აღმანახში, სადაც პოეტის 5 ლექსია შესული, შეტანილია შეთქმულთა ნაწერებიც. ამ ავტორთა თხზულებების არა თუ გამომხეურება, ხსენებაც სახიფათო იყო მაშინ.

არის ასეთი მოგონებაც: ბარათაშვილს დაუწერია სატირული ლექსი და ფოსტით გაუგზავნია თბილისის გუბერნატორ, ნიკო ფალავანდიშვილისთვის, შეთქმულების გამცემ იასე ფალავანდიშვილის ძმისთვის. დაიწყეს საქმის კვლევა, გამოვლინდნენ ავტორი და თანამონაწილენი. წარმოსადგენია მათი გაკვირვება, როცა ხელთ 14-15 წლის ბავშვები შერჩათ!



მთავრობამ საქმის შემდგომი მსვლელობა ზედმეტად ჩათვალა და ემაწვილ რევოლუციონერებს მხოლოდ როზით დასჯა აკმარა. განაჩენი სისრულეში მშობლებს უნდა მოეყვანათ. პოეტის თანამედროვე იონა მეუნარგია იხსენებს: „...ადვილად წარმოსადგენია, რა დღე დაადგებოდა ამ თოთხმეტი-ხუთმეტი წლის ვოლტერს თავისი სატირისთვის. იმის სიხარულით, რომ შვილი სკოლიდან არ გამოურიცხეს, მამამ კინაღამ სული არ ამოართვა, იმდენი სცემა.“



ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერი. 1839 წ.

ჰიქვის ჰორიზონტი

ვიდრე გადაფურცლავთ პოეტის ლექსებს, მოკლებულნი ვართ სიამოვნებას, დაახლოთ თვით პოეტის სახეს. ბარათაშვილის ნამდვილი სურათი არ შენახულა. ზოგი მეგობართა დაუდევრობის გამო დაკარგულა, უკანასკნელი კი ფათერაკის მსხვერპლი გამხდარა.

არსებობს ე. წ. „თუმანიშვილისული“ სურათი, თუმცა ილია ჭავჭავაძემ იგი არ მიიჩნია დაბეჭდვისათვის ვარგისად. ამიტომ, პოეტის სახე თანამედროვეთა ნაამბობიდან უნდა აღვადგინოთ.

პოეტი საშუალო სიმაღლის, ჩინებული ტანადი ყოფილა, ოდნავ პირხმელი, თეთრი პირისახითა და წაბლისფერი თმით. სახეს ამშვენებდა შავი, ცოცხალი, მეტყველი თვალები, „ბუდეშური“, ქართული ტიპის.

ახლობლების გადმოცემით, ბარათაშვილი გიმნაზიაში ყოფნისას ქართულ ტანისამოსს ატარებდა. უკვე სამსახურში ყოფნის დროს პოეტი ევროპულად იცვამდა. თვით იმპერატორ ნიკოლოზ I-ს გამოურჩევია იმდროინდელ ახალგაზრდობში. მაშინ ბარათაშვილი 19 წლის იყო.

ახდენელი ოცნება

უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება პოეტის აუხდენელ ოცნებად დარჩა. იმ დროისთვის მელიტონის ოჯახი უკვე გაღარიბებული იყო. ნიკოლოზმა სამხედრო სამსახურში შესვლა მოიწადინა, მაგრამ არც იქ მიიღეს კოჭლობის გამო. იმედგაცრუებული იძულებული გახდა, რიგითი მოხელის სამსახურს დასჯერებოდა. იმის მაგივრად, წიგნი სჭეროდა ხელში, ოქმების წერას უნდა შედგომოდა. უარეს პირობებში იშვიათად ჩაფარდნილა პოეტური ტალანტი.

მიუხედავად დამქანცველი, უხალისო სამუშაოსი, ბარათაშვილი იშვიათად ბეჯითი მომუშავე ყოფილა. კანცელარიის დახუთული კედლებიდან გამოსულს ტოლ-ამხანაგებში ვხედავთ.

უნდა წარმოვიდგინოთ თბილისის იმდროინდელი საზოგადოება. თითქმის მინელებული საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა, გადასახლებულია შემოქმედი ხალხი, ჩამკვდარია პრესა, ქართული წიგნები თითქმის არ გამოდის, არ არის ქართული თეატრი.

კომნსტანტინე მამაცაშვილი იგონებს: „... ჩვენი დროის გატარება იყო, ლაპარაკი მაშინდელ ლიტერატურაზე, სწავლაზე, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზე...“

უკეთესი სამუშაოს საძებნელად ნიკოლოზ ბარათაშვილი ნახჭევანში გაემგზავრა მაზრის მმართველის თანაშემწედ, შემდეგ განჯაში იმავე თანამდებობაზე. 1845 წლის 21 ოქტომბერს, 27 წლის ასაკში, სამშობლოსგან შორს მყოფი ნიკოლოზ ბარათაშვილი მალარიით გარდაიცვალა.

მხოლოდ მტკვარმა თუ ჩაუტანა გამოსათხოვარი სალაში საქართველოდან.

1893 წლის აპრილში პოეტის ნეშტი სამშობლოში გადმოასვენეს, რაც ეროვნულ მანიფესტაციაში გადაიზარდა. არსებობს თბილისის ჟანდარმერიის საიდუმლო წერილი: „კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა. არათუ ყველა წოდების პირნი ეცილებოდნენ ერთმანეთს მის წადებაში, არამედ ქალებიც კი ცდილობდნენ, მონაწილეობა მიეღოთ ამ რიტუალში. დედებს მოეყვანათ თავიანთი პატარა შვილები, აჩოქებდნენ, რომ თავიანი ეცათ, როგორც წმინდანის ნეშტისთვის.“

„ყრმაო პოეტო, უღმრთო იყო შენი სიკვდილი“, დაწერს დიდი ილია.



მანანა ორბელიანის ლიტერატურული სალონი. ცენტრში: ნიკოლოზ ბარათაშვილი. მხატვარი: რ. სტურუა

* - 1938 წელს პოეტის ნეშტი დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს.



მხოლოდ მიძაძე



ჩარლი ჩაპლინმა სტუმრებისთვის შეასრულა მეტად რთული საოპერო არია. არიით მოხიბლულმა ერთ-ერთმა სტუმარმა წამოიძახა:

- შესანიშნავია! წარმოდგენაც კი არ მქონდა, ასე დიდებულად თუ მღეროდი!

- თქვენ ცდებით! – გაიღიმა ჩაპლინმა, - მე არ ვღერი. მე მხოლოდ და მხოლოდ ვბაძავ ცნობილ ტენორს, რომლის შესრულებითაც ამ დღეებში მოვისმინე ოპერა.

თავაზიანი ყოქმედი

ერთხელ ახალგაზრდა იტალიელმა კომპოზიტორმა ჯოაკინი როსინი მიიპატიჟა თავისი ოპერის პრემიერაზე.


„ვილჰელმ ტელის“ ავტორმა მიწვევა მიიღო.

პრემიერაზე როსინი ღოჯაში იჯდა და, იტალიური წესის მიხედვით, ცილინდრი არ მოუხდია.

დაიწყო წარმოდგენა. როსინი ყოველი არიის წინ იხდოდა ცილინდრს და მოხდენილად იქნევდა მას.

- რას აკეთებთ? – შეეკითხა მას გვერდით მჯდომი ოპერის ავტორი.

- ვესალმები ჩემს კოლეგებს, რომელთაც ვხვდები თქვენს მუსიკაში, - თავაზიანად უპასუხა როსინიმ.



ქეპინის მოცა

ახალგაზრდა ლიტერატორმა გადათარგმნა შექსპირის „ჰამლეტი“ და ანახა იგი ტრაგიკული როლების შემსრულებელ მსახიობს – პეტრე კარატიგინს.

მან ყურადღებით გადაიკითხა გულუბრყვილო თარგმანი, ახალგაზრდას სქელი რვეული დაუბრუნა და უთხრა:

- ოჰ, ყმაწვილო! როგორ არა გრცხვენიათ! „ჰამლეტში“ ისედაც ყველა მოქმედი პირი კვდება და თქვენ მას შექსპირიც მიაყოლეთ?!

საკიბელი

ფოსტაობი 3	ო, ენა ჩემო სულხან-საბა ორბელიანი 30
ღაბაღაბაძე სათქაძი სვეტლანა კვიციანი - მინიატურები 4	ჰიზა ბელა ჩქვანავა - დოროსა და მისი ჯადოსნური ჭის ამბავი 32
ზღვისპირა იანაიანი 6	ფსიქოლოგის დიუხი მარინა კაჭარავა - რაც ამკვიდრებს ზნეობრივ ფასეულობებს 36
ქათა ლაღი მიუსერის ტაძარი 7	უბის ნიბნაში ჩანაჩილი ღაღი ბიორბი ცხვარაძე - კარგად ნაცნობ უცხო მიწაზე 39
ჰიზა ბრიტოლ რობაქიძე - იმამ შამილი 8	ნოზის სტაჰი ნანა ჯანტუბია - პოლონელი იონა აიერსი: „მე საქართველოში ვრჩები“ 40
ნაჩილი შვილი ჩარლზ დიკენსი 11	თახბანი რუდოლფო ა. ანანია - დამლოცე, ულტიმა 44
თაობიან თაობაძე შუშია აფრიფონიძე - პაპანგი - თედო სახოკია 12	იხის ნახშირი 46
ჰოპის ეთი ღაღი ბიორბი ლეონიძე - შავი ზღვის პირს შავი მუხა 15	საქათაო ბაჭათილი მარინა ჩაბრავა - 200 წლის თბილისის პოსტიტალი 47
თა ქათვილი ხა დალი მუხაძე - „ჯვარი მწვალობს ჯვარცმული“ 16	ღაღონი ლევან ფარულავა - მხეს შენ გამიფერადებ 50
ფიქიანი ნუნუ ჯანელიძე 18	ივლით ხაზალია - მტრედეები 51
ღაღისპირა ვანტანო ჯანია - „ტრაპიზონი - ისტორიული საქართველო“ 20	ნიკა ბიბლია - შენ ჯერ პატარა ხარ, ბათუ 52
ჰოპია ბერმანე შაცაცია 23	ღაღაღი სანაღიანი 53
ოლონე ქათვილი იანაიანი თეა გურჯულაძე - „რა ენა წახდეს“ 24	ბანიონი ბაჭათიანი ნიკოლოზ პარათაშვილი - „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაჩნდების“ 54
ქათვილი 27	ჩაღილი ხაღიანი 58
ღიღიანი ნუზარ მბალობლიშვილი - ბუღატ ოკუჯავა 28	

„სალაღონი“ პასუხები:

1-ა; 2-ა; 3-ბ; 4-გ; 5-ბ; 6-ბ; 7-ა; 8-ა; 9-ბ; 10-ბ.

ჩვენი მისამართი:

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.
ტელ.: (+995) 598 93 92 84;
(+995) 599 12 66 80;
ელ-ფოსტა: nachi3-27@hotmail.com

ტირაჟი: 500 ც.
ფასი სახელმუქრულებო.

